# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 16 მაისი 2001 №88 (1361) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ალავესი — ლივერპული

16 მაისი. ფინალი. დორტმუნდი. «ვესტფალენშტადიონი»

UEFA CUP

# დღეს გაირკვევა, არიან თუ არა ბასკები ქართველთა ნათესავები

## თბილისის „დინამოს“ „ლივერპულიც“ დაუმარცხებია და გერმანიაში ევროფინალიც მოუგია. ჯერი ბასკებზეა...

REUTERS დორტმუნდიდან

ახლახან იოჰან კრუიფმა თქვა, ეს ფინალი ყველაზე უინტერესო იქნება უეფას თასის ისტორიაშიო. ჰოლანდიელი ალბათ იმას გულისხმობდა, რომ „ალავესი“ კლასით და სახელით დიდად ჩამორჩება „ლივერპულს“.

მაგრამ ეს ფინალია და ფინალში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. რატომაც არა: როცა ვიტორიაში „ინტერი“ მატჩის დასრულებამდე ოციოდე წუთით ადრე 3:1 იგებდა, განა ყველას არ ეგონა, რომ „ალავესი“ განწირული იყო? ისიც გვგონია, რომ თავად იოჰან კრუიფისთვის ეს ძალიან ამაღელვებელი ფინალი უნდა იყოს — თასისთვის ხომ მისი შვილი იბრძვის.

მოკლედ, დღეს ერთმანეთის პირისპირ წარდგებიან:

„ლივერპული“ — ინგლისის ყველაზე ტიტულოვანი, ამ სეზონში უკვე ორი თასის მომგები და ვარსკვლავებით დახუნძლული გუნდი.

„ალავესი“ — გუნდი, რომელსაც არასდროს არაფერი მოუგია, ოთხმოცწლიან ისტორიაში სულ რვა სეზონი უთამაშია პრიმერადივიზიონში, სამი წლის წინ ელიტაში აღზევებას 42 წელი ელოდა, ექვსი წლის წინ მესამე დივიზიონში თამაშობდა, ათი წლის წინ — მეოთხეში.

მაგრამ ლივერპულში არ ფიქრობენ, რომ თასს იოლად მოიგებენ, სხვანაირად როგორ ავხსნათ, რობი ფაულერმა სტივ მაკმანამანს რომ დაურეკა, „ალავესზე“ რამე ისეთი გვითხარი, ჩვენ რომ არ ვიცითო. სხვათა შორის, მაკმანამანს „რეალისთვის“ უთხოვია, დორტმუნდში გამიშვით, ძალიან მინდა, „ლივერპულს“, ჩემს ყოფილ კლუბს ტრიბუნიდან ვუქომაგოო.

თასის გარდა არის ფულიც. ვიტორიელებს გამარჯვება რვაასი ათას დოლარსაც მოუტანს, ხელმძღვანელობა პრემიის სახით რომ დაჰპირებია.

ფორმა ზეც. წითელმაისურიან ლივერპულელებთან სათამაშოდ უეფამ ბასკებს ტრადიციული, ვარდისფერი მაისურების შეცვლა მოსთხოვა. დღეს „ალავესი“ ისეთივე ფორმით ითამაშებს, არგენტინულ „ბოკა ხუნიორსს“ რომ აქვს — ლურჯი მაისურა, ფართო ყვითელი ზოლით. ეგებ იღბლიანი ფორმა იყოს — „ბოკა ხუნიორსი“ ხომ „ლივერპულზე“ არანაკლებ სახელოვანი გუნდია.

და ბოლოს შიშზეც. ხოსე მანუელ ესნალ პარდომ, იგივე მანემ, „ალავესის“ უკვე გმირად ქცეულმა მწვრთნელმა თქვა: „ლივერპულმა“ იცის, ფინალი რასაც ნიშნავს. ჩვენ ეს არ ვიცით და თუ გგონიათ, გვეშინია, ცდებით. ასე მშვიდად არასდროს ვყოფილვართ. ამასთანავე, თქვენ არ გინახავთ „ალავესის“ შესაძლებლობების მაქსიმუმი და ამას ფინალში იხილავთ“.

შესაძლოა მანე აჭარბებს, მაგრამ უფრო სარწმუნოდ ის გვეჩვენება, რომ იოჰან კრუიფი ცდება.

იხილეთ მეექვსე გვერდი

REUTERS დორტმუნდიდან

ხოსე მანუელ ესნალ პარდომ (მარცხნივ) და ჟერარ ულიემ თავისიანები „ვესტფალენშტადიონს“ უკვე შეაჩვიეს

REUTERS დორტმუნდიდან

# რამდენი მწვრთნელი აფრინდება ჰაერში?

## საქართველოს თასი

## ნახევარფინალი

საპასუხო მატჩები

| | |
|---|---|
| მერანი | 0 |
| ლოკომოტივი | 1 |
| ტორპედო | 1 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |

**ფინალი**
26 მაისი. «26 მაისი»

იხილეთ მეორე გვერდი

შარშან ძოძუაშვილმა და „ლოკომოტივმა“ „ტორპედოს“ დამარცხებით გაიხარეს, წლეულს ძოძუაშვილისა და ყიფიანის „ტორპედო“ აწ უკვე ნოდიას „ლოკომოტივს“ შეეცილება თასს

ბაბა დოლენჯაშვილის ფოტო

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 2 ივნისი

# საქართველო — იტალია

## განგსტერული ქრონიკა

## სფფ დაბომბეს, ქეცბაიას კი პოლიცია დატვიფრავს

**მორიგი** აჟიოტაჟის ჟამი ახლოვდება — 1 და 2 ივნისს საქართველოს ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებები იტალიელებს უმასპინძლებენ. რა ხანია, ფეხბურთის ფედერაცია, სამზადისს შეუდგა, ბილეთებიც დაბეჭდინა, თუმც ამჯერად საქმეს მარტო ვერ აუვიდა — პოლიციის თანადგომაც დასჭირდა.

სფფ-ის პარტნიორი პოლიგრაფიული ფირმა „ჯი ეი თი" გახლავთ, რომელმაც აპენინელებთან მატჩებისთვის საგანგებოდ დაამზადა ბილეთები, პროგრამები და აფიშები. სფფ-ში მისულ ამ ფირმის წარმომადგენელს ავტომანქანაში ახალგაზრდული ნაკრების შეხვედრის 18 000 ბილეთი, ხოლო ეროვნული გუნდების მატჩის 1200 ცალი დაბეჭდილი ბილეთი-პროგრამა ჩაუტოვებია. ჰოდა, მარჯვედ გარჯილან დადევნებული თუ ჩასაფრებული განგსტერები, მანქანა მყისვე გაუხსნიათ და ბილეთებიც აუწაანიათ, თუმც მათ გასასაღებლად გვარიანი წვალება დასჭირდებათ.

პოლიციისა და სფფ-ის შეთანხმებით ეროვნული ნაკრებების მატჩისთვის ახალი დიზაინის ბილეთი-პროგრამები არ დაბეჭდება. ოღონდ, ბილეთზე დაკრულ პროგრამას, რომლის გარეკანსაც თემურ ქეცბაიას ფოტო ამშვენებს, სფფ-ის ლურჯმელნიანი და თბილისის პოლიციის სამმართველოს დატვიფრული ბეჭდები დაესმება. ხოლო ახალგაზრდულების თამაშისთვის „ჯი ეი თი"-ს ახალი ბილეთების დაბეჭდვა მოუწევს.

სფფ გულშემატკივრებს აფრთხილებს, რომ ბილეთები მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული სტადიონის სალაროებში შეიძინონ.

ორივე მატჩი ჩვენს მთავარ სარბიელზე ჩატარდება, ახალგაზრდულების 1 ივნისს 20.15 საათზე, პირველი გუნდებისა მეორე დღეს, 21 საათზე. ახალგაზრდულების მატჩის ბილეთი 3 და 5 ლარი ეღირება, ხოლო ეროვნული ნაკრებების — 10, 15 და 20 ლარი.

**დავით თავართქილაძე**

ნიუკასლი — არსენალი.
არსენალელი რეი პარლოუ და ნიუკასლელი კევინ გალაჰერი

### ინგლისი

**გადადებული მატჩი**
**ნიუკასლი 0:0 არსენალი**

### შვედეთი

**VI ტური**
**აიკ ყ იურგორდენი**

### შვეიცარია

**A ჯგუფი. XII ტური**
**სენტ გალენი 2:2 სერვეტი**
**A/B ჯგუფი. XII ტური**
**იანგ ბოიზი 2:0 ვინტერთური**
**B ჯგუფი. XII ტური**
**სოლოთურნი ყ ჩრინი**
**კარუში ყ ლოკარნო**


**იყიდება**

საერთაშორისო სუფთა ბინა 2 (9), საერთო ფართი 103 კვ. მ. აბაზანა-ტუალეტი რემონტით, ბ/აირით, ბარნოვის ქ. №71 II სად. შესასვლელი კეკელიძის ქუჩიდანაც:



**ტელ:**
**22-75-07. 69-52-58**





**იყიდება**

ოთხოთახიანი სუფთა ბინა 30 კვ.მ. მაშენებელთა, დიღმის მასივში, მე-4 კვარტალი, მე-19 კორპუსი, პირველი სართული.

**ფასი შეთანხმებით**

ტელ.: 95-90-32, 39-71-98, 877 42-82-83

# საქართველოს თასი

## ნახევარფინალი

*საპასუხო მატჩები*

მერანი — ლოკომოტივი. მერანელი ალეკო კოშაძე დავით ჭიჭვეიშვილის და როინ ონიანის ალყაში

# მერანი დაამბეს

## ვაკელები უფრო ევროპელები არიან

**თბილისი**
**15 მაისი**
**18 საათი**
**სოლაღელი**
**1 000 (ტევადობა 3 000)**

**მერანი 0:1 ლოკომოტივი**

**პირველი მატჩი 0:2**

0:1 გილაური (90)

**მერანი:** დევაძე, ჭინჭარაული (ბაჯელიძე 62), გუჯაბიძე, დავითნიძე, ცქიფურიშვილი, მუხინი, ჩხაიძე (კოშაძე 46), დეკანიძე, ხუციშვილი, დ. გოდერძიშვილი (თოლორდავა 67), მინაშვილი

სათადარიგონი: ნაჭყებია; გოგიტაძე, ილურიძე, ხუჯაძე

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ცხადაძე, სალუქვაძე, ზ. ლაცაბიძე, ონიანი, გილაური, ჭიჭვეიშვილი, ანჩაბაძე (გ. შენგელია 89), გოგიჩაიშვილი (პარამონოვი 90), კაიდარაშვილი

სათადარიგონი: ასლანიძე; ბაქრაძე, მორჩილაძე, გოგანაძე

**გაფრთხილება:** კაიდარაშვილი (11), დავითნიძე (88)

**მსაჯები:** მ. მალალურაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ქალაქთურა); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

**კოტა ინასარიძე**

„**მერანს**" დიდი სათასო ამბიცია ჰქონდა. ჩემპიონატის მეორე ეტაპის დაწყებიდან ორი ტურის შემდეგ კი ავჭალელები ჩემპიონატის პირველ სამეულზე ოცნებას გამოეთხოვნენ და მხოლოდ თასის მოპოვებალა უხსნიდათ ევროპისკენ გზას. ერთად-ერთი შანსი ევროპაში მოსახვედრად. გუშინდელმა მატჩმა კი ავჭალელთა ამ ოცნებასაც წერტილი დაუსვა — „მერანი" „ლოკომოტივმა" შეაჩერა და ახლა თავად რკინიგზელები უმიზნებენ ქვეყნის თასს, რომლისთვისაც შარშანდელივით, „ტორპედოსთან" მოუწევთ ბრძოლა. ისე კი, ორი კვირის წინ, ამ გუნდების პირველი მატჩის შემდეგვე იყო მოსალოდნელი, რომ ფინალში სწორედ „ლოკომოტივი" ითამაშებდა. სანელო საქმე გახლდათ „მერანისთვის" 0:2-ის გაბათილება და არც რკინიგზელები იყვნენ ამხელა ფორის გამფანტველნი.

ეგ იყო, „მერანი" იქადნებოდა, „სინათლეზე" „ლოკომოტივს" შავ დღეს ვაყრითო და პირველი მატჩის მსაჯ, კრიჭაშვილსაც ემუქრებოდა. საბოლოოდ „მერანმა" საპასუხო შეხვედრაც დათმო და არც კრიჭაშვილს მოუწია „სინათლეზე" მსაჯობამ — ის ფედერაციამ რამდენიმე დღის წინ ერთი თვით დასაჯა.

თამაში კი ისეთი არ გახლდათ, „მერანელთა" ხმაურიანი განცხადებების შემდეგ რომ იყო მოსალოდნელი. ცოტა, ალბათ, ავდარის ბრალიც არის — მატჩის განმავლობაში ხუთ წუთში ერთხელ თავსხმა მოდიოდა. ბრძოლა კი იყო, თანაც დაუნდობელი, მაგრამ რად გინდა, ყანასავით მოედანზე, თანაც ატალახებულზე, ბურთის ორიოდ მეტრში გაგორებაც ძნელი იყო.

მომენტებიც თითებზე ჩამოსათვლელი შექმნეს გუნდებმა, ყველაზე რეალური კი მეორე ტაიმში „მერანმა" — დევიძის სამი-ოთხი მეტრიდან ცარიელ კარში დარტყმულ ბურთს ჭიჭვეიშვილი რომ არ გადაღობებოდა, ვინ იცის, მერე რა მოხდებოდა. ეს შესვენების შემდეგ იყო, როცა, პირველი ტაიმისგან განსხვავებით, მასპინძლები აშკარად გააქტიურდნენ, ამ ერთი მომენტის მეტი გამოსარჩევი ვერაფერი შექმნეს და „ლოკომოტივმაც" კონტრშეტევებს მოუხშირა. თუმც იქამდე ჯერ მინაშვილს, შემდეგ ჭინჭარაულს, რომელსაც მოგვიანებით ცხვირი გაუტყდა, ჩინებული საგოლე შანსები გაუცუდდათ. ორივე თავით, ახლოდან ურტყამდა ლომაიას, მაგრამ კარში ერომაც ვერ შეაგდო. ამის შემხედვარე არც რკინიგზელები დარჩენილან ვალში, კაიდარაშვილს და ანჩაბაძეს შეექნათ კარგი მომენტები, თუმც მიზანმა მათაც უმტყუნა. „ლოკომოტივს" კი მასპინძელთათვის საქმის მოთავება აღრეც შეეძლო. მეორე ტაიმში დევიძის მომენტი რომ ვახსენეთ, ამის საპასუხოდ, კაიდარაშვილმა ზედიზედ ორჯერ დაურტყა ტრავმამოშუშებულ მეკარეს, მაგრამ მას ვერაფერი მოუხერხა — მეკარემ ორჯერვე იყოჩაღა.

გოლი რკინიგზელებმა ისეთი გაიტანეს, კაცი ძნელად წარმოიდგენდა. მსაჯის წამატებული ბოლო, მეოთხე წუთი იწურებოდა, გილაურმა ცენტრის ხაზთან ახლოს, ფლანგიდან რომ მოუქნია ბურთს ცაცია და მეკარისგან შორეულ მარცხენა ცხრიანში გაიტანა.

თუმც ამ გოლმა აბა, რა შეცვალა? რამდენიმე წუთით აღრეც იყო ნათელი, „მერანი" სამს, თუნდ ორ გოლის გატანასა და დამატებითი დროის თამაშს ვერ მოახერხებდა.

და მაინც, გილაურის ბრწყინვალე გოლმა „ლოკომოტივს" „მერანი" მეორედაც დაამარცხებინა და ეჭვებიც გაფანტა, აქაოდა, ფედერაციამ საპასუხო მატჩის წინ მსაჯი კრიჭაშვილი შეგნებულად დასაჯაო. აბა, გუშინ მალალურაძის საპრეტენზიოდ კაცს ენა როგორ უნდა მოუბრუნდეს.

**თბილისი**
**15 მაისი**
**18 საათი**
**ტორპედო**
**3 000 (ტევადობა 19 432)**

**ტორპედო 1:0 ვიტ ჯორჯია**

**პირველი მატჩი 2:1**

1:0 ხვადაგიანი (43)

**ტორპედო:** ზოიძე, ლეკვან სილაგაძე, აბრამიძე, ხვადაგიანი, მახვილაძე (ბ. ჯინჭარაძე 76), თოდუა, დიდავა, ქემოკლიძე, იონანიძე (კვირკელიშვილი 83), აშვეთია (გუნუა 66), ჯანაშია

სათადარიგონი: ტოგონიძე; ჩხეტიანი, ი. ვაშაკიძე, მ. ბობოხიძე

**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე; კობაიშვილი, ინწკირველი (ადამია 46), ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი, დ. დოლიძე, ლ. ნოზაძე; დიმელაშვილი, ვიფიანი (სულთანიშვილი 69), ლ. მელქაძე, წუნუნავა (ვ. გოჩაშვილი 53)

სათადარიგონი: მერლანი; რ. გოცირიძე, გ. ქორიძე, კვარაცხელია

**გაფრთხილება:** დოლიძე (29)

**მსაჯები:** კ. მჭახი (ზუგდიდი); ბ. ცირდავა (ტყვარჩელი), ა. სამხარაძე; დ. სანაია (ორივე სოხუმი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**ქუთაისში**

(231) 7 17 58

**იყიდება**

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 60 მ² პირველ სართულზე.

ირაკლი აბაშიძის გამზირი №8, ჯინოთეატრ "სულიკოსთან"

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს უმაღლესი ლიგა 12 ჩემპიონატი
მეორე ეტაპი

# 8 ტური

მიმდინარეობა

# იცით ფოთის ესს?

## სოსოს საფეხბურთო სკოლა

### I–VI ადგილები

დავით ჯანაშიასა და ზურაბ იონანიძის „ტორპედომ“ გია ჩხაიძის (შუაში) „მერანი“ ავჭალაშივე წააქცია

გურამ დოლიძეს-ბაბალიანის ფოტო

**ვიტ ჯორჯია და ლოკომოტივი**

| | | |
|---|---|---|
| 19 | ჯარიმა | 23 |
| 4 | კუთხური | 3 |
| 11 | კარისკენ დარტყმა | 9 |
| 9 | კარში დარტყმა | 8 |
| 1 | თამაშგარე | 2 |

**კოლხეთი 1:2 დინამო**

| | | |
|---|---|---|
| 11 | ჯარიმა | 22 |
| 4 | კუთხური | 3 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 4 | კარში დარტყმა | 8 |
| 0 | თამაშგარე | 4 |

**მერანი 0:1 ტორპედო**

| | | |
|---|---|---|
| 11 | ჯარიმა | 15 |
| 2 | კუთხური | 5 |
| 2 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 3 | კარში დარტყმა | 4 |
| 3 | თამაშგარე | 3 |

**ძალიან** ცუდია საკუთარი ქომაგი რომ გიმხედრდება, შენი არ სჯერა და თითოეულ ნაბიჯს ეჭვის თვალით უყურებს. მერე ჩუმად, თავდახრილი მიდიხარ გასახდელისკენ, ზურგსუკან გაავებული ხალხის ლანძღვა-გინება მოგდევს. უნდა დაიმალო, მერე თავი იმართლო... გულშემატკივარს, სულ ცოტა ხნის წინ გინებით რომ ტოვებდა სტადიონს, უმოკლეს დროში ავიწყდება წყენა და გულიც უბრუნდება სათაყვანებელი გუნდისკენ. მაყურებელმა იცის, რომ გუნდი არაფერ შუაშია. ისიც იცის, ვინ არის თავში, მაგრამ ყველაფრის გულწრფელად თქმას სანახევროდ გულის მოოხება ურჩევნია. ამაში ტყუის ქომაგი. ისე, ერთიცაა — მისი ნათქვამი სიმართლე ბევრსაც რომ არ აინტერესებს? სწორედ ეს არის გასაჭირის თავიდათავი.

არ დამთავრდა „კოლხეთის“ გაახალგაზრდავების პროცესი. მოურჩენელი ტრავმებიც შეჰყრია სოსო ფილიას გუნდს. ხან ერთია სამკურნალო და ხან მეორე. ეს ოხერი ტრავმებიც გამორჩევით, დაგეგმილივით მატჩის წინ დაერევა ფოთელებს.

ქომაგს ეს არ ესმის, თურმე არ სურს, გაიგოს. „კოლხეთს“ ქულები არაფერში სჭირდება. თუა თამაშის იშტაზე, მოგეცათ ლხენა, ქულებს საქართველოში ნებისმიერს დააკარგვინებს, არადა, დგას თავისთვის, არც წინ მიდის და უკანაც გზა არ დარჩენია.

სამაგიეროდ, „დინამოს“ უნდოდა სამი ქულა. ყველაფერი გაიღო გამარჯვებისათვის და დღეს ათგზის ჩემპიონს ვერცხლისფერი რომ შეჰპარვია, სულ ამის ბრალია.

ქომაგი კი იგინებოდა, გაავებული ძლივს დაშოშმინდა. ჩვენ კი არ ვიცით, საბოლოოდ ყველაფერს სახელად რა ეწოდება. იქნებ ფეხბურთის ფედერაციამ იცოდეს?

ერთი ჰოპ! და „ტორპედო“ ჩემპიონია. 19 მაისამდე რიონისპირელებს კარგად აქვთ საქმე, 19 მაისს კი, ალბათ, დიდებულად ექნებათ. მანამდე „ტორპედომ“ ავჭალაში დაგეგმილი სამი ქულა აიღო. ბევრი საგოლე მომენტიდან მხოლოდ ერთი გამოიყენეს ქუთაისელებმა. ბოლოს ზოიძის გადასარჩენი გახდა „ტორპედო“, თუმც მოპოვებული სამი ქულის შემდეგ „მერანის“ მიერ შექმნილი და გაცუდებული მომენტები არავის გახსენებია.

დამთავრებამდე ორი ტურით ადრე რიონისპირელები ოთხ ქულას უგებენ ათგზის ჩემპიონს, ექვსს — თასის მფლობელსა და წლევანდელი გათამაშების ფინალისტს, რომელსაც სულ მალე სამი დღის შუალედით ორჯერ შეებრძოლება. ჯერ ვაკეში ჩემპიონატის ბოლო ტურში ვიხილავთ „ლოკომოტივი“ — „ტორპედოს“ დუელს, ხოლო 26 მაისს ისევ ვაკეში იქნება თამაში, ოღონდ თასის ფინალში.

მანამდე კი თითქმის ჩემპიონი „ტორპედო“ გაახალგაზრდავების გზაზე შემდგარ და ტრავმებმოძალებულ „კოლხეთს“ ისტუმრებს. საგვირგვინო და სამეფო თამაშია. ალბათ, ყუთი შამპანურიც რიონისპირელთა თადარიგში იქნება.

„დინამო“ ძალიან ახლოა ვერცხლთან. მეორეობაც არ გახლავთ ურიგო, მაგრამ ამისთვის „ლოკომოტივია“ წასაქცევი. თასის ფინალისტი ორი ქულით ჩამორჩება ათზგის ჩემპიონს. მეორეობის შანსი კიდევ შერჩენიათ რკინიგზელებს და იმედი უფრო დიდი იქნებოდა, შაბათს მცხეთაში რომ ემარჯვათ.

არა, ქულითაც უკმაყოფილონი როდი უნდა იყვნენ ლოკომოტიველები. რომ წაეგოთ, რისი დიდი შესაძლებლობაც იყო, მთლად თასის ამარა რჩებოდნენ, მაგრამ... კარგი შანსი გაუშვა ხელიდან „ვიტ ჯორჯიამ“ და პრიზიორობის იმედიც თითქმის გადაწურა.

ზეექვსეულში მერვე ტური სტუმრისა გამოდგა. ოდენ კინკილა ქულა ერგო მასპინძელს. გოლიც ერთი გაიტანა სამის საპასუხოდ. საქმეს ისეთი პირი უჭირს, რომ ყველაფერი, თასის მფლობელის ვინაობის გარდა, 19 მაისს უნდა გაირკვეს. არადა, 23 მაისიც ხომ ახლოა. თეორიც და შავიც მაშინ გამოჩნდება.

„ბათუმი“ უმაღლესლიგელია! ამას წყალი არ გაუვა. დარჩენილი ორი მატჩი რომც წააგონ ზღვისპირელებმა, საფრთხე მაინც არსაიდან ემუქრებათ. ასლან ბალაძის გუნდმა სამი უპასუხო გოლი გაუტანა „სიონს“. ვერაფერი გაახერხეს სტუმრებმა და მაინცდამაინც არც თავი მოუკლავთ.

„სიონს“ ოდნავ კი გაურთულდა საქმე, მაგრამ არა გვგონია, თავში საცემად. ალბათ, „სიონიც“ უმაღლესლიგელია.

გორის „დილამ“ ზედიზედ ორი გამარჯვებით ვითარება კი გამოიკეთა, მაგრამ თუ სიმშვიდე უნდა, დარჩენილ ორ მატჩში ოთხი ქულის აღებაც მართებს.

„გორდას“ სამი ქულა თითქმის განაღდებული აქვს. ბოლო ტურში „იბერიას“ ესტუმრება. მანამდე საკუთარ „ფოლადზე“ „დილა“ თუ დაამარცხა, ხომ მთლად დალხენილი იქნება, თუ არადა...

თსუ-ს კი გაუჭირდება. ქულა გაატანა „არმაზიდან“ კონკურენტს, ორი თამაშის მოგება კი საძნელო საქმეა ახალგაზრდული გუნდისთვის.

ხუთი გაიტანა და სამი გაუშვა მასპინძელმა, თუმც საბოლოო უპირატესობა მაინც სტუმარს ერგო. ქვეექვსეულში ასე დააკანონა მერვე ტურმა...

**ვამუცა ძვანტალიანი**

ნუსრი ბარდანიძის ფოტო

თითქოს გოლია, მაგრამ... ალეკო გოგობერიშვილის დარტყმული რკინიგზელთა კედელსაც გადაევლო და კარსაც მცირედით ასცდა

**სიმბოლური ნაკრები**

ზაზა ზირაქიშვილი — დინამო
მიხეილ გოგოხიძე — ტორპედო
ლაშა ნუზაძე — ვიტ ჯორჯია
გიორგი ჟიჟიანი — ვიტ ჯორჯია
დავით ჭიჭვიშვილი — ლოკომოტივი
ვახტანგ იაგორაშვილი — დინამო
არჩილ სახვაძე — დინამო
თენგიზ ქოქიაშვილი — ვიტ ჯორჯია
ქახა ცხადაძე — ლოკომოტივი
როინ ონიანი — ლოკომოტივი
სერგო ჟურაძე — ვიტ ჯორჯია

გუნდი: ტორპედო
მწვრთნელი: დავით ჟიჟიანი და რევაზ ქოქუაშვილი

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 8 | 5 | 2 | 1 | 10:5 | 5 | 41 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:1 | 6 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 7 |
| 2 დინამო | 8 | 3 | 4 | 1 | 13:8 | 5 | 37 | 4 | 2 | 2 | 0 | 9:4 | 5 | 8 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 0 | 5 |
| 3 ლოკომოტივი | 8 | 1 | 4 | 3 | 6:9 | -3 | 35 | 4 | 1 | 3 | 0 | 6:4 | 2 | 6 | 4 | 0 | 1 | 3 | 0:5 | -5 | 1 |
| 4 ვიტ ჯორჯია | 8 | 3 | 3 | 2 | 11:8 | 3 | 31 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:1 | 6 | 10 | 4 | 0 | 2 | 2 | 4:7 | -3 | 2 |
| 5 კოლხეთი | 8 | 2 | 1 | 5 | 9:14 | -5 | 23 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:4 | 1 | 6 | 4 | 0 | 1 | 3 | 4:10 | -6 | 1 |
| 6 მერანი | 8 | 1 | 2 | 5 | 1:12 | -11 | 18 | 4 | 2 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 0:8 | -8 | 1 |

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ბათუმი | 8 | 4 | 3 | 1 | 11:3 | 8 | 29 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:1 | 5 | 9 | 4 | 1 | 3 | 0 | 5:2 | 3 | 6 |
| 2 სიონი | 8 | 4 | 2 | 2 | 11:10 | 1 | 24 | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 5 | 10 | 4 | 1 | 1 | 2 | 7:9 | -2 | 4 |
| 3 დილა | 8 | 4 | 1 | 3 | 15:7 | 8 | 22 | 4 | 3 | 1 | 0 | 13:2 | 11 | 10 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:5 | -3 | 3 |
| 4 გორდა | 8 | 3 | 2 | 3 | 10:11 | -1 | 20 | 4 | 3 | 1 | 0 | 10:4 | 6 | 10 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | -3 | 4 |
| 5 თსუ | 8 | 3 | 1 | 4 | 8:15 | -7 | 20 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 2 | 7 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:11 | -9 | 3 |
| 6 იბერია | 8 | 0 | 1 | 7 | 6:21 | -15 | 3 | 4 | 0 | 1 | 3 | 4:9 | -5 | 1 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:12 | -10 | 0 |

### VII–XII ადგილები

**იბერია 1:2 დილა**

| | | |
|---|---|---|
| 11 | ჯარიმა | 13 |
| 2 | კუთხური | 8 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 11 |
| 1 | კარში დარტყმა | 14 |
| 8 | თამაშგარე | 9 |

**ბათუმი 3:0 სიონი**

| | | |
|---|---|---|
| 15 | ჯარიმა | 12 |
| 5 | კუთხური | 4 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 1 |
| 5 | კარში დარტყმა | 1 |
| 2 | თამაშგარე | 4 |

**თსუ 1:1 გორდა**

| | | |
|---|---|---|
| 14 | ჯარიმა | 12 |
| 5 | კუთხური | 1 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 3 | კარში დარტყმა | 5 |
| 1 | თამაშგარე | 6 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 21 - ზირაქიშვილი | დინამო |
| 13 - ლ. მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| 11 - დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| 10 - რუსია | ლოკომოტივი |
| ონიანიძე | ტორპედო |
| 9 - გადელია | დინამო |
| გ. შენგელია | ლოკომოტივი |
| ყულეჯიშვილი | ბათუმი |
| ისიანი | სიონი |
| გ. ვ. მიქაძე | დინამო |
| 8 - ა. მუჯირი | ბათუმი |

# რაღაა იგი ჰეთ თრიქი...

**შოთა არველაძის** სამმა გოლმა „აიაქსს“ ვერ უშველა. ამსტერდამელებმა შინ, „არენაზე“ 3:4 წააგეს „ფეიენოორდთან“ და ჩემპიონთა ლიგაში პირდაპირ მოხვედრის შანსი თითქმის დაკარგეს. ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე ისინი შვიდი ქულით ჩამორჩებიან „ფეიენოორდს“, თუმცა ერთი მატჩი კიდევ მარაგში აქვთ.

ჰოლანდიელმა ჟურნალისტებმა გამოთვალეს, რომ „აიაქსმა“ როტერდამულ კლუბთან ბოლო 18 წელიწადში შინ პირველად წააგო. წაგო თავისივე უნიათობისა და დაცვის რაღაც სასაცილო არეულ-დარეულობის გამო.

თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ. ბონავენტურე კალუს პასით ირლანდიელმა დევიდ კონოლიმ გაიტანა. მერე, ექვს წუთში შოთამ ორი ეფექტური გოლი შეაგდო. შესვენების შემდეგ კი მასპინძლებს დაახლოებით 15 წუთიანი ისეთი ჩავარდნა ჰქონდათ, ოსტატების გუნდს რომ არ ეკადრება. ამსტერდამელები შეცვლაზე შესულმა ლეონარდომ, ისევ კონოლიმ და დანიელმა ტომასონმა დასაჯეს. მეოთხე გოლი ხომ საერთოდ სამარცხვინო გახლდათ, ოთხი ფეიენოორდელი აღმოჩნდა მეკარე გრიმის პირისპირ, გარშემო აიაქსელი მცველების ჭაჭანებაც არ იყო...

მერე, როცა დამთავრებას ექვსი წუთი უკლდა, შოთამ თავისი მესამე და, ალბათ, მატჩის ულამაზესი გოლი შეაგდო: მეტოქის საჯარიმოში მყოფმა ქართველმა მკერდზე გაიჩერა ბურთი და მიწაზე დაუშვებლად ძლიერად დაარტყა. აი, ასე იქცა შოთა ოდინდელ მეტოქეთა ბრძოლის ტრაგიკულ გმირად.

გერმანულ ბუნდესლიგაში გაიტანა მისმა ტყუპისცალმა არჩილმაც. „ვერდერთან“ საშინაო მატჩში ქართველი თავიდანვე გაიყვანეს მინდორზე და მანაც მე-20 წუთზე მეკარე როსტს შანსი არ დაუტოვა. ამ დროისთვის მასპინძელი კიოლნელები 0:1 აგებდნენ. მერე კი მწვრთნელმა ევალდ ლინენმა ცოტა უცნაურად გადაწყვიტა. არველაძე მცველ სიხონეთი შეცვალა. დაცვის გაძლიერებამ და კონტრშეტევებზე დაყრდნობამ „კიოლნს“ ვერაფერი ხეირი დააყარა. აილტონის ორი გოლი და „ვერდერმა“ 3:1 მოიგო.

მოკლედ, არველაძეების მონდომებამ ფუჭად ჩაიარა.

ბუნდესლიგაშივე ჩვენებურთა „ფრაიბურგმა“ სტუმრად უკვე გავარდნილ „ბოხუმს“ 3:1 აჯობა. ქართველთაგან მხოლოდ კობიაშვილმა ითამაშა. ახლა ფოლკერ ფინკეს გუნდს 52 ქულა მოუგროვდა და მეოთხე — „ლევერკუზენს“ სულ ორი ქულით ჩამორჩება. მეოთხე ადგილი, მოგეხსენებათ, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო წრის საგზურს იძლევა, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა „ფრაიბურგმა“ ბერტი ფოგთსის ბიჭებს აჯობოს. ბოლო ტურში „ლევერკუზენი“ ბოლოადგილოსან „ბოხუმს“ ხვდება და...

სამაგიეროდ, ფრაიბურგელებს უეფას თასზე მოხვედრის კარგი შანსი აქვთ. ახლა მთავარია 19 მაისს შინ „ვოლფსბურგთან“ არ წაგონ და დანარჩენი მერე ვნახოთ.

იტალიაში კახა კალაძე მართლაც ისტორიული მატჩის მონაწილე გახდა. მილანური დერბი თავისთავად მოვლენაა, მაგრამ 6:0... საინტერესოა, რომ „მილანს“ „ინტერისთვის“ ამდენი ბურთი 1911 წლის შემდეგ, ანუ 90 წელიწადი არ გაეტანა...

კახამ კვლავაც კარგად ითამაშა. ნახევარდაცვაში საიმედოდ ირჯებოდა და ბოლოს შევჩენკოსაც გაატანინა. ქართველმა დაახლოებით ოცი მეტრი ირბინა მარცხენა ფრთაზე, მერე საჯარიმოში შევჩენკოს გამოზომილად დაუგორა და უკრაინელმაც სეზონში თავისი 23-ე გოლი გაიტანა.

მილანელთა გასახარად მაჩანჩალა „რეჯინასთან“ წააგო „პარმამ“. ახლა ჩეზარე მალდინის „შავ-წითელი“ ჯარი უშუალო კონკურენტს ისევ სამი ქულით ჩამორება. ასე რომ, ჩემპიონთა ლიგაში გასვლის შანსი ჯერ კიდევ არის.

კახას კი ბოლო წუთზე ძალიან ცუდად მოექცა კლარენს ზეედორფი. ჰოლანდიელმა უწყინარ სიტუაციაში ჩვენებურს ფეხი განგებ დაბიჯა და გაამწარა. საერთოდ ზეედორფი აუტანელი ხასიათითაა ცნობილი. იმ საღამოს თამაში არ გამოუვიდა, რაშიც კალაძის წვლილიც ერია და შური ამგვარად იძია.

ლატვიაში „სკონტომ“ ქვეყნის თასის გათამაშების საპასუხო ნახევარფინალში (პირველი მატჩი 1:1) „მეტალურგს“ 4:1 მოუგო და 23 მაისს ფინალში „დინბურგს“ შეხვდება. ამ „დინბურგსს“ სკონტოელებმა ჩემპიონატის მატჩში 1:0 მოუგეს. ბოლო წუთზე კორღალიძემ მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდა, ბურთი მეტოქე მცველს მოხვდა და კარში შევარდა.

მოლდოვაში კი ლიდერთა ჯახი გაიმართა. კიშინიოვში ლევან გვაზავასა და ლადო ახალაიას „ზიმბრუს“ დავით მუჯირის „შერიფმა“ 3:1 მოუგო და ერთი ქულით გადაუსწრო. ახლა „შერიფი“ 55 ქულით პირველ ადგილზეა, „ზიმბრუ“ კი მდევრად იქცა. ჩემპიონობისთვის მხოლოდ ეს ორი გუნდი იბრძვის, რადგან მესამე — „ტილიგულს“ მხოლოდ 35 ქულა აქვს. მუჯირი კი ბომბარდირთა დავაში ჩაბმულა, 12 გოლი გაუტანია და მთავარ მეგოლე, „ჰაიდუკ-სპორტინგის“ ბარბეროშს მხოლოდ ორი ბურთით ჩამორჩება.

**სოლომონ გულისაყვილი**

შოთამ თავისი სამი გაიტანა...

| სახელი | გვარი | გუნდი | | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | | | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | | | | | | |
| ალექსანდრე | იაშვილი | ფრაიბურგი | ს | | ბოხუმი 3:1 | 0 | ტრავმირებულია | 26 | 5 | 6 |
| ლევან | კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | | ბოხუმი 3:1 | 90 | | 29 | 8 | 6 |
| ლევან | ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | | ბოხუმი 3:1 | 0 | ტრავმირებულია | 20 | 0 | 6 |
| გიორგი | კიკნაძე | ფრაიბურგი | ს | | ბოხუმი 3:1 | 0 | | 0 | 0 | 6 |
| არჩილ | არველაძე | კიოლნი | შ | | ვერდერი 1:3 | 45 | შეცვალეს, 1 გოლი | 26 | 7 | 10 |
| მეორე ბუნდესლიგა | | | | | | | | | | |
| მიხეილ | საჯაია | როიტლინგენი | ს | | ულმი 3:2 | 22 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 0 | 7 |
| გიორგი | დეკანოსიძე | ფიურტი | შ | | გლადბახი 2:2 | 0 | | 1 | 0 | 5 |
| **შოტლანდია** | | | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | | | |
| გიორგი | ნეშაძე | დანდი | ს | | სელტიკი 2:0 | 0 | საქართველოში იმყოფება | 33 | 2 | 6 |
| ზურაბ | ხიზანიშვილი | დანდი | ს | | სელტიკი 2:0 | 33 | გააძევეს | 6 | 0 | 6 |
| **იტალია** | | | | | | | | | | |
| სერია A | | | | | | | | | | |
| კახა | კალაძე | მილანი | ს | | ინტერი 6:0 | 90 | საგოლე პასი | 14 | 2 | 5 |
| **ესპანეთი** | | | | | | | | | | |
| პრიმერადივიზიონი | | | | | | | | | | |
| გიორგი | დემეტრაძე | სოსიედადი | ს | | ვილიარეალი 3:1 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 17 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | | | |
| შოთა | არველაძე | აიაქსი | შ | | ფეიენოორდი 3:4 | 90 | 3 გოლი | 24 | 16 | 4 |
| გოგა | გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | ს | | როზენდალი 2:1 | 0 | | 4 | 0 | 1 |
| **ბელგია** | | | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | | | |
| გელა | შეყილაძე | ლიერსი | შ | | ბრიუგე 0:2 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 27 | 1 | 11 |
| ლაშა | ჯაკობია | აალსტი | ს | | ანტვერპენი 0:0 | 0 | | 3 | 1 | 16 |
| **შვეიცარია** | | | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | | | |
| გოჩა | ჯამარაული | ციურიხი | ს | | გრასჰოპერი 2:4 | 90 | | 31 | 9 | 7 |
| მიხეილ | ყაველაშვილი | ციურიხი | ს | | გრასჰოპერი 2:4 | 90 | 1 გოლი | 29 | 13 | 7 |
| A/B ჯგუფი | | | | | | | | | | |
| ლევან | ხომერიკი | არაუ | შ | | ლუცერნი 3:0 | 8 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 25 | 7 | 4 |
| ზაზა | ზამთარაძე | ვინტერთური | შ | | ბელინცონა 3:1 | 0 | | ? | 0 | 5 |
| **რუსეთი** | | | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | | | |
| ზაზა | ჯანანია | ლოკომოტივი | ს | | ანჟი 0:1 | 45 | შეცვალეს | 9 | 2 | 6 |
| ოთარ | ხიზანეიშვილი | სპარტაკი | ს | | დინამო 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| ზურაბ | ფოფხაძე | ალანია | შ | | ზენიტი 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 5 | 0 | 11 |
| თორნიკე | რუხაძე | ალანია | შ | | ზენიტი 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 11 |
| დავით | ხმელიძე | როსტსელმაში | ს | | სატურნი 1:0 | 0 | | 0 | 0 | 14 |
| პირველი ლიგა | | | | | | | | | | |
| ზვიად | ჯელაძე | კრისტალი | შ | | სპარტაკი 2:1 | 90 | | 6 | 0 | 2 |
| | | კრისტალი | ს | | გაზპრომი 0:1 | 73 | შეცვალეს | 7 | 0 | 2 |
| თენგიზ | სიჭინავა | კრისტალი | შ | | სპარტაკი 2:1 | 0 | | 5 | 0 | 2 |
| | | კრისტალი | ს | | გაზპრომი 0:1 | 0 | | 5 | 0 | 2 |
| თეიმურაზ | გადელია | კრისტალი | შ | | სპარტაკი 2:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 1 | 2 |
| | | კრისტალი | ს | | გაზპრომი 0:1 | 24 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 1 | 2 |
| გიზო | ჯელაძე | ბალტიკა | ს | | ლოკომოტივი 0:5 | 25 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 16 |
| | | ბალტიკა | შ | | ნ.ნოვგოროდი 2:1 | 90 | გაფრთხილეს | 2 | 0 | 14 |
| იური | გაბისკირია | სპარტაკი | ს | | კრისტალი 1:2 | 45 | გაფრთხილეს, შეცვალეს | 4 | 0 | 4 |
| | | სპარტაკი | შ | | შინიკი 1:0 | 15 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 0 | 3 |
| **უკრაინა** | | | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | | | |
| გოჩა | ტრაპაიძე | ტავრია | ს | | შახტარი 0:5 | 51 | შეცვალეს | 18 | 2 | 8 |
| ვასილ | გიგიაძე | ტავრია | ს | | შახტარი 0:5 | 39 | შეცვლაზე ითამაშა | 15 | 4 | 8 |
| ავთანდილ | კაპანაძე | ნივა | შ | | კრივბასი 0:2 | 0 | | 15 | 6 | 14 |
| ტარიელ | კაპანაძე | ნივა | შ | | კრივბასი 0:2 | 0 | | 15 | 1 | 14 |
| ავთანდილ | გვიანიძე | ნივა | შ | | კრივბასი 0:2 | 0 | | 9 | 2 | 14 |
| ლევან | მიქაძე | ცსკა | შ | | მარიუპოლი 0:2 | 28 | შეცვლაზე ითამაშა | ? | 0 | 5 |
| **პოლონეთი** | | | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | | | |
| მამია | ჯიქია | რუხი | ს | | პლოცკი 4:3 | 90 | | 15 | 1 | 8 |
| | | რუხი | შ | | ვისლა 2:1 | 90 | | 16 | 1 | 7 |
| **ისრაელი** | | | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | | | |
| კობა | წიტაიშვილი | ი. რიშონი | შ | | ფეთახ თიკვა 2:0 | 85 | შეცვალეს | 30 | 12 | 10 |
| **ლატვია** | | | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | | | |
| ალექსანდრე | რეხვიაშვილი | სკონტო | შ | | დინაბურგი 1:0 | 90 | | 4 | 1 | 1 |
| ზურაბ | მენთეშაშვილი | სკონტო | შ | | დინაბურგი 1:0 | 0 | | 2 | 0 | 1 |
| დავით | ჩალაძე | სკონტო | შ | | დინაბურგი 1:0 | 0 | | 5 | 1 | 1 |
| ლევან | კორღალიძე | სკონტო | შ | | დინაბურგი 1:0 | 45 | შეცვლაზეითამაშა, საგ. პასი | 5 | 2 | 1 |
| გივი | კვარაცხელია | სკონტო | შ | | დინაბურგი 1:0 | 0 | | 3 | 0 | 1 |
| თამაზ | პერტია | რიგა | შ | | ვენტსპილსი 0:1 | 0 | | 0 | 0 | 7 |
| თასის ნახევარფინალი | | | | | | | | | | |
| ალექსანდრე | რეხვიაშვილი | სკონტო | შ | | მეტალურგსი 4:1 | 90 | | 2 | 0 | |
| ზურაბ | მენთეშაშვილი | სკონტო | შ | | მეტალურგსი 4:1 | 0 | | 0 | 0 | |
| დავით | ჩალაძე | სკონტო | შ | | მეტალურგსი 4:1 | 0 | | 2 | 1 | |
| ლევან | კორღალიძე | სკონტო | შ | | მეტალურგსი 4:1 | 33 | შეცვლაზეითამაშა, საგ. პასი | 3 | 1 | |
| გივი | კვარაცხელია | სკონტო | შ | | მეტალურგსი 4:1 | 0 | | 2 | 1 | |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ჯაზმეიან-ჯამბაზი სპარსელებს გაპვლა. ქართველებს სწაპვლა

**პაატა კვანტალიანი**

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ**
**16 მაისი**
**16 საათი**
**ᲘᲠᲐᲜᲘ**
**800 (ტელევიზია 70 900)**

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ 2:4 ᲘᲠᲐᲜᲘ

**ცხრამეტწლამდელები**

**1:0 გუშარაშვილი (10), 1:1 ჰადადი (20), 1:2, 1:3 ისმაილი (24, 32), 23 ქოქიაშვილი (44), 2:4 მადანჩი (72)**

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:** ჭრიკიშვილი (ბობღიაშვილი 85), მამფორია, გუშარაშვილი, ფეიქრიშვილი (ციმაკურიძე 75), ხარბედია (კუპრეიშვილი 64), ებანოიძე (მანჭარაული 81), ქოქიაშვილი, ლუქაშვილი (ბალანია 67), ლომიძე, ფუტკარაძე (ნადირაშვილი 56), დათუნაიშვილი (ქუხილავა 41)

**ᲘᲠᲐᲜᲘ:** ყასემი, ფალაპი, აშური (მონაჯათი 80), ლოთფი (სადუფინეჟანი 56), ქაში (ზარე 80), დალაელე, მობალი (საკუფური 53), ჯაზემიანი, მადანჩი, ჰადადი (ოსტოვარი 79), ისმაილი (ხოჯეზე 79)

**სათადარიგო:** იუსუფი

**ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲘ:** ქაში (3), ებანოიძე (13), ლუქაშვილი (15), ოსტოვარი (88)

**ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲚᲘ:** ზარე (87)

**ᲛᲡᲐᲯᲚᲔᲑᲘ:** ა. ორდინიძე (ონი); ზ. მენთეშაშვილი, ი. შალამბერიძე; მ. მაისურაძე (სამივე თბილისი)

**ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲘᲜᲡ�პᲔᲥᲢᲝᲠᲘ:** ბ. ქარქაშაძე

**გუშინ** „ეროვნულზე“ სპარსელებმა პირწმინდად დაჩაგრეს ქართველი ცხრამეტწლამდელები და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს.

ჩვენი გუნდისგან განსხვავებით, სტუმრებმა მთელი მატჩის განმავლობაში გააზრებული ფეხბურთი აჩვენეს, შეკრულ-შეთამაშებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს. მათი სახით ირანის ეროვნულ ნაკრებს მართლაც ღირსეული მომავალი ეზრდება. სპარსელთა ოსტატობაზე ისიც მეტყველებს, რომ გუშინდელ მატჩში მათ ხუთჯერ დაარტყეს ქართველთა კარში და აქედან ოთხჯერ გოლიც გაიტანეს. საგოლე მომენტების რეალიზაციის ამგვარი მაჩვენებლით კი ბევრი გუნდი ვერ დაიტრაბახებს. არადა, ერთი შეხედვით ქართველებიც ჟინით იბრძოდნენ, ცდას არ აკლებდნენ, მაგრამ ნათქვამია, ძალა აღმართს ხნავსო, გელა გომელაურის გუნდი არ იყო გუშინ ირანელთა შემჩერებელი. თავის დამშვიდება იმით თუ შეგვიძლია, რომ 19-წლამდელთა ნაკრების დღევანდელმა ბირთვმა ჩამოყალიბების შემდეგ, ფაქტობრივად, მესამე მატჩი ჩაატარა. მანამდე გუნდი მხოლოდ ვარჯიშებით გადიოდა ფონს, ასეთი მარაგით კი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასული ირანელი 21-წლამდელების დამარცხება წარმოუდგენელიც იყო. ერთიცაა, გომელაური კვლავაც ძიების პროცესშია და ნაკრების თითოეული რგოლი ჯერაც დასახვეწია. ნაკრების მწვრთნელთა უმთავრესი საზრუნავიც ისაა, ოქტომბრისთვის გუნდი სრულ მზადყოფნაში შეახვედრონ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს, მაგრამ რამდენად შესაძლებელია ეს, ძნელი სათქმელია. ჩვენს ნაკრებს ჰყავს უაღრესად ნიჭიერი და პერსპექტიული ნახევარმცველები — დავით ქოქიაშვილი და გიორგი ფეიქრიშვილი. ტანმაღალი, ჯანიანი, თითქმის უშეცდომო მცველი ნიკოლოზ გუშარაშვილი. პერსპექტიული ფეხბურთელები არიან იოსებ მანჭარაული და კოკა ქუხილავა, მაგრამ ნაკრების მესვეურთ ძალიან ბევრი შრომა დასჭირდებათ საიმისოდ, რომ კარს მომდგარ შესარჩევ ციკლში (მეტოქეებად უნგრეთი და ინგლისი გვყავს) სირცხვილი არ ვჭამოთ...

გუშინდელ მატჩში გუშარაშვილმა გახსნა ანგარიში, მე-10 წუთზე იგი ქოქიაშვილის კუთხურიდან ჩაგზავნილს დაუხვდა საჯარიმოში და თავით აუღებელი დაურტყა ყასემს. ირანელები იქამდეც მონდომებით ირჯებოდნენ და გოლმა მეტი შემართება შემატათ, 10 წუთში ჰადადმა გაქვითა... სტუმრებში გამოირჩეოდა სხარტი მარჯვენა ნახევარმცველი ჯაზემიანი. ამ ტანმორჩილმა ფეხბურთელმა აიკლო ჩვენი მარცხენა ფლანგი. ჯაზემიან-ჯამბაზმა სიქა გააცალა ქართველებს, მისი ფლანგიდან საჯარიმოში გაჭრილი ბურთი ზუსტად მიდიოდა დანიშნულების ადგილამდე, ანუ პარტნიორამდე. ასე გაიტანა ჰადადმა და მოგვიანებით ორჯერ ისმაილმა. მოკლედ, სტუმრებს 32-ე წუთისთვის საქმე მოთავებული ჰქონდათ, პირველი ტაიმის ბოლოს მასპინძლებმა ქოქიაშვილის ინდივიდუალური ოსტატობის შედეგად შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. ქოქიაშვილმა სტუმართა მცველების უაშვიათესი შეცდომით ისარგებლა და მოჭრილი, ძლიერი დარტყმით თხუთმეტიოდე მეტრიდან ხარიხის გავლით კარში მიუჩინა ბურთს ადგილი.

მეორე ტაიმი სანახაობრივად პირველს ჩამორჩებოდა და მთლიანობაში ირანელთა სწრაფი, მწყობრი შეტევებით გაილია. ქართველებმა მხოლოდ საწყის წუთებში გაიბრძოლეს, თუმც ვერაფერს გამორჩნენ. მადანჩის გოლი კი ისმაილის გამოზომილ პასს მოჰყვა. ჭრიკიშვილმა ვერაფერი იღონა პირისპირ შეერილი სპარსის წინააღმდეგ.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე სტუმართა თავკაცმა მეჰდი მონჯათმა მადლობა გადაიხადა გულთბილი მასპინძლობისთვის. ვეცდებით, აგვისტოში თავი არ შევირცხვინოთ, როდესაც თქვენები ირანში ჩამოვლენ საპასუხო ვიზიტითო, გვითხრა მონჯათმა. ქართველ 19-წლამდელთა მთავარი მწვრთნელი გელა გომელაური კი დაგვიპრდა, რომ ყველა ღონეს იხმარს, რათა ღირსეული კანდიდატები გაუზარდოს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს: „ფაქტია, დღეს ჩვენი გუნდის ფეხბურთელთა 80 პროცენტი მოუმზადებელია. ეს სათამაშო პრაქტიკის არქონის ბრალიცაა. ეს წაგება კატასტროფა ნამდვილად არაა. ჩემი უმთავრესი მიზანია, ეროვნულ ნაკრებს ღირსეული ცვლა ჰყავდეს. გპირდებით, რომ რამდენიმე ფეხბურთელი ამ ნაკრებიდან ქვეყნის უპირველეს გუნდში ითამაშებს“ — თქვა გომელაურმა.

ᲒᲐᲓᲠᲘ ᲙᲘᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡ ფოტოები

ირანელებმა ქართველთა კარისკენ ხუთჯერ დაარტყეს და ოთხი გაიტანეს

ქართველთა პირველი გოლი ნიკოლოზ გუშარაშვილისა (№4) იყო

# საჯაია დანდის მიაბარეს

## შოტლანდიაში უკვე სამი ქართველია

**10 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ** თბილისიდან ლონდონს, იქიდან კი ედინბურგს ჩაფრინდა ახალგაზრდული ნაკრებისა და „ვიტ ჯორჯიას“ მარჯვენაფლანგელი მცველი, ეროვნულ გუნდში ნათამაშევი 20 წლის ედიკ საჯაია.

ვეტერინარის შოტლანდიაში გამგზავრება მოულოდნელი არ ყოფილა, თუმც საჯაიას უცხოურ ვოიაჟს ცოტა მოგვიანებით ველოდით. ქართველის სქოთთა ქვეყანაში გამოჩენა ძალაუნებურად გიორგი ნემსაძისა და ზურაბ ხიზანიშვილის „დანდის“ მოაგონებს ქომაგთ. გასაკვირიც არაფერია, „ვიტ ჯორჯიას“ თავკაცი ჯანი კარნევალი და „დანდის“ მწვრთნელი ივანო ბონეტი ხომ იტალიელები, ამსთანავე კარგი ნაცნობები არიან.

ედინბურგში საჯაიას „დანდის“ წარმომადგენლები დახვდნენ, კიდევ 100 კილომეტრი გაიარეს და ჩვენებური ივანო ბონეტის მიაბარეს. იმ წუთიდან საჯაია გუნდთან ერთად ვარჯიშობს და მომავალი კლუბის ვინაობა მხოლოდ მასზეა დამოკიდებული.

სანამ ედიკი ვარჯიშობს და ცდილობს, დანდელებს თავი მოაწონოს, მანამ „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტ გურამ რუხაძეს მოვუსმინოთ:

„საჯაიას შოტლანდიაში გამგზავრება მთლიანად კარნევალის დამსახურებაა. სინიორ ჯანის და ივანო ბონეტის ერთმანეთში კარგი ურთიერთობები აქვთ. გარდა ამისა, „ვიტ ჯორჯიას“ მენეჯერთა ჯგუფის წარმომადგენელი, „მილანის“ ყოფილი ფეხბურთელი ენცო გამბაროც არის ჩართული საქმეში.

საჯაიას იტალიური გუნდებიდანაც ჰქონდა მოწვევა, მაგრამ ამ ეტაპზე „დანდის“ ვარიანტი უფრო რეალური ჩანდა. ედიკს თამაშების ასპროცენტიანი შედეგი უგროვდება ახალგაზრდულ ნაკრებში, ბოლო მატჩებში კაპიტანიც იყო. ეროვნული გუნდის ბოლო ორ შეხვედრაშიც გამოიძახეს მწვრთნელებმა. ისრაელთან ტრავმის გამო ვერ ითამაშა, ხოლო აზერბაიჯანთან სასტარტო შემადგენლობაში იყო. მთავარია, საჯაიამ ივარგოს, თორემ დღეისთვის სხვა ხელისშემშლელ ფაქტორებს ვერ ვხედავ. „ვიტ ჯორჯია“ კი ყველანაირად შეუწყობს ხელს, რათა საჯაიამ უცხოეთში ითამაშოს“.

ვნახოთ, როგორ განვითარდება მესამე ქართველის კარიერა შოტლანდიაში. საჯაიამ ხომ ჯერ რამდენიმე ვარჯიშის ჩატარება მოასწრო „დანდის“ რიგებში. ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ საჯაიას „ვიტ ჯორჯიას“ გარდა ხობის „ოლიმპიაში“, „დინამო 2“-სა და „დინამოში“ უთამაშია.

**ᲓᲐᲗᲝ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ**

ᲒᲐᲓᲠᲘ ᲙᲘᲗᲘᲚᲐᲫᲘᲡ ფოტო

ედიკ საჯაია (მარცხნივ) ახლა დანდურად ვარჯიშობს


1868 წლიდან: "მიხეილის" საქალაქო საავადმყოფო

1924 წლიდან: რესპუბლიკური საავადმყოფო ჰლეხანოვზე

1973 წლიდან: რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო ვაჟა-ფშაველაზე

2000 წლიდან: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძის სახელობის

**ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲐ**



**ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ**
ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ 29

**ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ**
კანცელარია: 39 23 89
ცნობათა ბიურო: 39 22 89
მიმღები განყოფილება: 39 26 32

**ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝ�გᲘᲔᲑᲘ**

# ალავესი

## სავარაუდო შემადგენლობა

1. მარტინ ერერა, 30 წლის. არგენტინელმა მეკარემ თამაში „ბოკა ხუნიორსში“ დაიწყო და ხუთი წლის წინ ერთი სეზონი ბერგამოს „ატალანტაში“ გაატარა. მერე კვლავ სამშობლოში დაბრუნდა, „ფერო კარილის“ კარს იცავდა და 1999 წელს გადავიდა „ალავესში“.
2. კოზმინ კონტრა, 25 წლის. ბუქარესტის „დინამოს“ და ტიმოშოარას „პლოეშტის“ ყოფილი უკანა მცველი ორი სეზონია „ალავესში“ თამაშობს და გადასვლისთანავე ბასკ ქომაგთა სიმპათია დაიმსახურა, როგორც სიმედოო მცველმა, რომელსაც შეტევაში ჩართვაც შეუძლია. ფინალში გასვლაში „ალავესს“ მისი სამიგოლიც დაეხმარა.
5. ანტონიო კარმონა, 33 წლის. დღეს უკვე ვეტერანმა მცველმა თამაში სამოყვარულო „ბერმეოში“ დაიწყო, საიდანაც ასევე უსახელო „სესტაოში“ გადავიდა. მერე იყო „ეიბარი“ და 1996 წლიდან ის „მენდისოროსაზეა“ და მოგვიანებით „ალავესის“ კაპიტანიც გახდა.
6. ოსკარ ტელიესი, 25 წლის. ყოფილი ვილიარეალელი ცენტრალური მცველი ამ სეზონში გუნდის ხერხემლად იქცა და დაცვის ხაზი მასზეა აგებული. მისმა გოლებმა „ლილესტრიომისა“ და „ინტერის“ კარში „ალავესი“ თასისთვის რეალურად მებრძოლ გუნდად აქცია. მისი საფეხბურთო კარიერა „პონტევედრაში“ დაიწყო და ამ სეზონში ესპანეთის ნაკრებშიც გამოიძახეს.
7. დელფინ ჯელი, 32 წლის. წინა წელს „ალავესში“ მოხვედრამდე მან საკმაოდ გრძელი გზა გაიარა — „ხირონა“, „ბარსელონა B“, მადრიდის „ატლეტიკო“ და „ალბასეტე“. ნომინალურად ის მცველია, თუმცა ფლანგებზე წინ გაჭრილიც გვინახავს. მიუხედავად ფეხბურთელისთვის სოლიდური ასაკისა, ის მთელი სეზონი ისე თამაშობს, დაღლა არ ეტყობა.
14. ხორდი კრუიფი, 26 წლის. იოჰან კრუიფის შვილობამ მას თავიდანვე დიდ კლუბში — „ბარსელონაში“ ამოაყოფინა თავი, მაგრამ იქ წყლის ნაყვის მეტი არაფერი უკეთებია, ერთხანს „სელტაში“ გაანათხოვრეს და იქედან სერ ალექს ფერგიუსონმა „მანჩესტერში“ ნაიყვანა. არც იქ გამოვიდა რამე და სეზონის წინ უფასოდ გადავიდა „ალავესში“. სწორედ ამ გუნდში იპოვა ძმე იოჰანისამ თავისი ადგილი და ვიტორიელთათვის დიდი სარგებლობაც მოაქვს.
15. ჯორჯე ტომიჩი, 25 წლის. იუგოსლავიელი ნახევარმცველი ამ სეზონის ბოლოს ეგებ სკუდეტოს მფლობელიც გამხდარიყო, მაგრამ ფაბიო კაპელომ ის არ ინდომა და „ალავესს“ ათხოვა. მისი გოლები „გაზიანთეფსა“ და „ინტერისთვის“ გატანილი დიდად წაადგა გუნდს ფინალამდე მიღწევაში. კარიერა კი ბელგრადის „პარტიზანში“ დაიწყო.
16. ალდო დესიო, 31 წლის. არგენტინელ როსარიოში დაბადებული, ევროპაში „სელტამ“ წაიყვანა, ხოლო იქამდე ადგილობრივ „ინდეპენდიენტეში“ თამაშობდა. „სელტას“ „სალამანკა“ მოჰყვა, რომელსაც 1996-97 წლების სეზონში პრიმერადივიზიონში გადასვლაში დაეხმარა და თავად „ალავესში“ ამოჰყო თავი.
3. იგონ ბეგონია, 27 წლის. ბილბაოში დაბადებული მცველი 23 წლამდე უსახელო გუნდებში თამაშობდა — „ლემონა“, „სესტაო“, „ატლეტიკ B“ და ნელ-ნელა მიაღწია პრიმერადივიზიონს. მისი საბრძოლო სულისკვეთება მუდამ ისეთია, რომ ვიტორიელ ფანთა კერპად ქცეულა.
19. ივან ალონსო, 21 წლის. ურუგვაელ თავდამსხმელს სამშობლოში არასდროს უთამაშია და „ალავესში“ გადასვლამდეხუთიწელი „რივერ პლეიტში“ ირჯებოდა. უეფას თასზე მან ოთხი გოლი მითვალა, მათ შორის კი გამორჩეული „ინტერისთვის“ გატანილია, რითაც „ალავესმა“ ანგარიშის გათანაბრება შეძლო, როცა იქამდე 1:3 აგებდა.
9. ხავი მორენო, 26 წლის. ერთ დროს „ბარსელონას“ სათადარიგო ფეხბურთელმა, რაკი პირველ გუნდში ვერ ხვდებოდა, უსახელო „იეკლანოში“ თამაში ამჯობინა, საიდანაც „ალავესში“ გადავიდა. მერე იყო „ნუმანსია“ და ისევ „ალავესი“ — ამ სეზონში გატანილი 21 პრიმერადივიზიონული და ოთხი ევროგოლით. პირველ სანაკრებო გოლამდე კი ცოტა დააკლდა — ინგლისის წინააღმდეგ სადებიუტო მატჩში პენალტი გააფუჭა.

*სათადარიგონი:*

25. ენრიკე კიკე, 29 წლის.
4. დან ეგენი, 31 წლის. ვეტერანმა ნორვეგიელმა თამაში „ფრამში“ დაიწყო და ესპანეთში გადასვლამდე ოთხი სეზონი დანიურ „ბრონდბიუში“ გაატარა. ესპანეთში ცოტა ხანს „სელტაში“ იყო და ორი სეზონია, ალავესელია. ცენტრალურ მცველს გოლების გატანაც ეხერხება.
11. მოსელინ მაგნო, 27 წლის. ბრაზილიელი ნახევარმცველი „ფლამენგოში“, „გრემიოსა“ და „გრონინგენში“ თამაშობდა და მერე აღმოჩნდა „ალავესში“. როცა მინდორზეა, გამთამაშებლის ფუნქციას აკისრებენ.
21. იურიცა ვუჩო, 25 წლის. ნახევარფინალში „კაიზერსლაუტერნისთვის“ გატანილ ცხრა გოლში ხორვატის ორიც ერია. გუნდში ხავი მორენოსა და ივან ალონსოს ყოფნა მას ძირითადად სათადარიგოთა სკამზე ამყოფებს.
18. მაურისიო ასტუდილიო, 24 წლის. არგენტინელ ნახევარმცველს, რომელმაც ამ სეზონში „ალავესის“ თითქმის ყველა შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, ამჯერად სათადარიგოდ ყოფნას უპირებენ. „ალავესში“ ის ორი წლის წინ მოხვდა „ხიმნასია დე ხუხუიდან“.

# დღეს უეფას თასი ფინალი

UEFA CUP

## ალავესი — ლივერპული

**დორტმუნდი, «ვესტფალენშტადიონი». 23.45**

**მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)**

## გზა ფინალამდე

| | | | |
|---|---|---|---|
| **1/64 ფინალი** | | **1/64 ფინალი** | |
| გაზიანთეფსფორი (თურქეთი) | 0:0, 4:3 | რაპიდი (ბუქარესტი, რუმინეთი) | 1:0, 0:0 |
| **1/32 ფინალი** | | **1/32 ფინალი** | |
| ლილესტრიომი (ნორვეგია) | 3:1, 2:2 | ლიბერეცი (ჩეხეთი) | 1:0, 3:3 |
| **1/16 ფინალი** | | **1/16 ფინალი** | |
| რუსენბორგი (ტრონდჰეიმი, ნორვეგია) | 1:1, 3:1 | ოლიმპიაკოსი (პირეოსი, საბერძნეთი) | 2:2, 2:0 |
| **1/8 ფინალი** | | **1/8 ფინალი** | |
| ინტერი (მილანი, იტალია) | 3:3, 2:0 | რომა (რომი, იტალია) | 2:0, 0:1 |
| **1/4 ფინალი** | | **1/4 ფინალი** | |
| რაიო ვალეკანო (მადრიდი, ესპანეთი) | 3:0, 1:2 | პორტუ (პორტუგალია) | 0:0, 2:0 |
| **1/2 ფინალი** | | **1/2 ფინალი** | |
| კაიზერსლაუტერნი (გერმანია) | 5:1, 4:1 | ბარსელონა (ესპანეთი) | 0:0, 1:0 |

ხორდი კრუიფი

მაიკლ ოუენი

## უეფას თასის ისტორიიდან

*— დღევანდელი ფინალი ოცდამეათეა მას შემდეგ, რაც ბაზრობათა თასს სახელი გადაერქვა და უეფას თასი ეწოდა. მაშინ, 1971-72 წლების სეზონის წმინდა ინგლისურ ფინალში, „ტოტენჰემმა“ ორი მატჩის ჯამში 3:2 მოუგო „ვულვერჰემპტონს“.*

*— „ლივერპული“ უეფას თასის მეორე მფლობელია. მან ფინალში მიონხენგლადბახის „ბორუსია“ დაამარცხა. ეს გუნდები 1977 წელს ჩემპიონთა თასის ფინალშიც შეხვდნენ და მაშინაც „ლივერპულმა“ მოიგო. ეს ლივერპულელთა პირველი ჩემპიონთა თასი იყო.*

*— სანამ ტურნირს ბაზრობათა თასი ერქვა (1958-71), ესპანურმა კლუბებმა ის ექვსჯერ მოიგეს, ინგლისელებმა — ოთხჯერ.*

*— უეფას თასი ყველაზე მეტჯერ (9) იტალიელებმა მოიპოვეს, მეორე ადგილზე გერმანელები არიან (6). ინგლისელები თასს ხუთჯერ ფლობდნენ, ამათგან ორჯერ „ლივერპული“ — 1973 და 76 წლებში. მას შემდეგ, რაც 1984 წლის ფინალში „ტოტენჰემმა“ პენალტებით დაამარცხა „ანდერლეხტი“, ინგლისურ კლუბებს უეფას თასი აღარ მოუგიათ.*

*— ერთადერთი ესპანური კლუბი, რომელსაც უეფას თასი დაუსაკუთრებია, მადრიდის „რეალია“ (1985 და 86 წლები). ამასთანავე, „რეალი“ ერთადერთი გუნდია, რომელმაც თასი ორჯერ ზედიზედ მოიპოვა. ბაზრობათა თასის მფლობელები კი სამჯერ „ბარსელონა“, ორჯერ „ვალენსია“ და „სარაგოსა“ არიან.*

*— ბაზრობათა და თასების მფლობელთა თასის ჩათვლით ევროტურნირები ყველაზე მეტჯერ ინგლისელებმა და იტალიელებმა მოიგეს (26). ესპანელებს ოცდაოთხი ჯილდო აქვთ და თუ „ალავესი“ და „ვალენსია“ თასებს მოიპოვებენ, ესპანეთი ინგლისსა და იტალიას დაეწევა.*

*— „ალავესისგან“ განსხვავებით, რომელსაც არასდროს არაფერი მოუგია, „ლივერპული“ 18-ჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი, ხოლო წინა უქმეებზე მეექვსედ მოიგო ინგლისის ასოციაციის თასი, რომელსაც პირველად 1965 წელს დაეუფლა. სულ „ლივერპული“ (ინგლისის და ევროპის სუპერთასების ჩაუთვლელად) 35 ჯილდოს მფლობელია.*

*— „ლივერპულმა“ ბოლოს თექვსმეტი წლის წინ ითამაშა ევროფინალში, როცა 1985 წლის 29 მაისს ბრიუსელის „ეიხელზე“ მიშელ პლატინის მიერ გატანილი პენალტით „იუვენტუსთან“ დამარცხდა. ის ფინალი იმით დასრულდა, რომ 39 იტალიელი ქომაგი დაიღუპა, რის მერეც ინგლისური კლუბები ხუთი წლით მოკვეთეს ევროტურნირებიდან.*

*— უეფას თასის წლევანდელი გათამაშების ნახევარფინალში „ალავესმა“ ორი მატჩის ჯამში 9:2 მოუგო „კაიზერსლაუტერნს“, რაც ევრონახევარფინალების ისტორიაში მეორე ყველაზე უხვგოლიანი შედეგია. 1962 წელს ბაზრობათა თასის ნახევარფინალში „ვალენსიამ“ ბუდაპეშტის მტკ 10:3 დაამარცხა.*

# ლივერპული

## სავარაუდო შემადგენლობა

1. სანდერ ვესტერჰელდი, 26 წლის. ვან დერ სარის შემდეგ ჰოლანდიის უძლიერესი მეკარე. ძლიერია ხაზზე თამაშისას და კარგად ხელმძღვანელობს დაცვას. შეიძინეს არნემის „ვიტესიდან“ 1999 წელს 5,76 მილიონ დოლარად.
6. მარკუს ბაბელი, 28 წლის. მიუნხენის „ბაიერნის“ ყოფილი მცველი გერმანიის ნაკრებს შეეშვა და აწი მთელ ძალ-ღონეს კლუბს ახმარს. ერთნაირი წარმატებით თამაშობს როგორც დაცვის ცენტრში, ასევე მარჯვენა ფლანგზე.
2. სტეფან ენჩოსი, 26 წლის. შვეიცარიელი მცველი კარგად შეეწყო სემი ჰიიპიას და წლეულს ძირითადში ადგილიც დაიმკვიდრა. შეიძინეს „ბლეეზერინდან“ 1999 წელს 2,5 მილიონ გირვანქად.
12. სემი ჰიიპია, 27 წლის. დაცვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მაღალი და გონიერი ფინელი მცველი მეტოქის საჯარიმოშიც მეტად სახიფათოა, განსაკუთრებით კუთხურების დროს. შარშან კლუბის წლის საუკეთესო მოთამაშედ ცნეს, წლეულს კი, ჯეიმი რედნაპის არყოფნის გამო, ფაულერთან ერთად ვიცე-კაპიტნობაც მიანიჭეს.
23. ჯეიმი კარაგერი, 23 წლის. წლეულს ძირითადად დაცვის მარცხენა ფრთაზე თამაშობს, თუმცა არც სხვა პოზიციაზე გამწესებაზე ამბობს უარს. ლივერპულში დაბადებულს და გაზრდილს ნაკრების მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმაც დაადგა თვალი.
17. სტივენ ჯერარდი, 20 წლის. ტრავმათა სერიის მიუხედავად, ინგლისის ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველად ჩამოყალიბდა, აპრილში კი ქვეყნის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელადაც დაასახელეს. ბევრი მიიჩნევს, რომ ის ნაკრების მომავალი კაპიტანია. რატომაც არა? არც პასი დაეწუნება და არც მოედნის ხედვა. თან გადასარევი შორეული დარტყმების ოსტატიცაა.
21. გარი მაკალისტერი, 36 წლის. შოტლანდიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე წლეულს თითქოს მეორედ დაიბადა. მისი ზუსტი პენალტებისა და საჯარიმოების წყალობითაცაა, დღეს მერსისაიდელები დორტმუნდში რომ აღმოჩნდნენ. ისე, ახალგაზრდობა გაიხსენაო, მთლად ვერ ვიტყვით, ვინაიდან ასეთ ფორმაში ვგონებთ მაშინაც არ ყოფილა.
16. დიმიტარ ბერბატოვი, 27 წლის. „ლივერპულში“ უფრო გაიხსნა, ვიდრე მის პირველ ინგლისურ გუნდ „ნიუკასლში“. ბერგერივით სწრაფი არაა, თუმცა უძლიერესი დარტყმებით და აკურატული პასებით გამოირჩევა.
15. პატრიკ ბერგერი, 27 წლის. როცა ჩეხი ფორმაშია, მეტოქეს კარგი არაფერი ელის. ცაცია ბერგერს სისწრაფისა და დრიბლინგის წყალობით მოწინააღმდეგის რიგებში დიდი ქაოსის შეტანა შეუძლია. არც მინდობილი მონაკვეთის გაკონტროლება უძნელდება. ძირითად შემადგენლობაში ახლახან დაბრუნდა მძიმე ტრავმის შემდეგ.
9. რობი ფაულერი, 27 წლის. ულიე ამბობს, რომ დღეს ოუენს სწორედ კაპიტანს შეუწყვილებს და არა ჰესკის. მთელი კარიერის მანძილზე „ლივერპულის“ ერთგული ფაულერი წლეულს ძირითადად შეცვლაზე თამაშობს, თუმცა საყვარელი საქმე ანუ გოლების გატანა არ დავიწყებია.
10. მაიკლ ოუენი, 21 წლის. არ გვინდა ძველის გახსენება, ბოლო სამ თამაშში რვა გოლის გატანა ვახსენოთ მხოლოდ. ეტყობა, რომ ტრავმა საბოლოოდ მოიშუშა და ისევ ის ბიჭია, სწრაფი და კარზე ძაღლივით დაგეშილი.

*სათადარიგონი:*

19. პეგი არპეშადი, 27 წლის. თვისტომი მეკარე ულიემ „ლესტერიდან“ შარშან გადმოიყვანა, თუმცა ამ სეზონში მხოლოდ ლიგის თასზე ათამაშა ორიოდ მატჩი. დღეს თუ საქმე მატჩისშემდგომ პენალტებზე მიდგება, ფრანგის გამოჩენა არ გაგიკვირდეთ — ის თერთმეტმეტრიანების მოგერიების სპეციალისტად ითვლება.
3. კრისტიან ციგე, 29 წლის. ტრავმების გამო ამ გერმანელმა წლეულს ბევრი გამოტოვა. მეტად სახიფათოა მისი ქროსები და საჯარიმო დარტყმები.
24. დენი მერფი, 24 წლის. „ქრიუდან“ გადმოყვანილი ნახევარმცველი დიდი ბრძოლისუნარიანობით და ტექნიკით გამოირჩევა. შორს არაა ის დრო, ნაკრებში რომ მიიწვევენ.
7. ვლადიმირ შმიცერი, 27 წლის. ჩეხი შემტევი ნახევარმცველი, ვინც შარშანწინ ფრანგული „ლანსიდან“ შეიძინეს. უმთავრესად შეცვლაზე შედის, თუმცა რამდენიმე მნიშვნელოვანი გოლის გატანა მაინც მოახერხა.
8. ემილ ჰესკი, 23 წლის. სწორედ მან გაამწესა ფაულერი სათადარიგოებში. დიდი ჯანისა და მოქნილობის პატრონი, თუმცა იმდენი გოლი მაინც ვერ გააქვს, რამდენსაც ელოდნენ.

# ბოლო ვინ არის?
## კუპერის რიგში მორატიც ჩადგა

მარკო ტარდელი
შესაძლოა უსაქმოდ დარჩეს

**განა** შეიძლება მილანურ დერბიში ერთმა მხარემ სირცხვილი ჭამოს და ამ ამბავმა მშვიდად ჩაიაროს? ცხადია, არა. გასულ პარასკევს „მილანის“ მიერ „ინტერის“ 6:0 შეურაცხყოფამ დამარცხებულთა გენერალურ მენეჯერს, წარსულში ცნობილ ფეხბურთელს, გაბრიელე ორეალის ფეხბურთელებისთვის მაისის ხელფასის ჩამორთმევის სურვილი გაუჩინა, მაგრამ ამის უფლება არ აქვს.

„ჩვენ სიმწრითა და ოფლისღვრით მივუახლოვდით იმ ადგილს, საიდანაც ჩემპიონთა ლიგა ჩანდა, მაგრამ ყველაფერი ფერულად გვექცა. გასაგებია, რომ შეუცდომელი არავინაა, მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს, ეს წესი სეზონის ბოლოზე არ უნდა ვრცელდებოდეს. ახლა, ფეხბურთელების დასასჯელად მხოლოდ ერთი ხერხი არსებობს, მაგრამ სამწუხაროდ, იურიდიული უფლება არ მაქვს — ხელფასის დაქვითვაზე მოგახსენებთ. რა გაეწყობა, ეს კოშმარი უნდა დავივიწყოთ და საქმიანობა ჩვეულებრივ გავნაგრძოთ“ — განაცხადა ორეალიმ.

რაც შეეხება კლუბის პრეზიდენტს, მილიონერ მასიმო მორატი მან მკაცრი და შეუვალი გადაწყვეტილებანი მიიღო. პირველი, რაც მორატიმ გადაწყვიტა, ის გახლავთ, რომ მწვრთნელს, მარკო ტარდელის, რომელსაც რაგინდ ირონიულად უნდა ყელრდეს, ამასწინათ 2002 წლის ივნისამდე გაუფორმა ხელშეკრულება, თანამდებობიდან დაიფრენს.

მაშ, ვინ უნდა გაუძღვეს მომავალი სეზონიდან „ინტერს“? მორატის იმედი აქვს, რომ ჩემპიონთა ლიგის ახლანდელი ფინალისტის, „ვალენსიას“ არგენტინელ თავკაცს ეკტორ რაულ კუპერს გადაიბირებს, თუმც, ალბათ, კარგად მოეხსენება, რომ კუპერის ხელში ჩაგდება „პარმასა“ და „ბარსელონასაც“ სურთ.

რაც შეეხებათ ახალ ფეხბურთელებს, მილიონერი არგენტინელი დიეგო სიმეონეს „ლაციოდან“ დაბრუნებას ფიქრობს და მასა და ჯუზეპე ფავალიში კრისტიან ბროკისა და ვლადიმირ იუგოვიჩის გაცვლას აპირებს.

**ბაბუნა კედია**

# თვალი მიჭირავს შენზედა...
## ფათიჰ თერიმი თურქულს აღარ კადრულობს

**სცენიდან** კულისებში გადანაცვლებულ „ფიორენტინას“ ყოფილ მწვრთნელს, თურქ ფათიჰ თერიმს, რომელსაც ფლორენციული კლუბისთვის ფეხბურთელების შერჩევა, მათი კონტრაქტების კონტროლი და ვიტორიო ჩეკი გორის ფინანსებში ხელის ფათური ძლიერ ეწადა, ამჯერად თვალი „მილანისკენ“ უჭირავს. მას სურს, რომ მალდინი-ტასოტის ორი სკამი გააერთიანოს და ეს ადგილი თვითონ დაიკავოს.

დიდი მოუსვენარი ვინმეა ეს კაცი. ჯერ იყო და „ფიორენტინას“ მოგებით დასრულებული მატჩების შემდეგ სარეკლამო ფარებს ახტებოდა, ახლა კი, უფრო დიდი ნახტომის გაკეთება ამოუჭრია გულში და პირველი ნაბიჯიც კი გადაუდგამს.

ცნობილი გახდა, რომ თერიმს „გალათასარაის“ ხელახლა მწვრთნელობა შესთავაზეს. მან კი უარი განაცხადა იმის გამო, რომ თურმე „მილანთან“ წინასწარ კონტრაქტზე აქვს ხელი მოწერილი.

თურქ სპეციალისტს, ალბათ, მოსყენდა სტამბოლის ქუჩებში ხეტიალი, ფლორენციის ღირსშესანიშნაობანიც დათვალიერა და ახლა „სან სიროს“ მოედნის ახლოდან ხილვა სწადია. ასე რომ, მიუხედავად უდიდესი სურვილისა, შობლიურ კლუბს იგი ველარ დაეხმარება.

ეს ამბავი თურქული გაღიმებულებს ნამდვილად არ დატოვებდა მილანური კლუბის მწვრთნელთა დუეტს (ზოგიერთი დუეტისგან განსხვავებით, ისინი მართლაც რომ კარგად მღერიან პირველმეორეს), რომელთა მეთაურობითაც გუნდმა ბოლო ტურში ტარდელის „ინტერი“ ატირა. გასაოცარია ადრიანო გალიანის განცხადებაც: „მოხარული ვიქნები, თუ მალდინი და ტასოტი მომავალ სეზონშიც ჩვენთან იქნებიან“. რას უნდა ნიშნავდეს ეს „თუ“, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ იტალიელებისას ხომ ვერაფერს გაიგებ კაცი. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას და ვნახოთ, იყიდის თუ არა ფათიჰ თერიმი სტამბოლი-მილანის რეისზე ბილეთს.

**ვაჟა ხუციშვილი**

ფათიჰ თერიმმა „გალა“ იუარა


იყიდება!
ნახმარი
კომპიუტერული ტექნიკა
ტელ. 38-11-14, 39-48-29

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1ნთ / 50 თეთრი)


## ისრაელი

### პლეი ოფი

36-ე ტური: ჰაპოელი (ფეთახ თიკვა) — ჰაპოელი (თელ ავივი) 1:1; ირონი — მაკაბი (ფეთახ თიკვა) 2:0; აშდოდი — ბნეი იეჰუდა 3:1; ბეითარი — მაკაბი (ჰაიფა) 0:2; მაკაბი (ნეთანია) — ცაფრირიმი 1:1; მაკაბი (თელ ავივი) — ჰაპოელი (ჰაიფა) 4:0

### ზემოქვესეული

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ. ჰაიფა | 36 | 24 | 10 | 2 | 67:23 | 82 |
| ჰ. თელ ავივი | 36 | 20 | 12 | 4 | 54:27 | 72 |
| ჰ. ჰაიფა | 36 | 18 | 11 | 7 | 54:37 | 65 |
| მ. თელ ავივი | 36 | 17 | 11 | 8 | 69:33 | 62 |
| ბეითარი | 36 | 18 | 8 | 10 | 45:37 | 61 |
| ჰ. ფეთახ თიკვა | 36 | 12 | 9 | 15 | 54:60 | 45 |

*ჰაიფას „მაკაბი“ ჩემპიონია, იერუსალიმის „ბეითარს“ დაკლებული აქვს 1 ქულა*

### ქვეოქვესეული

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ. ნეთანია | 36 | 12 | 9 | 15 | 54:54 | 45 |
| მ. ფეთახ თიკვა | 36 | 11 | 8 | 17 | 39:50 | 41 |
| აშდოდი | 36 | 10 | 8 | 18 | 40:50 | 38 |
| ირონი | 36 | 10 | 7 | 19 | 35:57 | 37 |
| *ბნეი იეჰუდა* | *36* | *7* | *9* | *20* | *36:62* | *30* |
| *ცაფრირიმი* | *36* | *4* | *4* | *28* | *25:82* | *16* |

*თელ ავივის „ბნეი იეჰუდა“ და ჰოლონის „ცაფრირიმი“ გავარდნენ*

## რუმინეთი

25-ე ტური: დინამო — როკარი 2:0; პეტროლული — ბრაშოვი 0:1; არჯეში — ფორესტა 1:1; ოცელული — ასტრა 1:0; სტიაუა — ნაციონალი 2:1; ჩაჰლაული — რაპიდი 1:0; ბაკეუ — გლორია 2:0; გაც მეტანი — უნივერსიტატია 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 25 | 14 | 7 | 4 | 41:27 | 49 |
| დინამო | 25 | 12 | 6 | 7 | 46:37 | 42 |
| არჯეში | 25 | 11 | 8 | 6 | 34:31 | 41 |
| ბრაშოვი | 25 | 12 | 4 | 9 | 27:22 | 40 |
| რაპიდი | 25 | 9 | 9 | 7 | 28:22 | 36 |
| პეტროლული | 25 | 11 | 3 | 11 | 31:29 | 36 |
| გლორია | 25 | 10 | 4 | 11 | 37:37 | 34 |
| ოცელული | 25 | 9 | 7 | 9 | 29:29 | 34 |
| უნივერსიტატია | 25 | 9 | 7 | 9 | 26:30 | 34 |
| ასტრა | 25 | 9 | 6 | 10 | 30:24 | 33 |
| ჩაჰლაული | 25 | 8 | 9 | 8 | 31:34 | 33 |
| ფორესტა | 25 | 7 | 10 | 8 | 35:38 | 31 |
| ნაციონალი | 25 | 9 | 4 | 12 | 30:36 | 31 |
| როკარი | 25 | 9 | 4 | 12 | 35:43 | 31 |
| ბაკეუ | 25 | 7 | 5 | 13 | 30:39 | 26 |
| გაც მეტანი | 25 | 3 | 9 | 13 | 17:29 | 18 |

## უნგრეთი

### მეორე ეტაპი

მე-16 ტური: ვაშაში — მტკ 2:2; ფერენცვაროში — უიპეშტი 2:2; ჰონვედი — დუნაფერი 3:4; შოპრონი — ზალაეგერსეგი 0:0; დებრეცენი — ტატაბანია 2:1; ვიდეოტონი — დიორ ეტო 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფერენცვაროში | 16 | 8 | 6 | 2 | 28:12 | 34 |
| დუნაფერი | 16 | 9 | 1 | 6 | 25:27 | 33 |
| მტკ | 16 | 7 | 5 | 4 | 23:13 | 32 |
| ჰონვედი | 16 | 9 | 3 | 4 | 29:21 | 31 |
| ვაშაში | 16 | 7 | 5 | 4 | 29:23 | 30 |
| უიპეშტი | 16 | 7 | 3 | 6 | 26:26 | 29 |
| დიორ ეტო | 16 | 6 | 5 | 5 | 19:20 | 25 |
| ვიდეოტონი | 16 | 6 | 2 | 8 | 23:22 | 22 |
| ზალაეგერსეგი | 16 | 5 | 6 | 5 | 20:20 | 22 |
| შოპრონი | 16 | 4 | 6 | 6 | 17:19 | 21 |
| დებრეცენი | 16 | 4 | 2 | 10 | 23:35 | 17 |
| ტატაბანია | 16 | 1 | 2 | 13 | 11:35 | 11 |

*მეორე ეტაპზე ქულები განახევრებულია*

## შვედეთი

მე-6 ტური: ელფსბორგი — ჰამარბი 0:1; მალმიო — გიოტებორგი 0:5; იორებრო — ჰაგუნი 2:2; სუნდსვალი — ტრელებორგი 0:1; ჰალმსტადი — ჰელსინგბორგი 2:2; იორგრიტე — ნორჩიოპინგი 1:2; აიკ — იურგორდენი გვიანლამ გაიმართა, იხილეთ მეორე გვერდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გიოტებორგი | 6 | 4 | 2 | 0 | 13:3 | 14 |
| ჰამარბი | 6 | 3 | 3 | 0 | 9:4 | 12 |
| მალმიო | 6 | 3 | 1 | 2 | 9:8 | 10 |
| იორგრიტე | 6 | 2 | 3 | 1 | 10:7 | 9 |
| ჰალმსტადი | 6 | 2 | 2 | 2 | 12:7 | 8 |
| ჰელსინგბორგი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:6 | 8 |
| ჰაკენი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 8 |
| ნორჩიოპინგი | 6 | 2 | 2 | 2 | 4:7 | 8 |
| აიკ | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| სუნდსვალი | 6 | 2 | 1 | 3 | 4:6 | 7 |
| იორებრო | 6 | 0 | 4 | 2 | 6:11 | 4 |
| ელფსბორგი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:9 | 4 |
| ტრელებორგი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:10 | 4 |
| იურგორდენი | 5 | 0 | 3 | 2 | 2:7 | 3 |

### თასის 1/2 ფინალი

**ელფსბორგი 2:1 გაის**

1:0 არვიგე (18), 2:0 ს. ანდერსონი (42ბ), 2:1 სკოლდმარკი (78)

ფინალში 25 მაისს სტოკჰოლმის „აიკ-სოლნა“ და „ელფსბორგი“ შეხვდებიან

## ავსტრია

34-ე ტური: ადმირა — რაპიდი 0:2; აუსტრია — ბრეგენცი 1:1; ზალცბურგი — რიდი 4:3; შტურმი — გრაცერი 0:1; ლინცერი — ტიროლი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 34 | 18 | 8 | 8 | 59:31 | 62 |
| რაპიდი | 34 | 16 | 10 | 8 | 61:35 | 58 |
| შტურმი | 34 | 16 | 6 | 12 | 57:41 | 54 |
| გრაცერი | 34 | 14 | 9 | 11 | 45:39 | 51 |
| აუსტრია | 34 | 14 | 8 | 12 | 47:39 | 50 |
| ზალცბურგი | 34 | 13 | 9 | 12 | 48:43 | 48 |
| რიდი | 34 | 12 | 8 | 14 | 50:52 | 44 |
| ბრეგენცი | 34 | 10 | 7 | 17 | 40:62 | 37 |
| ადმირა | 34 | 8 | 10 | 16 | 29:63 | 34 |
| ლინცერი | 34 | 7 | 9 | 18 | 38:69 | 30 |

## დანია

28-ე ტური: სილკებორგი — ოლბორგი 3:0; ბურფიოლგე — კოპენჰაგენი 3:4; აკადემისკი — ჰადერსლევი 1:1; მიდტიულანდი — ლიუნგბიუ 0:0; ვიბორგი — ოდენსე 1:1; ბრონდბიუ — ორჰუსი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 28 | 15 | 6 | 7 | 65:35 | 51 |
| კოპენჰაგენი | 28 | 13 | 11 | 4 | 44:25 | 50 |
| სილკებორგი | 28 | 13 | 11 | 4 | 42:29 | 50 |
| მიდტიულანდი | 28 | 13 | 9 | 6 | 45:36 | 48 |
| ვიბორგი | 28 | 12 | 7 | 9 | 45:31 | 43 |
| ლიუნგბიუ | 28 | 11 | 7 | 10 | 36:45 | 40 |
| ოდენსე | 28 | 11 | 6 | 11 | 41:36 | 39 |
| ოლბორგი | 28 | 9 | 10 | 9 | 43:42 | 37 |
| ორჰუსი | 28 | 10 | 4 | 14 | 43:53 | 34 |
| აკადემისკი | 28 | 5 | 13 | 10 | 34:38 | 28 |
| ჰერფიოლგე | 28 | 5 | 9 | 14 | 34:54 | 24 |
| ჰადერსლევი | 28 | 1 | 7 | 20 | 26:74 | 10 |

## ნორვეგია

მე-6 ტური: ბრინი — რუსენბორგი 1:2; ლილესტრომი — ბოდო გლიმტი 1:0; ლინი — სტაბეკი 1:1; ოდ გრენლანდი — ბრანი 2:2; სოგნდალი — ვიკინგი 0:1; სტრომგოდსეტი — მიოლდე 1:1; ტრომსო — მოსი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიკინგი | 6 | 5 | 1 | 0 | 16:6 | 16 |
| რუსენბორგი | 6 | 5 | 0 | 1 | 17:7 | 15 |
| ლილესტრომი | 6 | 4 | 1 | 1 | 10:7 | 13 |
| მიოლდე | 6 | 3 | 2 | 1 | 14:5 | 11 |
| ოდ გრენლანდი | 6 | 3 | 2 | 1 | 12:6 | 11 |
| ბრანი | 6 | 3 | 1 | 2 | 14:11 | 10 |
| სტაბეკი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:5 | 10 |
| მოსი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:8 | 7 |
| ტრომსო | 6 | 2 | 0 | 4 | 5:10 | 6 |
| სოგნდალი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:10 | 6 |
| ლინი | 6 | 1 | 2 | 3 | 7:9 | 5 |
| ბრინი | 6 | 1 | 1 | 4 | 6:14 | 4 |
| სტრომგოდსეტი | 6 | 0 | 3 | 3 | 7:16 | 3 |
| ბოდო გლიმტი | 6 | 0 | 1 | 5 | 4:14 | 1 |

## პოლონეთი

26-ე ტური: სტომილი — რაძიონკოვი 1:0; პოგონი — გურნიკი 2:1; პოლონია — გროცლინი 1:1; შლიონსკი — ლეგია 1:1; ამიცა — ბლოცკი 2:0; ოდრა — ვიძევი 2:2; რუხი — ვისლა 2:1; კატოვიცე — ზაგლებე 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 26 | 17 | 5 | 4 | 59:22 | 56 |
| ლეგია | 26 | 13 | 8 | 5 | 41:23 | 47 |
| პოგონი | 26 | 14 | 5 | 7 | 37:24 | 47 |
| პოლონია | 26 | 12 | 6 | 8 | 33:23 | 42 |
| ზაგლებე | 26 | 12 | 4 | 10 | 38:32 | 40 |
| რუხი | 26 | 11 | 5 | 10 | 42:40 | 38 |
| ამიცა | 25 | 11 | 5 | 9 | 41:36 | 38 |
| კატოვიცე | 26 | 8 | 12 | 6 | 25:20 | 36 |
| გროცლინი | 26 | 8 | 9 | 9 | 29:31 | 33 |
| ვიძევი | 26 | 9 | 6 | 11 | 33:39 | 33 |
| სტომილი | 26 | 9 | 4 | 13 | 21:37 | 31 |
| რაძიონკოვი | 26 | 9 | 3 | 14 | 23:40 | 30 |
| ოდრა | 26 | 7 | 8 | 11 | 30:43 | 29 |
| შლიონსკი | 26 | 7 | 7 | 12 | 26:35 | 28 |
| გურნიკი | 25 | 6 | 5 | 14 | 22:33 | 23 |
| პლოცკი | 26 | 6 | 4 | 16 | 27:49 | 22 |

## ფინეთი

მე-5 ტური: ჰიკ — ატლანტისი 1:2; ინტერი — ვაასა 1:2; ჯაზი — კუოპიო 0:1; ლაჰტი — ტამპერე 0:1; მიუპა — იოკერიტი 3:1; როსი — ჰაკა 0:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლანტისი | 5 | 4 | 1 | 0 | 10:3 | 13 |
| ჰიკ | 6 | 3 | 2 | 1 | 8:2 | 11 |
| ჰაკა | 5 | 3 | 1 | 1 | 8:3 | 10 |
| ინტერი | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 10 |
| ტამპერე | 4 | 3 | 1 | 0 | 5:2 | 10 |
| მიუპა | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| კუოპიო | 5 | 1 | 3 | 1 | 3:3 | 6 |
| ვაასა | 6 | 2 | 0 | 4 | 4:10 | 6 |
| ლაჰტი | 5 | 1 | 0 | 4 | 2:6 | 3 |
| ჯაზი | 5 | 0 | 2 | 3 | 1:5 | 2 |
| როსი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:7 | 2 |
| იოკერიტი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:10 | 1 |

## შეერთებული სამეფო

22-ე ტური: ვორსკლა — დინამო 0:1; შეფილდი — ტავრია 5:0; ცსკა — მეტალურგი (მარიუპოლი) 0:2; მეტალურგი (დონეცკი) — დნიპრო 1:0; ნივა — კრივბასი 0:2; სტალი — მეტალისტი 2:2; კარპატი — მეტალურგი (ზაპოროჟიე) 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 22 | 17 | 3 | 2 | 52:14 | 54 |
| შახტარი | 22 | 16 | 5 | 1 | 58:19 | 53 |
| დნიპრო | 22 | 14 | 4 | 4 | 30:15 | 46 |
| მ. დონეცკი | 22 | 10 | 9 | 3 | 26:18 | 39 |
| ცსკა | 22 | 8 | 8 | 6 | 27:22 | 32 |
| მ. მარიუპოლი | 22 | 9 | 4 | 9 | 31:26 | 31 |
| მ. ზაპოროჟიე | 22 | 7 | 8 | 7 | 25:27 | 29 |
| ტავრია | 22 | 6 | 9 | 7 | 20:28 | 27 |
| კარპატი | 22 | 8 | 2 | 12 | 30:36 | 26 |
| კრივბასი | 22 | 6 | 6 | 10 | 21:30 | 24 |
| მეტალისტი | 22 | 5 | 7 | 10 | 22:35 | 22 |
| ვორსკლა | 22 | 5 | 5 | 12 | 15:25 | 20 |
| სტალი | 22 | 2 | 5 | 15 | 16:44 | 11 |
| ნივა | 22 | 2 | 3 | 17 | 19:53 | 9 |

## იუგოსლავია

29-ე ტური: ზემუნი — ოფკ 2:0; პარტიზანი — ვოივოდინა 3:1; ბუდუჩნოსტი — მილიციონარი 1:0; ჰაიდუკი — სუტიესკა 1:2; ობილიჩი — ზეტა 2:1; სარტიდი — ცრვენა ზვეზდა 0:3; რადნიჩკი (ნიში) — რადი 2:1; ნაპრედაკი — ჩუკარიჩკი 3:1; რადნიჩკი (კრაგუევაჩი) — ჟელეზნიკი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცრვენა ზვეზდა | 29 | 23 | 4 | 2 | 74:16 | 73 |
| პარტიზანი | 29 | 24 | 1 | 4 | 79:27 | 73 |
| ობილიჩი | 29 | 17 | 5 | 7 | 45:31 | 56 |
| სარტიდი | 29 | 16 | 2 | 11 | 44:39 | 50 |
| ოფკ | 29 | 13 | 5 | 11 | 43:37 | 44 |
| ვოივოდინა | 29 | 10 | 8 | 11 | 39:31 | 38 |
| ჰაიდუკი | 29 | 11 | 5 | 13 | 38:36 | 38 |
| ზემუნი | 29 | 10 | 8 | 11 | 30:36 | 38 |
| რ. კრაგუევაჩი | 29 | 11 | 5 | 13 | 33:45 | 38 |
| ჟელეზნიკი | 29 | 10 | 7 | 12 | 40:47 | 37 |
| სუტიესკა | 29 | 11 | 4 | 14 | 41:54 | 37 |
| ჩუკარიჩკი | 29 | 11 | 2 | 16 | 33:43 | 35 |
| ზეტა | 29 | 8 | 9 | 12 | 32:43 | 33 |
| ბუდუჩნოსტი | 29 | 9 | 5 | 15 | 21:35 | 32 |
| რადი | 29 | 9 | 4 | 16 | 38:52 | 31 |
| ნაპრედაკი | 29 | 7 | 9 | 13 | 31:47 | 30 |
| რ. ნიში | 29 | 8 | 5 | 16 | 24:48 | 29 |
| მილიციონარი | 29 | 7 | 4 | 18 | 25:43 | 25 |

## ლიტვა

მე-10 ტური: ატლანტასი — ნევეჟისი 2:0; კაუნასი — გელეჟინისი 2:1; ვეტრა — ინკარასი 0:3; ჟალგირისი — დაინავა 5:2; ეკრანასი — საკალასი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაუნასი | 9 | 9 | 0 | 0 | 25:3 | 21 |
| ჟალგირისი | 9 | 6 | 1 | 2 | 15:8 | 19 |
| ატლანტასი | 9 | 6 | 1 | 2 | 21:10 | 19 |
| ინკარასი | 9 | 4 | 2 | 3 | 13:10 | 14 |
| ეკრანასი | 10 | 4 | 2 | 4 | 21:14 | 14 |
| ნევეჟისი | 9 | 3 | 2 | 4 | 7:11 | 11 |
| გელეჟინისი | 9 | 3 | 1 | 5 | 8:9 | 10 |
| საკალასი | 10 | 3 | 1 | 6 | 11:18 | 10 |
| ვეტრა | 9 | 2 | 1 | 6 | 8:20 | 7 |
| დაინავა | 9 | 0 | 1 | 8 | 6:32 | 1 |

## არგენტინა

### კლაუსურა

მე-15 ტური: ინდეპენდიენტე — არგენტინოს ხუნიორსი 0:2; ურაკანი — ალმაგრო 2:0; ესტუდიანტესი — სან ლორენსო 0:5; ლანუსი — ბელგრანო 1:0; რივერ პლეიტი — რასინგი 3:0; ველეს სარსფილდი — ნიუელს ოლდ ბოიზი 2:0; კოლონი — ხიმნასია (ლა პლატა) 1:0; როსარიო სენტრალი — უნიონი 3:3; ტალერესი — ბოკა ხუნიორსი 0:0; ლოს ანდესი — ჩაკარიტა ხუნიორსი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რივერ პლეიტი | 15 | 11 | 2 | 2 | 37:20 | 35 |
| სან ლორენსო | 15 | 11 | 2 | 2 | 34:16 | 35 |
| არგ. ხუნიორსი | 15 | 7 | 4 | 4 | 23:16 | 25 |
| ბოკა ხუნიორსი | 15 | 7 | 4 | 4 | 23:20 | 25 |
| ურაკანი | 15 | 7 | 3 | 5 | 23:21 | 24 |
| ჩაკარიტა | 15 | 6 | 4 | 5 | 14:16 | 22 |
| ტალერესი | 15 | 6 | 3 | 6 | 18:19 | 21 |
| რასინგი | 15 | 5 | 6 | 4 | 14:17 | 21 |
| ალმაგრო | 15 | 5 | 5 | 5 | 20:17 | 20 |
| ოლდ ბოიზი | 15 | 6 | 2 | 7 | 23:22 | 20 |
| ველესი | 15 | 5 | 5 | 5 | 20:19 | 20 |
| ესტუდიანტესი | 15 | 5 | 5 | 4 | 18:21 | 20 |
| კოლონი | 15 | 5 | 4 | 6 | 14:19 | 19 |
| ლანუსი | 15 | 5 | 3 | 7 | 24:24 | 18 |
| ლოს ანდესი | 15 | 4 | 5 | 6 | 17:23 | 17 |
| უნიონი | 15 | 4 | 4 | 7 | 25:27 | 16 |
| ინდეპენდიენტე | 15 | 4 | 3 | 7 | 15:17 | 15 |
| როსარიო | 15 | 3 | 5 | 7 | 20:29 | 14 |
| ხიმნასია | 15 | 2 | 6 | 7 | 17:23 | 12 |
| ბელგრანო | 15 | 2 | 5 | 8 | 8:21 | 11 |

# ვიუიდით კარგ მეკარეს

## შრიკელმეო ბარსა ბუფონის მიადგა

ხუან რიკელმე

ჯანლუიჯი ბუფონი

**კატალონიური** „ბარსელონა“ მრავალ ბობოლათა მსგავსად მსოფლიო საფეხბურთო სატრანსფერო სეზონის გახსნამდე საკმაოდ ადრე შეიქნა ჭორებისა და სენსაციური ამბების ერთ-ერთი მთავარი გმირი. ლაპარაკობდნენ რივალდოს, კლუივერტის ზღაპრულ ტრანსფერებზე. სულ ახალია ცნობა ემანუელ პეტის გუნდიდან შესაძლო წასვლაზე. ერთხანს სენსაციებს ჩასაფრებულმა საინფორმაციო უწყებებმა საოცარი რამ, შევჩენკო-რივალდოს გაცვლა - გამოცვლის ამბავიც გვამცნეს. მაგრამ ჩვენამდე მოღწეული ყველა სიახლე მხოლოდ ჟურნალისტთა ფანტაზიის ნაყოფი ყოფილა.

ამას წინათ ვიუწყებოდით, რომ „ბარსას“ რიგებში მომავალი სეზონისთვის არგენტინელ ამომავალ ვარსკვლავს, ხუან რიკელმეს ვიხილავდით. სატრანსფერო თანხა სოლიდური, ოცდაორი მილიონი დოლარი გახლდათ. სწორედ რომ გახლდათ, რადგან გუშინდელმა განცხადებამ, რომელიც „ბოკა ხუნიორსის“ ხელმძღვანელობამ გააკეთა, კატალონიელთა განზრახვას ცივი წყალი გადაასხა. რიკელმე არგენტინაში რჩება. ამგვარ ამბებს, ალბათ, შევეჩვიეთ. საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ თურმე თვით ფეხბურთელს მის შესაძლო ტრანსფერზე არაფერი სცოდნია. რიკელმემ ყოველივე მაშინ გაიგო, როდესაც „ბოკა ხუნიორსისა“ და „ბარსელონას“ შორის მოლაპარაკებები უკვე ჩაშლილი იყო.

რიკელმე ვერ შეიმოსა „ლურჯ-წითელი“ მაისურით, რაც, ცხადია, სამწუხაროა „ბარსას“ გულშემატკივრებისთვის, მაგრამ საგანგაშო არაფერია. კატალონიელებს ჰყავთ არგენტინელის ამპლუის კაცი, თანაც ძალიან ძლიერი — ბრაზილიელი დიდოსტატი, მსოფლიოს 1999 წლის საუკეთესო ფეხბურთელი რივალდო. ბარსელონელებს ამ მხრივ საფიქრალი არ აქვთ. მაგრამ რა ვუყოთ მეკარეს? „ლურჯ-წითლებს“ აგერ უკვე რა ხანია, ანდონი სუბისასეტას შემდეგ, ალბათ, პორტუგალიელი ბაიას გამოკლებით, ფაქტობრივად, მეტნაკლებად რიგიანი კარის დარაჯი არც ჰყოლიათ. ამიტომაცაა, რომ „ბარსას“ ერთდროულად რამდენიმე ევროპულ გრანდში მოთამაშე მეკარისთვის დაუდგამს თვალი. კატალონიელებს დიდი სურვილი აქვთ, „კამპ ნოუზე“ იტალიური „პარმას“ გოლკიპერი, 23 წლის ჯანლუიჯი ბუფონი იხილონ.

თუმცა პარმელი ჭაბუკი, რომელიც იტალიის ეროვნული გუნდის ღირსებასაც იცავს, საკმაოდ ძვირად ფასობს. მისი სატრანსფერო ღირებულება 30 მილიონი დოლარია. თავად ბუფონი არაა პირნეებზე გადაბარგების წინააღმდეგი, მაგრამ ბოლო სიტყვა მაინც „პარმას“ ხელმძღვანელობას ეკუთვნის.

კატალონიელებს სარეზერვო ვარიანტებიც აქვთ. თუ ბუფონის კლუბი უარს იტყვის, ისინი სხვა გუნდებთან აპირებენ საერთო ენის გამონახვას. ბარსელონელებს იმედი აქვთ, რომ ფრანჩესკო ტოლდოს („ფიორენტინა“), დერზი დედეკს („ფეიენოორდი“), ედვინ ვან დერ სარსა („იუვენტუსი“) და ნელსონ პერეირას („სპორტინგი“) შორის ერთ-ერთს მაინც გამოჰკრავენ ხელს.

# მალიორკამ დეპორტივოს სანაძლეო მოუგო

**დიეგო ტრისტანი** ლაკორუნიული „დეპორტივოდან“ წასვლით იმუქრებოდა. გუნდის მწვრთნელი ხავიერ ირურეტა ყოფილ მალიორკელს ძალიან ხშირად ტოვებდა ძირითადის გარეშე. როგორც წესი, ტრისტანი მეორე ტაიმის შუაგულში შედიოდა ხოლმე მოედანზე და თავის საქმეს საკმაოდ კარგად აკეთებდა.

მწვრთნელის ტაქტიკური მონახაზი დიეგოს ნიჭის სრულად გამოვლენის საშუალებას არ იძლეოდა და ფეხბურთელიც სხვა კლუბებისკენ იცქირებოდა. ამასობაში სეზონიც გაილია და ტრისტანი თექვსმეტი გატანილი ბურთით გალისიურ კლუბში დარჩა. დარჩა და „დეპორტივოს“ ხელმძღვანელობას მილიონ ასი ათასი გირვანქაც ამოაღებინა ჯიბიდან. არა, მას ეს ფული თავის ოსტატობაში არ მოუთხოვია. თავიდათავი გალისიელთა და „მალიორკას“ შორის არსებული შეთანხმება გახლავთ. დიეგო ტრისტანის სანაცვლოდ კუნძულელებმა ცხრა მილიონი ფუნტი ჩაიჩხრიალეს, თანაც რაღაც სანაძლეოს მაგვარიც შესთავაზეს ლაკორუნიელებს — თუ თავდამსხმელი „დეპორტივოს“ გულშემატკივრებს თხუთმეტი გოლით გაახარებდა, მაშინ „მალიორკას“ ფორვარდში დამატებით მილიონ ასი ათასი გირვანქა უნდა რგებოდა.

ტრისტანმა უკვე თექვსმეტჯერ მოახერხა მეტოქეთა კარის ბადის შერხევა, „დეპორტივოც“ ახეირა და ყოფილ გუნდსაც დამატებითი სარგებელი მოუტანა.

დიეგო ტრისტანი

### ფეხბურთის რუბრიკა

**გერმანიის** მეორე ბუნდესლიგაში უკვე დაქვეითებულ „აინტრახტს“ მომავალი სეზონიდან სათავეში მარტინ ანდერმატი ჩაუდგება. იგი ფრანკფურტელი კლუბის ხელმძღვანელობამ მწვრთნელად გასულ კვირას შეარჩია და ორწლიანი კონტრაქტიც გაუფორმა. სწორედ ამ უქმეებზე გადაწყდა, რომ „აინტრახტი“ ბუნდესლიგაში ადგილს ვერ შეინარჩუნებდა, მას შემდეგ, რაც „ვოლფსბურგთან“ სტუმრად 0:3 დამარცხდა. ფრანკფურტელთა ახალი თავკაცი შვეიცარიელია. 39 წლის სპეციალისტი ორი სეზონის წინ „ულმს“ ხელმძღვანელობდა და გუნდი უმაღლეს ლიგაში აღაზევა.

**ხორვატი** ნახევარმცველი ნიკო კოვაჩი მომავალი სეზონიდან სავარაუდოდ მიუნხენის „ბაიერნში“ ითამაშებს. მიუნხენური კლუბი „ჰამბურგს“ მის სანაცვლოდ 6 მილიონ დოლარს სთავაზობს და შეთანხმებას უკვე თითქმის მიაღწია. თავად ფეხბურთელს ძლიერ სურს „ბაიერნის“ რიგებში თამაში. ამას წინათ მან პრესას განუცხადა, რომ ასეთ ტრანსფერზე ცოტა ხნის წინ ვერც კი იოცნებებდა.

**ინგლისური** „სანდერლენდის“ ფეხბურთელი კარსტენ ფრიდგაარდი „კოპენჰაგენმა“ შეიძინა და მასთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. აღსანიშნავია, რომ ამ კლუბის ძირითადი თავდამსხმელი, ნორვეგიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე სტალე სოლბაკენი ცოტა ხნის წინ მძიმედ დაშავდა და კარიერა დაასრულა. მას შემდეგ „კოპენჰაგენი“ ფორვარდს ეძებდა და არჩევანი საბოლოოდ სანდერლენდელზე შეაჩერა. უნდა ითქვას, რომ ფრიდგაარდი პრემიერლიგაში გადასვლამდე „ლიუნგბიუს“ ღირსებას იცავდა. „სანდერლენდს“ კი იმედი აქვს, რომ მალე „ევერტონის“ ფორვარდ ფრენსის ჯეფერსს გადაიბირებს, რომელთანაც უკვე აწარმოებს აქტიურ მოლაპარაკებებს.

**იტალიის** ჩემპიონატის ლიდერი „რომა“ „ბოლონიას“ ნახევარმცველ ფრანსისკო ლიმას „სტადიო ოლიმპიკოზე“ ეპატიჟება. ეს ფეხბურთელი „ბოლონიამ“ შარშან ზაფხულში შეიძინა და იგი გუნდს კარგად მოერგო. თუმცა ახლა კლუბს მცირე ფინანსური კრიზისი აქვს და შესაძლოა რამდენიმე მოთამაშე გაყიდოს. „რომა“ კი მას ლიმას სანაცვლოდ 7 მილიონ დოლარს სთავაზობს.

**საამირეების** ნაკრების მწვრთნელი ანრი მიშელი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მისი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩში იემენთან 1:2 დამარცხდა. მიშელს საფრანგეთში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს და კამერუნისა და მაროკოს ნაკრებებიც გაუწვრთნია. მას აბდულ რაჯერი შეცვლის, რომლის დებიუტიც 18 მაისს ისევ იემენის ნაკრებთან შეხვედრაში შედგება. აღსანიშნავია, რომ იემენის ნაკრებს მხოლოდ ქულა ჰყოფნის, რათა შესარჩევი ტურნირის მეორე ეტაპზე მოხვდეს.

**ესპანელი** თავდამსხმელ ფერნანდო მორიენტესს ამ დღეებში ოპერაცია უნდა გაუკეთონ. ექიმების განცხადებით, მას დაახლოებით სამი თვე დასჭირდება, რათა ჩვეული ფორმა დაიბრუნოს. „ყველაფერი ვიღონეთ, ფორვარდს ოპერაცია რომ არ დასჭირვებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერს გავხდით. სეზონი როცა დასრულდება და მორიენტესსაც საკმაო დრო აქვს სარეაბილიტაციოდ“ — განაცხადა მადრიდის „რეალის“ ექიმმა. აღსანიშნავია, რომ მორიენტესმა პრიმერადივიზიონის წინა ტურში „ესპანიოლთან“ 29 წუთი ითამაშა, თუმცა შემდეგ იგი შეცვალეს.

# 20 მაისს

## თბილისის ღია ჩემპიონატი კომპიუტერულ ფეხბურთში

*ვიწვევთ ყველა მსურველს 20 მაისამდე სპორტის სასახლეში, სადაც გაიმართება მსურველების გაერთიანება ფედერაციაში. ისინი გადიხდიან საწევრო 10 ლარს, გახდებიან რა ფედერაციის წევრები, მიიღებენ ფედერაციის მოწმობას და უფლებას, ჩაებან ჩემპიონატის შესარჩევ ტურში*

### ჩემპიონატის პროგრამა

*1. ჩემპიონატი ტარდება კომპიუტერულ ფეხბურთში SOCCER 2000-ში.*

*2. ორი ასაკობრივი კატეგორია 17 წლამდე და 17 წლის ზევით.*

*3. ჩემპიონატის შესარჩევი ტური ჩატარდება ოლიმპიური სისტემით, რომლის შემდეგ გამოვლინდება 16 უძლიერესი მოთამაშე, ხოლო მათ შორის გათამაშდება ჯგუფური ტურნირი.*

*4. გამოვლინდება ტურნირის ჩემპიონი, რომელიც დაჯილდოვდება ფულადი პრიზითა და სიგელით ჩემპიონის წოდებით. ასევე დაწესებულია მეორე და მესამე ადგილები, რომლებიც დაჯილდოვდებიან სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.*

*5. დაწესდება საკვალიფიკაციო რეიტინგი I ჯოისტიკი, II ჯოისტიკი, III ჯოისტიკი და ა.შ. მე-16 ჯოისტიკი.*

*6. საასპარეზო გუნდის არჩევა თავისუფალია. ჩემპიონატში მონაწილეობის დროს მონაწილეს შეუძლია ითამაშოს საკუთარი ჯოისტიკით, რაზედაც მან წინასწარ უნდა განაცხადოს.*

*7. ჩემპიონატის სიგელით დაჯილდოვდება 32 მონაწილე, რომლებიც მომავალ საქართველოს ჩემპიონატში აღარ მიიღებენ მონაწილეობას შესარჩევ ტურში და პირდაპირ ფინალურ ეტაპზე ჩაერთვებიან ჩემპიონატში.*

*8. საპრიზო ფონდისა და მისი განაწილების შესახებ ცნობილი გახდება ჩემპიონატის დაწყების პირველივე დღეს.*

*ტურნირის საფინალო ეტაპის დღეს განზრახულია სარეკლამო დაფების განლაგება. რეკლამის მსურველ ორგანიზაციებსა და ფირმებს გთხოვთ მოგვმართოთ მისამართზე: ჭავჭავაძის №49 ა. სპორტის დეპარტამენტის შენობა IV სართული. საქართველოს კომპიუტერული თამაშების ეროვნული ფედერაცია. ტელ 23-56-93 8(99) 15 48 97*

*ასევე ფირმებს შეუძლიათ წაახალისონ ჩვენი მონაწილეები და გაზარდონ საპრიზო ფონდი ან დაანესონ ფასიანი საჩუქრები. მათი მოღვაწეობისა და დახმარების შედეგები გამოქვეყნდება პრესისა და ტელევიზიის საშუალებით.*

*აქვე მადლობას ვუხდით სპორტის დეპარტამენტსა და სპორტის სასახლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას განეული დახმარებისა და თანამშრომლობისათვის.*

**საქართველოს კომპიუტერული თამაშების ეროვნული ფედერაცია**

ნუსრი ბარდანიძის ფოტო

ალექსანდრე კოტორაშვილი

# ჯართით გადაღებული სურათების ისტორია

**ჟურნალისტთა** სახლში პოპულარული ფოტორეპორტიორის ალექსანდრე კოტორაშვილის დოკუმენტური ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიხსნა. ეს მოხდა 13 მაისს 13 საათზე. კოტორაშვილს ეს დრო შემთხვევით არ აურჩევია — მან გამოფენა დიუსელდორფში თბილისის „დინამოს“ ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში „კარლ ცაისთან“ გამარჯვების 20 წლისთავს მიუძღვნა. გამოფენის გახსნაზე მრავალთა შორის იყვნენ ის გამარჯვებული დინამოელებიც და „კარლ ცაისის“ ფეხბურთელებიც. საგამოფენო დარბაზში ისინი ამაოდ ეძებდნენ დიუსელდორფული ფინალის ამსახველ ფოტოებს. სამწუხაროდ, ასეთი ფოტოები არც ალექსანდრე კოტორაშვილს მოეპოვება და არც მის ჩვენებურ კოლეგებს. მაშინ, გერმანიაში ქართველი პროფესიონალი ფოტორეპორტიორების გარდა ყველა მოხვდა და მას მერე ქართული პრესა გერმანულს ძარცვავს, თუმცა, გასაძარცვსაც ბევრს ვერას პოულობს.

ასეა თუ ისე, ჩვენი კოტორას ნამუშევრების გამოფენაზე ასი დოკუმენტური ფოტოს ნახვა შეგიძლიათ (კვირის ბოლომდე), რომლებიც მთლიანად ფეხბურთს ეძღვნება.

„ჩვენი კოტორაო“, რომ ვამბობთ, ამით მისდამი სიყვარულს გამოვხატავთ, თორემ იგი სარბიელელი არასოდეს ყოფილა. ახლა სულაც არავისი არ არის და თავისუფალი ფოტორეპორტიორია, წინათ კი „ახალგაზრდა კომუნისტში“ და „ლელოში“ მუშაობდა.

ყველაფერი თურმე იმით დაიწყო, რომ 14 წლის სანდროს მამამ ფოტოაპარატი „ფედი“ უყიდა, სამი წლის მერე კი მკითხველმა პირველად ნახა და წაიკითხა: „ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო“.

„ეს მოხდა 1963 წელს — იხსენებს სანდრო კოტორაშვილი — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ვსწავლობდი და ჩემი თანაკურსელი, მოჭიდავე ტარიელ ალიბეგაშვილი მაშინ გადავიღე, როცა ინსტიტუტის პირველობა მოიგო. მან მერეც არაერთხელ გაიმარჯვა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. ამასთან დაკავშირებით მისი ფოტოებიც გამოვაქვეყნე, მაგრამ ის პირველი სურათი რომ დამბიჭდეს, სიხარულით ცაში დავფრინავდი.“

მას მერე სანდრო კოტორაშვილის არქივი ივსება და ივსება. ახლა იმ არქივში ქართული სპორტის ისტორიის ამსახველი უამრავი ფოტო და ნეგატივია. ბევრი მათგანი იხილეს გერმანიის ფედერაციულ და ყოფილ დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც, იუგოსლავიაშიც, პოლონეთშიც და, რა თქმა უნდა, საქართველოშიც. ამ გამოფენებზე პრიზებიც დაუმსახურებია, ახლა კი ალექსანდრე კოტორაშვილი ამგვარი ექსპოზიციით მეთხუთმეტედ წარსდგა დამთვალიერებლის წინაშე.

ამბობს, თქვენ დაფინანსება თქვით, თორემ ამგვარი გამოფენების მოწყობა შემიძლია ყველა იმ სახეობებზე, რომლებიც საქართველოშია დანერგილიო.

ხშირად გაიგონებთ ფოტორეპორტიორების წუწუნს, ფოტოაპარატი არ მივარგა, თორემ უკეთეს სურათებს გადავიღებდიო. ეს ცუდი მოცეკვავე კაცის წუწუნს გვაგონებს. კოტორაშვილი დიდხანს იმ „ფედსა“ და „ზენიტსაც“ აჩხაკუნებდა, მაგრამ მისი სურათები ბევრ „ნიკონ-ქენონიანის“ ნამუშევრებს სჯობია.

კოტორაშვილის ნამუშევრებით აღფრთოვანებულმა იაპონიის ძიუდოს ფედერაციის წარმომადგენელმა მასაცუგა კოგამ როცა ნახა, როგორი „ჯართით“ იღებდა სურათებს ჩვენი კოტორა, ადგა და „რიკონის“ მთელი კომპლექტი საჩუქრად უყიდა. მას მიბაძა ლევან თედიაშვილმაც და „ნიკონის“ ფოტოაპარატი ოპტიკის მთელი კომპლექტით აჩუქა.

მაგრამ კოტორაშვილი იმ „ფედს“ ზოგჯერ ახლაც აჩხაკუნებს.

ცხადია, ყველივე ამის გამო ალექსანდრე კოტორაშვილი ემადლიერება მამასაც, მასაცუგა კოგასაც და ლევან თედიაშვილსაც; ემადლიერება საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავჯდომარე ირაკლი მემმარიაშვილს და თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსს სოსო ალავიძეს, რომლებიც ალექსანდრე კოტორაშვილს ამ გამოფენის მოწყობაში დაეხმარნენ.

**ავთანდილ ბყვიშელი**

# მოსკიტოს ნაკბენი

REUTERS რომიდან

**ხუან კარლოს ფერერომ სეზონის მეოთხე ტიტული მოიპოვა**

**მასტერსის სერია**
**რომი (იტალია)**
**თიხნარი. საპრიზო 3 მილიონი $**

**მეოთხედფინალი: გუსტავო კუერტენი (1, ბრაზილია) — ალექს კორეშა (10, ესპანეთი) 6:2, 6:3; ხუან კარლოს ფერერო (8, ესპანეთი) — უგინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) 6:0, 6:2; ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) — ჰარელ ლევი (ისრაელი) 7:6 (9:7), 6:2; ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — ხაკობო დიასი (ესპანეთი) 3:6, 6:1, 6:2**

**ნახევარფინალი: კუერტენი — ვინსიგერა 6:2, 6:4; ფერერო — ლაპენტი 6:3, 6:3**

**ფინალი: ფერერო — კუერტენი 3:6, 6:1, 2:6, 6:4, 6:2**

კაცთა ჩოგბურთში თავის ზედმეტსახელს ხუან კარლოს ფერეროს მსგავსად ალბათ, არავინ ერგება: ძვალტყავა გარეგნობითა და შხამიანი დარტყმებით 21 წლის ესპანელი სწორედაც რომ ზედგამოჭრილი „ელ მოსკიტოა“.

ვალენსიაში დაბადებულ და გაზრდილ ჩოგბურთელს სხეულზე ფერ-ხორცის და კუნთების ნასახი არ ემჩნევა, თუმცა ფორჰენდის ძალით თავისზე ერთიორად ჯანიან მუტრუკებს არ ჩამოუვარდება, კორტზე კი მართლაც მწერივით სწრაფად და ძალდაუტანებლად დაფარფატებს.

„ხუან კარლოსს რომ შეხედავ, შეიძლება იფიქრო, ეს რას დამაკლებსო, მაგრამ მწარედ მოტყუვდები. რაც უფრო დიდხანს გრძელდება გათამაშება, მასთან გამკლავება და ფეხის აწყობა მით უფრო ძნელია, თანაც გამუდმებით ისეთი ზეწოლის ქვეშ გამყოფებს, ადრე თუ გვიან ვერ გაუძლებ და შეცდები“ — ეს სიტყვები ესპანელის მიერ ნახევარფინალში დამარცხებულ ნიკოლას ლაპენტის ეკუთვნის.

რომის მასტერსის სერიის ტურნირის გადამწყვეტ მატჩში „მოსკიტოს“ ნაკბენთა სიმწარე საკუთარ თავზე მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა გუსტავო კუერტენმაც გამოსცადა. წლევანდელი სათიხნარო სეზონის ორი საუკეთესო მოთამაშის შეხვედრა ბევრმა როლან გაროსის ფინალის გენერალურ რეპეტიციად მიიჩნია. როგორც მოსალოდნელი იყო, ბრძოლა ხანგრძლივი და თანაბარი გამოდგა.

მატჩი უკეთ „გუგამ“ დაიწყო, წონასომაში უპირატესობა კარგად გამოიყენა და პირველ სეტ-პოინტს 20 წუთში მიატანა. „ასეთი ცალკარა სტარტის შემდეგ ცოტა გაენერვიულდი, მაგრამ თავი დავიწყნარე, შენი დროც დადგება, შანსები აუცილებლად მოგეცემა-მეთქი. რაკი შეხვედრა სამ მოგებამდე იყო და არა ორამდე, მდგომარეობის გამოსასწორებლად მეტი დრო მქონდა“ — აღნიშნა მოგვიანებით ესპანელმა, რომელიც ასეთი მსხვილი ტურნირის ფინალში პირველად ასპარეზობდა.

მართლაც, მეორე ხელმა უკვე მთლიანად ფერეროს უპირატესობით ჩაიარა, კუერტენს კი თანდათან დაღლა დაეტყო. ხანგრძლივი, მომქანცველი გათამაშებები სულ უფრო ხშირად სრულდებოდა ესპანელის სასარგებლოდ და მატჩის დაწყებიდან სამი საათისა და 5 წუთის თავზე გამარჯვება მან რიგით მერვე ეისით გაიფორმა.

„ამ მოგების შემდეგ პარიზში კიდევ უფრო თავდაჯერებული ვიქნები. საკუთარ თავს დავუმტკიცე, რომ თიხნარზე მსოფლიოში საუკეთესო ოსტატებთანაც შემიძლია გამკლავება“ — განაცხადა 400 ათასი დოლარით გამდიდრებულმა ფერერომ, რომელმაც მეტოქეზე შარშან როლან გაროსის ნახევარფინალში მარცხისთვისაც იძია შური. თებერვლიდან მოყოლებული ეს ესპანელის მეოთხე ტიტული იყო.

კუერტენმა ფერეროს გარჯა შეუქო, თუმცა თავი საზარდულის ტრავმის გაუარესებით იმართლა: „მან ძალიან ბევრი მარბენინა. ბუნებრივია, ასეთ პირობებში მატჩის ისევე კარგად დასრულება, როგორც დაიწყე, თითქმის შეუძლებელია. ხუან კარლოსი მთელი კვირის მანძილზე საუკეთესოდ თამაშობდა, მე კი თავს ფიზიკურად 100 პროცენტით მზად არ ვგრძნობ“.

ბრაზილიელმა ამას ისიც დაურთო, რომ საფრანგეთის ღია პირველობის შემდეგ რამდენიმე კვირით დასვენებას აპირებს მოსამჯობინებლად და, ალბათ, უომბლდონს უგანებს.

**ბერლინი**
**გერმანიის ღია პირველობა**
**თიხნარი. საპრიზო 1,2 მილიონი $**

**მეოთხედფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (8, ესპანეთი) 6:3, 7:6 (7:4); ჯენიფერ კაპარიატი (3, აშშ) — კონჩიტა მარტინესი (6, ესპანეთი) 2:6, 6:3, 6:4; ანჯელი მორესმო (4, საფრანგეთი) — ამანდა კუტცერი (5, სამხრეთ აფრიკა) 6:7 (5:7), 6:3, 6:3; შიუსტინ ენენი (13, ბელგია) — მირიამ შნაიცერი (გერმანია) 6:4, 6:2.**

**ნახევარფინალი: მორესმო — ჰინგისი 3:6, 6:0, 6:4; კაპარიატი — ენენი 6:2, 4:6, 2:1 — ტრავმა.**

**ფინალი: მორესმო — კაპრიატი 6:4, 2:6, 6:3.**

მარტინა ჰინგისს არაფრით სურს აღიაროს, რომ ქალთა ჩოგბურთის ტახტში კიდევ ერთი ლეგიტიმური მოცილე გამოუჩნდა. „ნებისმიერ მომენტში შემეძლო მატჩის გადარჩენა... ეტყობა, გამარჯვებას არც ისე ვიყავი მოწყურებული... თავს საფრანგეთის ღია პირველობისთვის ვინახავ“ — ათასგვარი მიზეზი მოძებნა შვეიცარიელმა ამელი მორესმოსთან ნახევარფინალში წაგების ასახსნელად და თავის გასამართლებლად.

ფაქტი ის არის, რომ 21 წლის ლესბოსელმა წლეულს ყველა მტანჯველი ტრავმა მოირჩინა, ყურადღების ცენტრში ყოფნის მოყვარულ გელფრენდ სილვი ბურდონსაც დაშორდა და ახალი მწვრთნელის, ალესია დეშომბალრეს ხელმძღვანელობით თავისი დიდი პოტენციალი ბოლომდე აითვისა.

შედეგად მორესმოს ამ ოთხ თვეში WTA ტურზე მოგება-წაგების საუკეთესო შეფარდება (27:2) და ყველაზე მეტი — 4 ტიტული დაუგროვდა. მასზვით აღმავლობის გზაზე მდგარ ჯენიფერ კაპრიატისთან შეხვედრაში ფრანგმა ალაგ-ალაგ ისე ითამაშა, მრავლის მნახველი ამერიკელიც კი გააოცა, ასეთ მაღალ დონეზე ჩემს წინააღმდეგ ერთიორი თუ გარჯილაო.

„ვცდილობ, ყველანაირი სისუსტე აღმოვფხვრა, რათა ამით ვეღარავინ ისარგებლოს. ერთი სული მაქვს როლან გაროსის დაწყებამდე, ვფიქრობ, კარგი შანსი მომეცემა თანამემამულეები მარი პირსის მსგავსად გავახარო“ — განაცხადა დაჯილდოების ცერემონიალზე ფრანგმა, რომელსაც 172 ათასი დოლარი ერგო.

**ავთანდილ სვანიძე**


**იყიდება**

ორსართულიანი კერძო ბინა დოლიძის ქუჩაზე,
170 კვ.მ. საერთო ფართით, გარაჟით,
150 კვ.მ. ხუთლიანი ეზოთი. ფასი შეთანხმებით



**ტელ:**
**78 28 77**

NBA. პლეი ოფი. მეორე წრე (ოთხ მოგებამდე)

# ზღაპარი იყო, დალას იყო

**დასავლეთი**

14 მაისი

| | |
|---|---|
| **სან ანტონიო** | **4** |
| **დალასი** | **1** |

**სან ანტონიო 105:87 დალასი**

**სან ანტონიო:** დენკანი (32 ქულა, 20 მოხსნა, 5 დაფარება), დანიელსი (19 ქულა, 9 პასი), რობინსონი (16 ქულა, 14 მოხსნა, 5 პასი, 4 დაფარება)

**დალასი:** ნოვიცკი (42 ქულა, 18 მოხსნა, 6 ჩაჭრა), ჰოვარდი (14 ქულა, 12 მოხსნა), ნეში (11)



REUTERS სან ანტონიო

**სან ანტონიოს ყოჩაღი ბიჭები: ტიმ დენკანი (მარჯვნივ) და დენიდ რობინსონი**

კარგა ხანია, „დალას მავერიქსს“ ასეთი სეზონი არ ჰქონია. მოკლედ აღვწეროთ მათ მიერ განვლილი გზა — ტეხასელებმა რეგულარულ სეზონში დასავლეთში მეხუთე ადგილი დაიკავეს და ბოლო თერთმეტ სეზონში პირველად ჩაებნენ საპლეიოფო ციებ-ცხელებაში. იქ პირველ წრეში „იუტასთან“ სერიას 0:2 აგებდნენ, მომდევნო სამი თამაში კი მოიგეს და შეიქნენ პირველები, ვინც ჯერაც ღონიერი „იუტა“ ბოლო ექვს წელიწადში პირველივე წრიდან გააგდო. მაგრამ ყველაფერი მთავრდება და „დალასისთვისაც“ დასრულდა ბრწყინვალე სეზონი, რაც მისთვის ესოდენ სამწუხაროა, ერთობ უფერულად. „მავერიქსმა“ მძლავრ „სან ანტონიოს“ მხოლოდ კინკილა გამარჯვება დასტყუა, 14 მაისს კი მრისხანე თანაშეტატელთან მეოთხე მატჩიც წააგო და სეზონს გამოეთხოვა.

„ჩვენ ზღაპარივით დიდებული წელი გვქონდა. ბუნებრივია, გვსურდა, რომ უკეთ დაგვესრულებინა, მაგრამ მთლიანად უკმაყოფილონი მაინც არ ვართ. ისე ნუ იფიქრებთ, თითქოს „სან ანტონიოს“ წინასწარ გამარჯვებულად ვთვლიდით, მაგრამ რომ დავმარცხდით, არც ესაა მოულოდნელობა“ — თქვა ნამატჩევს „მავერიქსის“ ლიდერმა მაიკლ ფინლომ. მართალია, იგი უარყოფს, მაგრამ ფაქტები მხოლოდ იმას მეტყველებს, რომ იგი აშკარად დათრგუნული თამაშობდა „სან ანტონიოსთან“.

„დალასმა“ სერია ასე უიმედოდ რომ წააგო, ამაში ბატონ ფინლის დიდი წვლილი მიუძღვის, ყოველ შემთხვევაში, ბოლო შეხვედრაში იგი საკუთარ აჩრდილს ჰგავდა. საერთოდ, 14 მაისს „დალასი“ უხეიროდ ირჯებოდა, თითქმის ყველა მოთამაშე საშინლად ისროდა და „მავერიქსმა“ თამაშიდან სროლების 36,7 პროცენტიღა მოაგროვა, მაგრამ ამ მხრივ გუნდის ლიდერს ვერც ერთი დალასელი ვერ „გაუტოლდება“. ფინლიმ 39 წუთი ითამაშა, 17-ჯერ ისროლა, აქედან 16 ააცილა და ვინაიდან იმდენად პასიური იყო, რომ მასზე ერთხელაც არ დაჯარიმებულან და შესაბამისად არც საჯარიმო უსვრია, მატჩი ორადორი ქულით დაამთავრა. და ეს მაშინ, როცა მისი საშუალო შედეგიანობა 21 ქულას აღემატება.

ფინლის „გმირობის“ შემდეგ, ბუნებრივია, „დალასის“ ხვედრი მხოლოდ მარცხი იყო. თავად ფინლიმაც აღიარა, ცხოვრებაში ასე უხეიროდ არ მითამაშია, ჩემს გუნდს შანსი არ დავუტოვეო. „დალასი“ თავიდანვე ჩამორჩა გამართულად მოთამაშე მეტოქეს და პირველი თორმეტწუთიანი რომ მიიწურა, უკვე თერთმეტ ქულას აგებდა. მეორე მეთხედში „სან ანტონიომ“ ამ უპირატესობას ხუთი ქულაც წაუმატა და დიდ შესვენებაზე მოწინააღმდეგენი 16-ქულიანი სხვაობით გაიყარნენ.

პირველი ნახევრის შემდეგ „სფურზი“ 57:41 იგებდა და რადგან მეტოქე ამ დეფიციტის დამფარავი არ ჩანდა, თავს მოდუნების უფლება მისცა. სტუმართაგან ერთადერთი დირკ ნოვიცკი არ ცხრებოდა. გერმანელმა, შესაძლოა, კარიერაში საუკეთესო მატჩი ჩაატარა, მაგრამ მარტოკაცი რას გახდებოდა „სფურზის“ აწყობილ მანქანასთან. „დალასის“ რიგებშიც მან დაასრულა სეზონი ყველაზე თავაწეულმა. ორი დღის წინ ნოვიცკიმ „სან ანტონიოს“ 30 ქულა ჩაუგდო და მეტოქეებს იმდენი ეჭიდავა, კბილებიც კი ჩაუტეხეს იდაყვით, მაგრამ ამან წოწოლა გერმანელს კიდევ უფრო გაუღვივა ბრძოლის ჟინი და 14 მაისს რისხვადაც დაატყდა თავს „სფურზს“. ნოვიცკის მიერ მოხვეჭილი 42 ქულა, 18 მოხსნა და 6 ჩაჭრა მისი პირადი რეკორდია პლეი ოფებში, თანაგუნდელებმა კი გარჯა წყალში ჩაუყარეს.

„სან ანტონიო სფურზი“ კონფერენციის ფინალშია და იქ მასზე ერთი დღით ადრე გასულ „ლეიკერს“ შეებმება, რომელსაც ბოლო 15 თამაშია, არ წაუგია, ჩემპიონი მშვენიერ ფორმაშია და „სან ანტონიოს“ მასთან ფიცხელი ბრძოლა ელის. ოკეანგადმელი სპეციალისტებიც თვლიან, რომ მომავალი ჩემპიონის ვინაობა ამ წყვილში გ...რკვევა.

**ირაკლი ფირაყვილი**

**სლოვენია**

# ქართველები ბრინჯაოსფერ სერიაში

**პლეი ოფი**

ნახევარფინალი (ორ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| **ოლიმპია** | **2** |
| **პივოვარნა** | **0** |

**პივოვარნა 84:106 ოლიმპია**

| | |
|---|---|
| **კრკა** | **2** |
| **სლოვანი** | **0** |

**სლოვანი 90:93 კრკა**

**სლოვანი:** ნოვაკი (9), ლაკოვიჩი (17), ჟაკელი (2), **უბრეხელიძე** (28 წუთი, 4 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი), კოვაჩი (4), პავიჩი (9), **ბოისა** (31 წუთი, 17 ქულა, 2 მოხსნა), **მარავიჩი** (18), **ცძიტიშვილი** (23 წუთი, 10 ქულა, 3 მოხსნა, 2 ჩაჭრა)

**კრკა:** ანზულოვიჩი (2), ივეტოვიჩი, დონჩიჩი (20), პეტროვი (24), დევისონი (16), გრუმი (18), დრობნიაკი (12), კორტნი (1)

ფინალი (სამ მოგებამდე)

**ოლიმპია — კრკა**

*მატჩები გაიმართება 23, 26, 30 მაისს, და, თუ საჭირო გახდა, 2 და 6 ივნისს*

მესამე ადგილისთვის (ორ მოგებამდე)

**სლოვანი — პივოვარნა**

*მატჩები გაიმართება 22 და 25, და, თუ საჭირო გახდა, 29 მაისს*

**სლოვენიაში** ცნობილი გახდა იმ გუნდების ვინაობა, რომლებიც ჩემპიონის გამოსავლენად ფინალურ სერიაში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ქართველ გულშემატკივართა სამწუხაროდ, ორ ოქროსმაძიებელს შორის ვერ მოხვდა ლიუბლიანას „სლოვანი“, რომელშიც ქართული კვარტეტი ასპარეზობს. ნახევარფინალური სერიის საპასუხო მატჩში, ნოვო მესტოში დამარცხებული დედაქალაქელები ჩემპიონ „კრკას“ შინ დაუხვდნენ. მასპინძლები საბრძოლოდ იყვნენ განწყობილნი, რადგან წაგების შემთხვევაში ჩემპიონობისთვის ბრძოლას ეთიშებოდნენ.

თამაში კვლავ სათადარიგოთა შორის გაატარა კოტე ტუღუშმა. სამაგიეროდ, მასპინძელთაგან ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი ვლადიმერ ბოისა იყო, რომელმაც მოედანზე თანაგუნდელთაგან ყველაზე მეტხანს დაჰყო და 17 ქულის მოპოვება მოახერხა. მატჩის ბოლოს ნიკა ცქიტიშვილის მონაგარმა 10 ქულა შეადგინა, ხოლო დავით უგრეხელიძე საკმაოდ ხანგრძლივი თამაშის მიუხედავად თავის გუნდს მხოლოდ 4 ქულით შეეწია.

პირველივე წუთებიდან გამოიკვეთა სტუმართა უპირატესობა. ჩემპიონები თანაბარი წარმატებით ირჯებოდნენ როგორც დაცვაში, ასევე შეტევის დამგვირგვინებელ ფაზაში. „კრკას“ მოთამაშეებს არ უჭირდათ მასპინძელთა დაცვაში ნაპრალების გამონახვა და მატჩის დებიუტშივე 10 ქულით დაწინაურდნენ — 14:4. „სლოვანი“ მდგომარეობის გამოსწორებას შორიდან სროლებით შეეცადა, მაგრამ ამაოდ. პირველ ნახევარში მასპინძლები ძალიან ბევრს სცოდავდნენ და შედეგად ტაიმი 40:48 დათმეს.

შესვენებამ სლოვანელებზე დადებითად იმოქმედა. ისინი მოედანზე სათამაშოდ უფრო შემართულნი გავიდნენ. მასპინძლებმა მატჩში გარდატეხის შეტანა დაცვის გაძლიერებით სცადეს და არცთუ უშედეგოდ. პირველი ტაიმისგან განსხვავებით, სტუმრებს უძნელდებოდათ ლიუბლიანელთა მწყობრი დაცვის გარღვევა. დაცვის დარად, ჩინებულად ითამაშდა „სლოვანის“ წინა ხაზიც. ყველაფერ ამას კი შედეგად მესამე მეოთხედის შუაწელში დაწინაურება მოჰყვა. აქედან მოყოლებული თამაში გათანაბრდა და ქულა-ქულაში წარიმართა. ვერც ერთი გუნდი ვერ ახერხებდა საგრძნობლად წინ გაჭრას. მატჩი ბოლო წუთამდე ასეთი სცენარით გაგრძელდა. აქ კი გამოცდილებამ თქვა თავისი სიტყვა. „კრკას“ კალათბურთელებმა გადამწყვეტ მომენტში სიმტკიცე გამოავლინეს, მაშინ, როდესაც ერთ-ერთმა სლოვანელმა ყველაზე საპასუხისმგებლო ეპიზოდში ბურთი ფატალურად დაკარგა, რითაც ფაქტობრივად მოწინააღმდეგეს ფინალის საგზური აჩუქა. საბოლოოდ — 90:93.

ამ დამარცხების მიუხედავად, „სლოვანს“ საპრიზო ადგილზე გასვლის შესაძლებლობა არ დაუკარგავს. ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლა მას შარშანდელივით „ოლიმპიასგან“ ნახევარფინალურ სერიაში ნაგვემ „პივოვარნასთან“ მოუწევს.

შარშან „პივოვარნამ“ მისთვის საპატიო ბრინჯაო სწორედ სლოვანელებთან ჭიდილში მოიპოვა, მაგრამ წლეულს იგივეს გამეორება ძალიან გაუჭირდება. მეტოქესთან რეგულარულ ჩემპიონატში გამართულ ურთიერთშეხვედრებს რომ თავი დავანებოთ, რომლებშიც პივოვარნელები ოთხჯერვე დამარცხდნენ, „სლოვანს“ „ბრინჯაოს“ სერიაში საკუთარი მოედნის უპირატესობა აქვს.

**ირაკლი პერტაია**



# ჩინეთიდან ლტოლვილი ისევ ჩინეთს ემხრობა

**გასულ** კვირას ბუდისტთა სულიერი მოძღვარი დალაი ლამა 2002 წლის თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქ სოლტ ლეიკ სიტის ეწვია.

დღეს, როცა აშშ-სა და ჩინეთს შორის საკმაოდ დაძაბული ურთიერთობაა, ბუნებრივია, ყველას აინტერესებს მისი მოსაზრება პეკინში 2008 წელს ოლიმპიადის შესაძლო გამართვის თაობაზე. დალაი ლამას თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში ადამიანთა უფლებები ირღვევა, იგი მაინც უჭერს მხარს იქაურთა სურვილს.

„ეს ძალიან ჩახლართული ამბავია. ჩინეთი მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვანი ერია. ის იმსახურებს ოლიმპიადის მასპინძლობას“ — თქვა ტიბეტელმა ბუდისტთა ლიდერმა, როცა მისი თვითმფრინავი მინესოტიდან სოლტ ლეიკში ჩაფრინდა. გარდა ამისა მან განაცხადა, რომ თუ დემოკრატიის მხარდამჭერები ჩინეთში ოლიმპიადას მფარველად მოევლინებიან, მაშინ იგი მათ გზას არ გადაუღობავს.

ამჟამად დალაი ლამა აშშ-ს ქალაქებში — პორტლენდში, სან ფრანცისკოში, სან ხოსეში, მედისონში, ვაშინგტონსა და ლოს ანჯელესში სამკვირიან ტურნეს მართავს, მანამდე კი მინეაპოლისიც მოინახულა.

ყველა ამ ქალაქში ტიბეტელთა ჩასახლების პროექტით დღეს მისი თვისტომნი ცხოვრობენ.

საინტერესოა, რომ ტიბეტელთა პირველი რვაკაციანი ნაკადი სოლტ ლეიკ სიტიში 1992 წელს ჩავიდა, დღეს კი პროექტის მიხედვით იუტას დედაქალაქში 150 კაცი ცხოვრობს.

დალაი ლამა, რომელიც 6 მილიონი ტიბეტელი ბუდისტის მოძღვარია, იმედოვნებს, რომ ჩინეთში მალე ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება. იგი ამაში განსაკუთრებით ადამიანის უფლებების დაცვას გულისხმობს.

—ჩინეთი არ უნდა იყოს იზოლირებული. ამ ქვეყანასთან მეგობრობა აუცილებელია — მოგვიწოდებს დალაი ლამა.

არადა, ჩინეთი მას უნდობლობას უცხადებს. მოგეხსენებათ, 1959 წელს დალაი ლამა, ჩინეთის ხელისუფლებით უკმაყოფილო, პროტესტის ნიშნად ინდოეთში გადავიდა.

საქმე ისაა, რომ იგი ჰიმალაის ტერიტორიისადმი ჩინეთის დამოკიდებულების გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდა. მიუხედავად ამისა, დღეს ბუდისტთა ლიდერი აცხადებს, რომ იგი მხარს უჭერს ტიბეტის დიდ ავტონომიად გამოცხადებას და არა დამოუკიდებლობას, ჩინელი დიდმოხელენი კი მას კვლავაც ადანაშაულებენ იმაში, თითქოს ამ რეგიონის ჩინეთისგან გამოყოფა უნდოდეს.

# ფსონის ჩასვლის მეტი ჩვენ რაღა დაგვრჩენია

**საადლეისოდ,** სანამ სპორტის სამყაროში ორი უმთავრესი არჩევანი გაკეთდებოდეს, ფავორიტები გამოიკვეთნენ. ერთია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის საკარაუდო კანდიდატი, მეორე კი 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძელი.

აი, ისინიც, ფავორიტები: პეკინი და ჟაკ როგი. ორივემ ოთხ-ოთხ მეტოქეს უნდა აჯობოს. პეკინმა პარიზს, ტორონტოს, ოსაკასა და სტამბოლს, ხოლო როგმა — კიმ უნ იონგს, დიკ პაუნდს, ანიტა დეფრანცსა და პალ შმიტს.

სოკ-ის პრეზიდენტის, ხუან ანტონიო სამარანჩის შესაძლო მემკვიდრეთაგან ჟაკ როგი უფრო დაწინაურებული ჩანს, ისევე, როგორც ოლიმპიადის მაძიებელ ქალაქებს შორის პეკინი. თუმცა ოლიმპიზმის მამები და ექსპერტები პროგნოზებისგან თავს იკავებენ, რადგან ვარაუდი ხშირად არ მართლდება. ამასთან, 13-16 ივლისს მოსკოვში გასამართ ფარულ კენჭისყრამდე ყველაფერია მოსალოდნელი. ამ საზაფხულ ციებ-ცხელებამდე კი მოსკოვის მინი-სესია დაიწყო.

საქმე ისაა, რომ ლოზანაში, სოკ-ის შტაბბინაში, 80 წლის ესპანელმა მარკიზმა ბოლოჯერ შეკრიბა საბჭო. იქ არიან ხუთივე პრეზიდენტობის კანდიდატი და ოლიმპიადის მაძიებელ ქალაქთა წარმომადგენლებიც. ყოველივე ეს კი გარკვეულწილად სამომავლო არჩევნებისთვის გენერალური რეპეტიცია გახლავთ. გარდა ამისა, სოკ-ის დაახლოებით 25 წევრი მონაწილეობს საერთაშორისო სპორტულ ფედერაციათა გენერალურ ასამბლეაში.

აღსანიშნავია, რომ ეს შეხვედრები 2008 წლის ოლიმპიადის კანდიდატების სოკ-ელ შემფასებელთა გუშინდელ მოხსენებას დაემთხვა. მოსალოდნელია, რომ ზემოხსენებული მოხსენება მაღალ შეფასებას მისცემს პარიზს, ტორონტოსა და პეკინს. ჩინეთის დედაქალაქს კი, ბოლო დროს თავდატეხილი პრობლემების მიუხედავად, წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით განიხილავენ.

სოკ-ის ზოგიერთ წევრს მიაჩნია, რომ მთავარი მოცილეები როგი და კიმი იქნებიან, ნაწილი კი ვარაუდობს, რომ ბრძოლა ძირითადად როგსა და პაუნდს შორის გაჩაღდება. როგორც ზედავთ, ორივე შემთხვევაში ერთ-ერთ ფავორიტად როგია დასახელებული.

საინტერესოა სოკ-ის წევრთა შორის გავრცელებული გერმანული ოლიმპიური ცნობარის „სპორტ ინტერნ“-ის ვარაუდიც. მას მიაჩნია, რომ კიმ უნ იონგი მოსკოვის კენჭისყრაზე პირველ რაუნდში 40-42 ხმას მოაგროვებს, მაშინ, როდესაც როგის მონაპოვარი 37-39 იქნება. მისივე ვარაუდით, 18-20 ხმით მესამე დიკ პაუნდი იქნება. ანიტა დეფრანცსა და პალ შმიტს შესაბამისად სოკ-ის 9-12 და 3-6 წევრი დაუჭერს მხარს. „ძნელი დასაჯერებელია, რომ კიმმა ხმების უმეტესობა მოიპოვოს. სიტუაციიდან გამომდინარე, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, პაექრობა დიკ პაუნდსა და ჟაკ როგს შორის გაიმართება“ — აცხადებს ბრიტანელი სოკ-ელი კრეგ რიდი.

საგულისხმოა ჩიკაგოს უნივერსიტეტიდან მიწვეული ოლიმპიური ექსპერტის ჯონ მაკალუნის სიტყვებიც. იგი ამბობს, რომ როგი შესაძლოა ფინალში გავიდეს, მაგრამ ევროპელთა მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონდეს. მისი თქმით, ამომრჩევლები დიკ პაუნდისკენ უნდა შემობრუნდნენ, რადგან მას ოლიმპიურ მოძრაობაში ყველაზე დიდი გამოცდილება აქვს. „პაუნდის უპირატესობა ისაა, რომ მას დიდი ხანია იცნობენ. ყველას კარგად მოეხსენებათ, თუ რას მიიღებენ დიკისგან. მართალია, ჟაკ როგმა ყველა მოხიბლა, მაგრამ მას დიკ პაუნდის დარი გამოცდილება არა აქვს“ — ამბობს ჩიკაგოელი ექსპერტი.

ახლა იმაზეც ვთქვათ, პრეზიდენტობის ფავორიტთაგან სოკ-ში ვის რამდენი წელი უღვაწია. მათ შორის ყველაზე გამოცდილი დიკ პაუნდია. 23 წელია, რაც მას სოკ-ში ვხედავთ. მაშინ, როდესაც კიმს მხოლოდ 15-წლიანი პრაქტიკა აქვს. რაც შეეხება ჟაკ როგს, იგი სოკ-ში მუშაობის 10 წელიწადს ითვლის. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ათ წელიწადში მან საკმაოდ სწრაფად აინაცვლა ზედა ეშელონებში.

კიდევ ერთი — დაახლოებით ამ ერთი თვის წინ ჩვენი დასავლელი კოლეგები დიკ პაუნდსა და კიმ უნ იონგს პარიზში, რესტორანში გადაეყარნენ. ამან, ბუნებრივია, ეჭვიც აღძრა. ისინი ფიქრობენ, რომ პაუნდს და კიმს შორის რაღაც საიდუმლო ხელშეკრულებაა. კერძოდ, სავსებით შესაძლებელია, მათ ერთმანეთს ხმები დაუთმონ. თუ ეს მართლა ასე მოხდა, მაშინ ამ ბობოლების დამარცხება „ნორჩი“ როგისთვის შეუძლებელი გახდება.

ასეა თუ ისე, ყველაფერს პასუხი ორ თვეში გაეცემა. ჩვენ კი მანამდე მხოლოდ ფსონებს შეგვიძლია ჩავიდეთ. ცნობილმა ბრიტანულმა საბუქმეიკერო კანტორა „უილიამ ჰილმა“ 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის მსურველ ქალაქთა კოეფიციენტები გამოაქვეყნა. აქაც ფავორიტად პეკინია მიჩნეული — 4:7. პეკინს მოჰყვება ტორონტო (2:1) და პარიზი (8:1).

**გიგა გურასაშვილი**

ოსაკის გრან პრი

# გრინი ეშვება

**12 მაისი** სტეისი დრაგილას დღე არ იყო. ასე თქვა თვითონ, როცა „ოსაკის გრან პრიზე“ ამაოდ იხმარა ერთგული ჭოკი და მხოლოდ 4 მეტრსა და 20 სანტიმეტრს გადაევლო. მას გაუსწრეს ავსტრალიელმა რუსმა ტატიანა გრიგორიევამ (4,40), ჩინელმა გაო შინგმა (4,40) და ავსტრიელმა დორის აუერმა (4,30). პირველ ადგილზე გრიგორიევა გავიდა, რომელსაც უკვე დრაგილას მძლავრ კონკურენტად მიიჩნევენ — ბოლო დროს იგი გამარჯვებებს გაუთამამდა.



მორის გრინი

„გასულ კვირას 4,70 მეტრი ვმლიე — გაიხსენა ნაწყენმა დრაგილამ მსოფლიოს რეკორდი — და დღეს აი, რა მომივიდა.“ მორის გრინს კი არაფერი მოჰგონებია, მხოლოდ წინ მზირალმა ოსაკაში 100 მეტრზე სეზონის რეკორდი დაამყარა და მსოფლიოს თავისივე რეკორდს 0,17 წამამდე დაუახლოვდა. ანუ გრინმა უწვენა 9,96, ხოლო სარეკორდო მაჩვენებელი 9,79-ია. გარბენმა ძლიერი ხალხი შეყარა. გრინის გვერდით იდგნენ მისი ვარჯიშის ამხანაგი ბერნარდ უილიამსი, განელი აზიზ აბდულ ზაკარი და ამერიკელი შონ კროუფორდი. ამ სამიდან სიურპრიზის გაკეთება ყოველს შეეძლო, მაგრამ გრინმა სირბილი იმ აზრით დაიწყო, რომ ოსაკა მისთვის ბედნიერი ადგილია, იგივე შეჯიბრი შარშანაც მოუგია. ამიტომ მეტოქეები პირველობაზე ოცნებას თავიდანვე გამოეშვიდობნენ და მეორე ადგილისთვის გააჩაღეს ბრძოლა. როცა გრინი უკვე სულს ითქვამდა, უილიამსსა და აბდულ ზაკარის ჯერაც სასტიკი დუელი ჰქონდათ. კროუფორდი მეოთხე იყო და გაბრაზებულმა ორი საათის შემდეგ 200-მეტრიანი გარბენი მოიგო, სადაც მეორე ადგილზე აბდულ ზაკარი გავიდა და მესამეზე — ადგილობრივი საზოგადოების საამოდ, შინგო სუცუგუ. შედეგები: კროუფორდი 20,20; აბდულ ზაკარი 20,37; სუცუგუ 20,42

ხოლო გრინმა თქვა, დღეს ჩემი სირბილით მთლად კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ იმედი მაქვს, ოსაკელ ფანებს მოეწონათო. იგი არ შემცდარა: ბევრი ტაში დაუკრეს, მაგრამ ოვაციები მაშინ გაძლიერდა, იაპონელმა კოჯი მუროფუშიმ ურო რომ მოიქნია და 82,59 მეტრზე გატყორცნა. მეტის გაკეთება პოლონელმა შიმონ ციოლკოვსკიმ სცადა, მაგრამ ვერ შეძლო და იაპონელებმა ოლიმპიური ჩემპიონის მათი კაცისგან დაჩაგვრა იზეიმეს. ეს სენსაცია იყო, ხოლო კენიელთაგან ბლომად გრძელი დისტანციების დანარჩუნება — ჩვეულებრივი ამბავი.

მაგალითად, ვაჟთა 5000 მეტრის პოდიუმი სრულად კენიელებით შეივსო. სულ მაღლა ზაკაიო ნგატო იდგა (13.11,37), მერე — ჯულიუს გიტაჰი (13.11,66) და საიმონ მაინა (13.15,22). კენიელმა ქალებმა 5000 მეტრზე მხოლოდ მეორე ადგილი ვერ დაიკავეს, ეთიოპელ ბერჰანე ადერეს დარჩა. პირველი სახელოვანი ლია მალოტი იყო, მესამე — უფრო სახელოვანი ტეგლა ლორუპე და საერთოდ, სახელ-დიდებაზე თუ ვილაპარაკებთ, ძნელად ვინმეს ჰქონდეს ისეთი ავტორიტეტი თავის ქვეყანაში, როგორც სუსანტიკა ჯაიასინგჰს ცეილონის კუნძულზე. შრილანკელს სენსაციური წარმატებისთვის როდი მიუღწევია, მხოლოდ ბრინჯაოს მედალი წაიღო სიდნეის ოლიმპიადიდან, მაგრამ ის ბრინჯაო ერთადერთი და განუმეორებელი იყო შრი ლანკას ისტორიაში და სუსანტიკა სახელმწიფოს მეთაურიანად მთელმა ქვეყანამ გააფეტიშა. ახლა კი ირკვევა, რომ ეს მორბენალი სიდნეიში მეცამეტე გოჭი კი არა, კანონზომიერი პრიზიორი იყო, რადგან „ოსაკის გრან პრი“ ორი პირველი ადგილით დაასრულა: 100 და 200-მეტრიან დისტანციებზე.

**დავით გულუა**

**ვაჟები**

**110მ. თარჯრბენი:** 1. დადლი დორივალი (ჰაიტი) 13,55; 2. პიტერ კოგლენი (ირლანდია) 13,56; 3. კრის ფილიპსი (აშშ) 13,61

**ბადრო:** 1. ჯეისონ ტიუნკსი (კანადა) 65,12; 2. ადამ სეტლიფი (აშშ) 64,63; 3. ზოლტან კოვაკო (უნგრეთი) 62,41

**5000მ:** 1. ზაკაიო ნგატო (კენია) 13.11,37; 2. ჯულიუს გიტაჰი (კენია) 13.11,66; 3. საიმონ მაინა (კენია) 13.15,92

**1500მ:** 1. კევინ სალივანი (კანადა) 3.38,42; 2. ბერნარდ ლაგატი (კენია); 3. დანიელ ზეგეი (ეთიოპია) 3.39,71

**100მ:** 1. მორის გრინი (აშშ) 9,96; 2. ბერნარდ ვილიამსი (აშშ) 10,17; 3. აზიზ აბდულ ზაკარი (განა) 10,19

**200მ:** 1. შონ კროუფორდი (აშშ) 20,20; 2. აზიზ აბდულ ზაკარი (განა) 20,37; 3. შინგო სუცუგუ (იაპონია) 20,42

**ურო:** 1. კოჯი მუროფუში (იაპონია) 82,59; 2. შიმონ ციოლკოვსკი (პოლონეთი) 80,86; 3. ანდრიი სკვარუკი (უკრაინა) 78,59

**სიგრძეზე ხტომა:** 1. მასაკი მორინაგა (იაპონია) 8,05; 2. ქარმ სტრიტ-ტომპსონი (კაიმანის კუნძულები) 7,95; 3. ჩენგ ვანგი (ჩინეთი) 7,94

**ძალები**

**100მ** თარჯრბენი: 1. ივონ კარაზავა (იაპონია) 13,19; 2. სიუ იპინგი (ჩინეთი) 13,27; 3. ასტია უოლკერი (იამაიკა) 13,32

**სიმაღლეზე ხტომა:** 1. ემი ეკუფი (აშშ) 1,96; 2. მიკი იმაი (იაპონია) 1,92; 3. კეროლ დეიმონი (აშშ) 1,88

**200მ:** 1. სუსანტიკა ჯაიასინგჰი (შრი ლანკა) 22,63; 2. მირიამ მანი (კამერუნი) 22,74; 3. მერი ონიალი (ნიგერია) 22,94

**5000მ:** 1. ლია მალოტი (კენია) 15.18,46; 2. ბერჰანე ადერე (ეთიოპია) 15.18,87; 3. ტეგლა ლორუპე (კენია) 15.22,42

**800მ:** 1. ჩერმენ ჰაუელი (იამაიკა) 2.01,79; 2. მიკი ნიშიმურა (იაპონია) 2.02,23; 3. მარდრია ჰაიმენი (იამაიკა) 2.02,55

**ჭოკით ხტომა:** 1. ტატიანა გრიგორიევა (ავსტრალია) 4.40; 2. გაო შინგი (ჩინეთი) 4,40; 3. დორის აუერი (ავსტრია) 4,30

**100მ:** 1. სუსანტიკა ჯაიასინგჰი (შრი ლანკა) 11,37; 2. მერი ონიალი (ნიგერია) 11,54; 3. ნენსინ პერი (აშშ) 11,61


ექიმი კარდიოლოგი
**გია მაზავრაშვილი**

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია

(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

*მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით*

თსსუ ცენტრალური კლინიკა (ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფო).
I სართული ტელეფონი: 38-67-56; 8 99 107 109


# პაუელი 1747 დღის შემდეგ დაბრუნდა

**განა** რას უნდა დავეინტერესებინეთ „მოდესტოს ესტაფეტებზე“? ჩვეულებრივი ტურნირია, ელიტის ყურადღებით გამოურჩეველი და თუ მძლეოსნები ეტანებიან, უფრო იმიტომ, რომ კალიფორნიაში წელიწადის ყველა დრო საააამოა. მაგრამ რიგით მე-60 მოდესტოს ტურნირზე ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა — ოთხნახევარი წლის შემდეგ პირველად გადახტა მაიკ პაუელი. ნახტომის სიგრძე 8 მეტრი და 5 სანტიმეტრი იყო, რაც მხოლოდ ლანდია იმ ნახტომისა, რომლითაც პაუელმა ბობი ბიმონის ლეგენდარული რეკორდი დაამხო. ეს ფანტასტიკური ამბავი ათწლეულების უკან, მეხიკოში მოხდა და მას შემდეგ მსოფლიოს რჩეული მხტომელები ნაბიჯ-ნაბიჯ, სანტიმეტრებით უახლოვდებოდნენ ამ გამოგნებულ შედეგს, სანამ პაუელმა 1991 წელს უფრო გასაოცარი არ გახადა და ახალ გმირად არ იქცა.

მაიკ პაუელი: გახსოვართ?

მერე კი გმირი დაეკარგა, უმძიმესმა ტრავმამ თითქოს მის კარიერას მთლიანად დაუსვა წერტილი, მაგრამ ასე არ ყოფილა. პაუელი დაბრუნდა და მოკრძალებული ნახტომის მიუხედავად, ტურნირი მოიგო. მოდესტოში მისი გამოსვლა ბოლო წუთამდე სათუო იყო. ვითომ ოთხწლიანი შესვენება არ ჰ ყოფნიდა, ახლა ვარჯიშისას ფეხი უტკენია და მხოლოდ მასაჟებმა გამოიყვანა იგი მდგომარეობიდან. ტურნირზე პაუელის სამი ნახტომიდან ორი არასწორი იყო, მაგრამ ათლეტი ამას არ შეუწუხებია, კმაყოფილი იყო. „8,23 მეტრი მქონდა დაგეგმილი — აღნიშნავს იგი — ვერ მოვახერხე, მაგრამ ერთ რამეს კი მივხვდი — ხტომა შემძლებია. ახლა უკვე ვიცი, რაზეც უნდა ვიმუშაო“. იცის, აბა რა: მძლეოსნობის უდიდესმა მწვრთნელმა ჯიმ სმიტმა მოდესტოში მის გამორბენს „საშინელი“ უწოდა და თავისთან სავარჯიშოდ უხმო. „მო და ატო, ალბათ, სირბილს მასწავლიან“ — თქვა პაუელმა ალერსიანად მორის გრინს და ატო ბოლდონზე, რომელთაგან ერთი იმ დღეს „ოსაკის გრან პრიზე“ გარბოდა, მეორე იქვე იყო და 4x100-მეტრიანი ესტაფეტა სმიტის სხვა მოწაფეებთან — ჯონ დრამონდთან, კერტის ჯონსონსა და ბრაიან ჰოვარდთან ერთად უშფოთველად მოიგო.

პაუელი თავის მომავალს რეალურად უყურებს. მას არ სჯერა, რომ ედმონტონის მსოფლიოს პირველობამდე ფორმას სრულად აღიდგენს, გაისამდე პიკს, ალბათ, ვერ ვუწვევო. „ჩემი მთავარი მიზანი ათენის ოლიმპიადის მოგებაა“ — აგვირგვინებს პაუელი.

იგი მაშინ 41 წლის იქნება.

**დავით გულუა**

ოქროს ქაცვის სერია

# საწყენი გამარჯვება

**პრინსტონის** უნივერსიტეტის სამძლეოსნო სარბიელზე, მავანი უილიამ უივერის სახელი რომ ჰქვია, „ოქროს ქაცვის“ პირველი ეტაპი შედგა. 4 ათასი მაყურებლის ოვაციები თავიდანვე მარიონ ჯონსს ერგო და თუ რატომ, ამის კიდევ ერთხელ ახსნას არ ვაპირებთ. ჯონსმა პრინსტონში თავისი საფირმო 100 მეტრი ირბინა და ცხადია, მოიგო. მაგრამ ფინიშის შემდეგ ისე გამოიყურებოდა, გეგონებოდათ: წაგოო. „ცხადია, გაწბილებული ვარ — უთხრა ჯონსმა მასმედიას — ამაზე ბევრად უკეთ უნდა მრბინა“. ოლიმპიური ჩემპიონი 11,12-მა ვერ დაკმაყოფილა, რაც ბევრად მეტია მის პირად რეკორდზე (10,65 წამი) და ახლოსაც ვერ მოვა ფლორენს გრიფიტ ჯოინერის 10,49-წამიან მსოფლიოს რეკორდთან, რომლის დამხობას ჯონსი წლეულს არ გეგმავს.

მარიონ ჯონსი პირველმა ადგილმა ვერიფრით გაახარა

მისი პრეტენზიები საერთოდაც უფრო მოკრძალებულია, ვიდრე უმაღლეს შედეგებზე გადარეული მორის გრინისა, რომელიც წლეულს ყველას და ყველაფრის დამხობით იმუქრება. ჯონსი ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვა, მაგრამ ზუსტად არ იცის, რომელ დისციპლინებში, მწვრთნელს უნდა დაელაპარაკოს. ყველ შემთხვევაში, „სიდნეის ხუთი ოქროს“ მაგვარი პროექტი ჯერ არ ჩანს. პრინსტონში ჯონსმა სტარტი მძიმედ აიღო, მაგრამ შუაგზაზე დაწინაურდა, მდევრები კი უფრო ნელა გარბოდნენ, ამიტომ, ცუდი შედეგის მიუხედავად, გამარჯვება არ გასჭირვებია. ლატაშა ჯენკინსი გასულ კვირას კინალამ 11 წამს ჩამოსცდა; ახლა კი მხოლოდ 11,36 უწვენა და მეორე იყო. მას წამის მეასედით ბაჰამელი სავათედა ფაინსი ჩამორჩა.

ეტაპის მთავარი მოვლენა სეზონის რეკორდი იყო, რომელიც კენიელმა ლეონარდ მუჩერუმ 1 მილზე დაამყარა (3.53,64), ხოლო 400 მეტრი თარჯრბენიდან გადმოსულმა ანჯელო ტეილორმა მოიგო, ავტორიტეტების — ჯერომ იანგისა და ანტონიო პეტიგრიუს წინააღმდეგობის მიუხედავად. 100 მეტრზე თარჯრბენში მელისა მორისონის გამარჯვებას ელოდნენ, მაგრამ ბრინჯაოს ოლიმპიელს ერთხელ გაექცა ფეხი ნაადრევად, პისტოლეტის გასროლამდე, მეორედ და დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

დაბოლოს რევანში: სიდნეის ოლიმპიადაზე მეჭოკე ნიკ ჰაისონგი ჩემპიონი გახდა, ლოურენს ჯონსონი კი ვიცე-ჩემპიონი. პრინსტონში მათ ადგილები გაცვალეს.

**დავით გულუა**

# სარბიელი
## სპორტული ლატარია
# კროკო

**ინგლისი. I დივიზიონი. პლეი-ოფი. II მატჩები**
**17 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 002 | ბოლტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 23.45 | 003 | პრესტონი-ბირმინგემი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**ინგლისი. II დივიზიონი. პლეი-ოფი. II მატჩები**
**16 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 004 | რედინგი-უიგანი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 23.45 | 005 | უოლსოლი-სტოკი | 2,0 | 3,0 | 3,5 |

**ინგლისი. III დივიზიონი. პლეი-ოფი. II მატჩები**
**16 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 006 | ჰარტლპული-ბლეკპული | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.45 | 007 | ლეიტონი-ჰალი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**იტალია. სერია A. 31-ე ტური**
**17 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 008 | მილანი-ფიორენტინა | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.30 | 009 | პარმა-ინტერი | 2,0 | 2,9 | 3,6 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი. გადადებული მატჩი**
**17 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 010 | აიაქსი-ვიტესი | 1,45 | 3,6 | 6,5 |

**ბელგია. II დივიზიონი. პლეი-ოფი. II ტური**
**17 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 011 | მოლენბეკი-მონსი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 22.00 | 012 | გენელი-ტურნჰაუტი | 2,0 | 3,2 | 3,3 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. მე-12 ტური**
**16 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 014 | ციურიხი-ლუგანო | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 015 | სიონი-ლოზანა | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 22.30 | 016 | ბაზელი-გრასჰოპერი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**შვეიცარია. A/B ჯგუფი. მე-12 ტური**
**16 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 018 | ივერდონი-არაუ | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 22.30 | 019 | ბელინცონა-ქსამაქსი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 22.30 | 020 | ლუცერნი-ვილი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**შვეიცარია. B ჯგუფი. მე-12 ტური**
**16 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 023 | ვანგენი-დელემონი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 22.30 | 024 | ბადენი-ტუნი | 2,2 | 3,2 | 2,9 |

**დანია. 29-ე ტური**
**17 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 025 | ოლბორგი-ვიბორგი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 22.00 | 026 | ჰადერსლევი-სილკებორგი | 6,5 | 4,0 | 1,4 |
| 22.00 | 027 | ლიუნგბიუ-ორჰუსი | 1,9 | 3,3 | 3,2 |
| 22.00 | 028 | ოდენსე-ჰერფიოლგე | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 22.00 | 029 | კოპენჰაგენი-მიდტიულანდი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 23.45 | 030 | აკადემისკი-ბრონდბიუ | 3,1 | 3,2 | 2,1 |

**შვედეთი**
**17 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 032 | ელფსბორგი-ჰაკენი | 1,8 | 3,3 | 3,6 |

**ნორვეგია. მე-7 ტური**
**16 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 033 | ბოდო გლიმტი-ტრომსო | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 034 | ბრანი-ლინი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 21.00 | 035 | მიოლდე-სოგნდალი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 21.00 | 036 | მოსი-ბრინი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 21.00 | 037 | რუსენბორგი-სტრომგოდსეტი | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 21.00 | 038 | სტაბეკი-ლილესტრიომი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 21.00 | 039 | ვიკინგი-ოდ გრენლანდი | 1,55 | 3,4 | 5,6 |

**ფინეთი. მე-6 ტური**
**17 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 040 | ჰაკა-ჯაზი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 20.30 | 041 | იოკერიტი-ჰიკ | 4,0 | 3,2 | 1,7 |
| 20.30 | 042 | მიუპა-ვაასა | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 20.30 | 043 | ტამპერე-კუოპიო | 1,55 | 3,3 | 5,3 |

**პორტუგალია. სუპერთასი**
**16 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.30 | 044 | სპორტინგი-პორტუ | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**პოლონეთი. თასის ფინალი. I მატჩი**
**16 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.45 | 045 | გურნიკი-პოლონია | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**რუსეთი. თასის 1/2 ფინალი**
**16 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 046 | ანჟი-კრილია სოვეტოვი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 17.00 | 047 | სოკოლი-ლოკომოტივი | 2,5 | 2,9 | 2,6 |

**უეფას თასი. ფინალი**
**16 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 501 | ლივერპული-ალავესი | 1,85 | 3,1 | 3,8 |

**ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. მე-2 მატჩები**
**16 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 03.30 | 504 | ვასკუ და გამა-დეპორტეს კონსეპსიონი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 05.30 | 505 | ბოკა ხუნიორსი-ხუნიორ ბარანკილია | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 05.40 | 506 | პალმეირასი-სან კაეტანო | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 06.30 | 507 | კრუზ ასული-სერო პორტენო | 1,65 | 3,2 | 5,0 |

**17 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 03.05 | 508 | ნასიონალი-ამერიკა | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 05.00 | 509 | რივერ პლეიტი-ემელეკი | 1,25 | 5,0 | 9,0 |

| I ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **16 მაისი** | | | | | | | | | | |
| 601 | ლივერპული-ალავესი | 2,7 | 10,0 | 22,0 | 3,8 | 4,7 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |

**უეფას თასი. თასის აღება**
**16 მაისი**

23.45 701 ლივერპული ..... 1,4 ალავესი ..... 2,3

**კალათბურთი. 1/4 ფინალი**
**16 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 802 | ფილადელფია-ტორონტო | 1,2 | 12,0 | 3,1 |

**17 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 803 | შარლოტი-მილუოკი | 1,45 | 12,0 | 2,1 |

**ჰოკეი. 1/2 ფინალი**
**16 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 902 | სენტ ლუი1 კოლორადო | 2,0 | 4,0 | 2,2 |

**17 მაისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 903 | პიტსბურგი-ნიუ ჯერსი | 1,9 | 4,0 | 2,3 |

## კროკოს ბიუროთა მისამართები:

**თბილისში** — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41

**ქუთაისი** — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27

**გორში** — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

**თელავში** — კოსტავას ქუჩა №23.

**რუსთავში** — შარტავას ქუჩა №7

**ბათუმში** — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

**მარნეულში** — რუსთაველის ქუჩა №39

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | აღმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| თბილისი | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |

# გათამაშების წესები

**თამაშში** მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

① ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ

② შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება

③ შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)

④ მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში

⑤ წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი

⑥ არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

NHL. სტენლის თასი. კონფერენციის ფინალი (ოთხ მოგებამდე)

# კოლორადომ წასაგები მოიგო

14 მაისი

| დასავლეთი | |
|---|---|
| კოლორადო | 2 |
| სენტ ლუისი | 0 |

**კოლორადო 4:2 სენტ ლუისი**

**(1:0 1:1 2:1)**

**1:0 ბურკი 14 (1), 1:1 მელანბი 29 (2), 2:1 ფუტი 39 (2), 3:1 პოდინი 54 (2), 3:2 მაკინისი 56 (2), 4:2 დრური 60 (8)**

გულახდილად გეტყვით, კოლორადო ასეთ გასაჭირში კარგა ხანია, არ გვინახავს. ლოს ანჯელესთან წაგებულ მატჩებშიც კი „ეველანშე“ ინიციატივას მეტოქეს არ უთმობდა, მაგრამ ამჯერად ასე აღარ მოხდა და თამაშის უმეტესი ნაწილის განმავლობაში მასპინძლებს საკუთარ ზონაში უწევდათ შეტევების მოგერიება. ჯერ კიდევ პირველ თამაშში დაამტკიცა სენტ ლუისმა, რომ შეეძლო კოლორადოსთან თანაბარი ბრძოლა. მაშინ ბოლო მესამედში სტუმრებმა ერთობ პრიმიტიულ, მაგრამ „ეველანშთან“ ბრძოლაში გამოცდილ, ეფექტურ ტაქტიკას მიმართეს — ნებისმიერი დისტანციიდან დატყმებითა და კარის სიახლოვეს პატრიკ რუასთვის ხელის შეშლით ერთობ გაურთულეს მეტოქეს საქმე. ამჯერადაც სტუმრები მთელი მატჩის განმავლობაში კარგად თამაშობდნენ, კოლორადოს კი პეტერ ფორსბერგის არყოფნა აშკარად დაეტყო. უმისოდ მხოლოდ ჯო საკიკის სამეული ახერხებდა მეტოქის დაცვის შეწუხებას, დანარჩენ რგოლებს კი უფრო საკუთარი კარის დაცვაზე უხდებოდათ ზრუნვა. ამ თამაშმაც ცხადყო, რომ სენტ ლუისის დაცვა უფრო დაბალანსებულია. მეტიც, გუნდის მესამე-მეოთხე სამეულები წამყვანებზე უკეთ გამოიყურებოდნენ.

და მაინც, თამაში კოლორადომ მოიგო, თუმცა მატჩის მიწურულს სენტ ლუისს შეეძლო თავის ხსნა. ელ მაკინისის უძლიერესი დარტყმის შემდეგ მინიმუმამდე შემცირდა ანგარიში სხვაობა, სტუმრებმა გაორმაგებული ენერგიით შეუტიეს, მაგრამ თამაშის ბოლოსწინა წუთზე მსაჯებმა ორმხრივი უხეშობისას რატომღაც მხოლოდ სტუმარი გააძევეს, თორემ ერთობ საინტერესო დასასრული ექნებოდა, თუმც უმცირებოსაშიც კი კეტ ტკაჩუკმა კინაღამ დასაჯა რუა ერთადერთი შეცდომისთვის.

მსოფლიოს ჩემპიონატი (გერმანია)

# ჩეხური ჰეთ თრიქი

**„ჰოკეის** ბევრი თამაშობს კარგად, მაგრამ ყოველთვის ჩეხები იგებენ“ — ბოლო წლებში ხშირად ამოიკითხავთ ჰოკეიზე მწერალ ჟურნალისტთა სტატიებში. აქამდე საბაბიც არსებობდა — წინა ორ პირველობაზე ჩეხების გამარჯვება საეჭვო თუ არ იყო, არც სრულყოფილი ეთქმოდა. ეს გარკვეულწილად ჩემპიონატის გადამწყვეტი ეტაპის ფორმულით იყო გამოწვეული. როცა საქმე ერთ მოგებაზეა, პლეი ოფში შემთხვევითობა არ არის გამორიცხული. შარშან ნახევარფინალში კანადა ჩეხებზე არანაკლებ იმსახურებდა გამარჯვებას, მაგრამ მეკარის ბავშვური შეცდომის გამო დამარცხდა, ხოლო ფინალში მოულოდნელად აღმოჩენილმა სლოვაკებმა მატჩამდეც იგრძნეს, რომ ისედაც თავს გადაახტნენ, მეტს ვეღარ შეძლებდნენ. 1999 წლის ფინალი მართალია, ორ მოგებამდე იყო, მაგრამ იქაც, შეგახსენებთ, ჩეხებმა მხოლოდ მესამე მატჩის ოვერტაიმში გაიმარჯვეს. ამჯერადაც ფინალში ჩეხებმა ოვერტაიმში მოიგეს, ხოლო ნახევარფინალში სულაც ბულიტებით გაიმარჯვეს. მაგრამ ის, ვინც პირველობას თვალყურს ადევნებდა, დაგვეთანხმება, რომ ჩეხებს, სხვა გუნდებისგან განსხვავებით, მნიშვნელოვანი პლუსი ჰქონდათ, რომელსაც ვნებავთ, საჩემპიონო ხელწერა დაარქვით, ვნებავთ ხასიათი. ორჯერვე ხომ ჩეხები უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. შვედებთან 45 წუთის შემდეგ 1:2 აგებდნენ, ხოლო ფინელებთან ორი პერიოდის შემდეგ კიდევ უფრო გაუჭირდათ — 0:2, მაგრამ ეს შემთხვევით მოხდა. ჩეხებმა ყველას დაუმტკიცეს, რომ მათ არამარტო კონტრშეტევები, არამედ მეტოქის შეცდომების გამოყენებაც შეუძლიათ. თუნდაც ფინეთის კარში გატანილი ორი გოლი გავიხსენოთ, რომელიც მათი გამუდმებული ზეწოლის ნაყოფი გახლდათ.

დასანანია ფინელების წყალში გადაყრილი შრომა. აგერ, უკვე მერამდენედ ეპოტინებიან ისინი ოქროს, მაგრამ ბოლო მომენტში რაღაც აკლდებათ. მათ ყველაზე ლამაზი და შემტევი ჰოკეი აჩვენეს. ბრწყინვალედ გამოიყურებოდნენ ლიდერები — სამი კაპანენი, პეტერ ნუმელინი, ხოლო ფინიქსელმა იუჰა ილონენმა, რომელიც მუდამ მეტოქეთა ლიდერების გაუვნებლებით გამოირჩეოდა, თავი გამოიჩინა, როგორც პლეიმეიკერმა.

ქედს ვიხრით მათს სუნდინის წინაშე. მისნაირად ნახევარფინალებზე თამაანთი გუნდების დასახმარებლად კიდევ სამი ჰოკეისტი ჩავიდა, მაგრამ არც ერთი მათგანი ნჰლ-ის პლეი ოფში ისე არ გარჯილა და დაღლილა, როგორც შვედების სახოვანი მოთამაშე. სუნდინი მაინც ჩავიდა, დიდებულად იასპარეზა ჩეხებთან შეხვედრაში (1 პასი), მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლოს მას ფორტუნამ უმტყუნა, ბულიტების სერიაში მისი აუღებელი დარტყმა ძელმა მოიგერია. იმედგაცრუების შემდეგ მესამე ადგილისთვის თამაში სკანდინავიელებისთვის ნამდვილი წამება იყო, მაგრამ ნებისყოფა გამოიჩინეს და უვარსკვლავო აშშ-ს ნაკრებს მოუგეს. ალბათ, შვედეთის ნაკრებში ყველაზე ცნობილმა მოთამაშეებმა მოიყარეს თავი. სუნდინის გარდა კიდევ 4 ჰოკეისტი 2002 წლის ოლიმპიადაში მიიღებს მონაწილეობას და უკლებლივ ყველამ, მათ შორის მეკარე ტომი სალომ და ფორვარდმა დანიელ ალფრედსონმა (რა ულამაზესი გოლი გაუტანა რუსებს, როცა მთელი ხუთეული მოატყუა!) დაამტკიცეს თავისი შესაძლებლობები. შარშანდელი მეშვიდე ადგილის შემდეგ მესამეც წინგადადგმული ნაბიჯია, მომავალ სეზონში კი პირველობა შვედეთში ჩატარდება.

როგორც ყოველთვის, ნაკლებად ცნობილი მოთამაშეებით დაკომპლექტებულმა აშშ-ს ნაკრებმა ჯიგრიანი, ჭეშმარიტად ჩრდილოამერიკული ჰოკეი აჩვენა, სენსაციაც გამოჩარხა, როცა მეოთხედფინაში ფინელებს მხოლოდ მესამე პერიოდში დანებდა. აი, კანადელებმა კი პირველ ეტაპზე მძლავრი თამაშის შემდეგ გააწბილეს გულშემატკივრები. გადამწყვეტ მომენტში მათ ლიდერი არ აღმოაჩნდათ, როგორიც პირველ მატჩებში ბუფალოს მეამბოხე მაიკ პეკა იყო. მიუხედავად მთელი სეზონის გამოტოვებისა, პეკა კანადელთა ლიდერი და სულისჩამდგმელი გახლდათ, მაგრამ რუსებთან თამაშში ტრავმა მიიღო და გუნდი დაიობლა.

ცოტა რამ რუსებზეც. როგორც ჟურნალისტები ირონიით აღნიშნავდნენ, ხუთი საფეხურით აღზევებისთვის (მეთერთმეტედან მეექვსეზე) გუნდი პროგრესის თასს იმსახურებს. ისე, წლეულს რუსეთის ნაკრები უფრო ჰგავდა გუნდს. მეოთხედფინალი შვედებთან რუსთა საუკეთესო მატჩი იყო ტურნირში (სახელოვანმა ვიქტორ ტიხონოვმა პირველ პერიოდს ფანტასტიკური უწოდა), მაგრამ მათ უამრავი მომენტი გააცუდეს და მეტოქეს შანსი აჩუქეს. ხოლო როცა შვედებმა უმატეს, რუსეთის დაცვის დაბალი დონე თვალნათლივ გამოჩნდა.

*ბომბარდირები: ილონენი 14 (5+9), ნუმელინი (ორივე ფინეთი) 13 (1+12), რაიხელი (ჩეხეთი) 12 (5+7), კაპანენი 11 (7+4), სალო (ორივე ფინეთი) და აქსელსონი 9 (3+6), ოტოსონი, იუნსონი (სამივე შვედეთი) და დვორჟაკი (ჩეხეთი) 8 (4+4), ალფრედსონი (შვედეთი) 8 (3+5).*

საუკეთესო ექვსეული

**მილან ჰნილიჩკა (ჩეხეთი); პეტერ ნუმელინი (ფინეთი) — კიმ იუნსონი (შვედეთი); მარტინ რუჩინსკი (ჩეხეთი) — რობერტ რაიხელი (ჩეხეთი) — სამი კაპანენი (ფინეთი)**



ზე-12. მეთორმეტე ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალ საუკუნეში უახალზელანდიოდ

**კანბერა 49:6 ჰამილტონი**

**კანბერა: 6 ლ: როფი (2), ჰოლი, სმიტი, ბონდი, უოლკერი; 5 გ. და 3 ს: მორტლოკი**

**ჰამილტონი: 2 ს: ჰილი**

**ოკლენდი 36:17 ველინგტონი**

**ოკლენდი: 4 ლ: ტეიღლორი, კრიბი, ჰოულეტი (2); 2 გ. და 4 ს: არლიჯი**

**ველინგტონი: 1 ლ: ტიატა; 4 ს: ჰოლუელი (3), ლილი**

**იოჰანესბურგი 19:21 პრეტორია**

**იოჰანესბურგი: 3 ლ: დელპორტი (2), ლაბუშანი; 2 გ: კოენი**

**პრეტორია: 2 ლ: ველში, ჰუსელმენი; 1 გ. და 3 ს: სტეინი**

**დანიდინი 26:21 კრაისტჩერჩი**

**დანიდინი: 2 ლ: მაიმური, ალატინი; 2 გ. და 4 ს: ბრაუნი**

**კრაისტჩერჩი: 2 ლ: მარშალი, სოოალო; 1 გ. და 3 ს: მერთენსი**

**სიდნეი 20:25 ბრისბენი**

**სიდნეი: 2 ლ: ვესტი, სტენტფორტი; 2 გ. და 2 ს: ბერკი**

**ბრისბენი: 3 ლ: ილზი, სტაილზი, ჰეკესასა; 2 გ. და 2 ს: ფლეტლი**

**კეიპტაუნი 19:23 დურბანი**

**კეიპტაუნი: 1 ლ: დევიდსი; 1 გ. და 4 ს: ფან სტრაატენი**

**დურბანი: 3 ლ: სვარტი, ფან დენ ბერგი, ენდრიუსი; 1 გ. და 2 ს: ჯეიმსი**

**ახალი** საუკუნის პირველივე ზე-12-ის ჯგუფური ტურნირი სენსაციურად დამთავრდა — ნახევარფინალში ვერც ერთი ახალზელანდიური გუნდი ვერ გავიდა. არადა, ყველაზე მეტი წარმომადგენელი სამხრეთ ნახევარსფეროს უმთავრეს საკლუბო ტურნირში სწორედ „კივებს“ ჰყავთ. თანაც წინა ხუთი გათამაშების ჩემპიონებიც სულ „თეთრი ღრუბლის ქვეყნის“ გუნდები იყვნენ. თავიდან ორი წელი ოკლენდი ზეიმობდა, მერე კი, სამი წლის განმავლობაში, კრაისტჩერჩს არ მოეძებნებოდა ბადალი. ახლა ეს ორი გუნდი სერიოზულ კრიზისს განიცდის, სხვებს კი ისინი სათანადოდ ვერ შეცვალეს.

გათამაშების ფინალურ სტადიაზე დანარჩენმა ორმა ქვეყანამ ორ-ორი გუნდი გაიყვანა. თანაც ნახევარფინალებში ისინი ისე დაწყვილდნენ, ფინალი ავსტრალიურ-სამხრეთაფრიკული იქნება. პირველადგილოსანი კანბერა თანამემამულე ბრისბენს უმასპინძლებს და ფავორიტადაც სწორედ ის ითვლება, მაგრამ ის ფაქტიც გასათვალისწინებელია, რომ „ქვინსლენდელ წითლებს“ ტრავმის შემდეგ ავსტრალიის ნაკრების ემბლემატიკური კაპიტანი ჯონ ილზი დაუბრუნდათ და ამან მათი ფინალში გასვლის შანსი ერთი-ორად გაზარდა.

სამხრეთაფრიკულ დაპირისპირებაში, წესით და რიგით, წლევანდელი შეჯიბრის აღმოჩენამ, დურბანმა უნდა აჯობოს იოჰანესბურგს. უკანასკნელი ტურიც იმას მოწმობს, რომ „ზვიგენები“ ამჟამად უკეთეს ფორმაში არიან. მათ ხომ ნახევარფინალის საგზურისთვის მებრძოლ კეიპტაუნს სტუმრად სძლიეს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იმ მატჩის დაწყებამდე ბრისბენს უკვე დაემარცხებინა სიდნეი და კეიპტაუნი თითქმის უმოტივაციოდ დარჩენილიყო. „კატებმა“ კი შინ მაჩანჩალა პრეტორიასთან წააგეს და ახლა ნახევარფინალის სტუმრად გამართვა მოუწევთ.

რადგან მეოთხე ნახევარფინალისტი სიდნეიში გაირკვა, ამიტომ თავიდან იქაურ მატჩზე ვთქვათ. იქნებ ვინმემ იფიქროს, მასპინძლებმა ოზური სოლიდარობის გამო თავი არ გამოიდეს და მეტოქეს თამაში დაუთმესო, მაგრამ შეცდება — გამარჯვების შემთხვევაში სიდნეიაც შეეძლო საუკეთესო ოთხეულში მოხვედრა, ოღონდ ამისთვის მინიმუმ ოთხი ლელო მაინც უნდა გაეტანა.

ანგარიში საჯარიმოთი მასპინძლების დამრტყმელმა მეტიუ ბერკმა გახსნა. სტუმრების პასუხმაც არ დაახანა და ილზმა ლელო გაიტანა. აქედან მოყოლებული მცირე უპირატესობას „წითლები“ ფლობდნენ და 8 წუთში მათ მეორეჯერაც დაალელოვეს მოწინააღმდეგე. შესვენებამდე სიდნეიმაც გაიტანა ერთი ლელო, რასაც ბერკმა ერთი საჯარიმოც დაურთო და 13:14. თამაშის განახლების შემდეგ მასპინძლებს დაწინაურების რამდენიმე შანსი ჰქონდათ, მაგრამ ბოლო მომენტში ვერ ივარგეს. იღბალმა სტუმრებს უფრო გაუღიმა და მსაჯის საფინალო სასტვენამდე 6 წუთით ადრე ისინი 25:13 გავიდნენ წინ. სიდნეიმ დარჩენილ დროში ანგარიშის შემცირებაღა მოახერხა.

ოკლენდმა მოულოდნელად იოლად დაამარცხა ველინგტონი, რომელმაც შეხვედრა კარგად დაიწყო და მალე ანგარიში 11:3 გახადა თავის სასარგებლოდ. ამის მერე კი სტუმრებს რა დაემართათ, ძნელი სათქმელია. ისინი მეტისმეტად უხეიროდ ირჯებოდნენ, განსაკუთრებით აუტებისას, თავისი დერეფნების თითქმის ნახევარიც კი წაგეს. შედეგად „ლურჯებმა“ ოთხი ლელო, ამათგან ორი ბოლო ათ წუთში მითვალეს და გათამაშების ცხრილშიც 5 ქულა ჩაიწერეს, მაგრამ ბოლოსწინა ადგილს მაინც ვერ ასცდნენ.

ნახევარფინალში გასვლის საუკეთესო ახალზელანდიელი კანდიდატი, ჰამილტონი, ლიდერ კანბერას ესტუმრა და შერცხვა. „რაშებს“ პირველი ადგილის შესანარჩუნებლად მხოლოდ მოგება აძლევდათ ხელს, რაც ფინალში გასვლის შემთხვევაში საკუთარი მოედნის უპირატესობასაც იძლეოდა. ჰოდა, მათ სტივენ ლარკემის არყოფნის მიუხედავად მეტოქე ისე გადათქერეს, ლამის მშრალი ანგარიშით მოუგეს. ისე, მეორე ტაიმი კი მოიგეს ნულზე — 26:0.

ჩაგდებული სეზონი მაჟორულ ნოტაზე დაასრულა პრეტორიამ. თავიდან „კატები“ დაწინაურდნენ, მათ უკვე მეორე წუთზე მოახერხეს ლელოს გატანა. იოჰანესბურგს ტემპი არც ამის მერე დაუგდია და ათ წუთში ერთხელაც გაიხარა — 14:0. თუმცა მერე „ხარებმა“ თამაშიც და ანგარიშიც გაათანაბრეს — 14:14. მეორე ტაიმი მასპინძლების იერიშებით დაიწყო, მაგრამ ლელო სწორედ მათ გაუშვეს. ეს ერთ-ერთი კონტრშეტევისას მოხდა — 14:21. მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე იოჰანესბურგმა მაინც მოახერხა მოწინააღმდეგის დალელოვება, მაგრამ ლუის კოენს გარდასახვა გაუცუდდა და მისი გუნდიც დამარცხდა.

ბევრად უფრო სწრაფი ლელო გავიდა დანიდინში, სადაც ვულა მაიმურიმ უკვე მე-15 წამზე (!) გამოიჩინა თავი. არადა, თამაში კრაისტჩერჩელი ენდრიუ მერთენსის დარტყმით დაიწყო. „ჯვაროსნები“, განსაკუთრებით ჯასტინ მარშალი, ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდნენ, რითაც „ლურჯებმა“ შშვენივრად ისარგებლეს და ტაიმი 16:3 მიიგეს. შესვენების შემდეგ მერთენსის თანაგუნდელები შედარებით მობილიზებულნი კი გავიდნენ მინდორზე, მაგრამ ამან მატჩში გარდატეხის შესატანად არ იკმარა.

**გაგი გურული**

ნახევარფინალი. 19 მაისი

**კანბერა — ბრისბენი**

**დურბანი — იოჰანესბურგი**

ფინალი. 26 მაისი

**სიდნეი — ბრისბენი. სტუმარი „ქვიზლენდელი წითლები“ ნახევარფინალში გასვლას გაუხარებია**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კანბერა | 11 | 8 | 0 | 3 | 6 | 2 | 348:204 | 40 |
| დურბანი | 11 | 8 | 0 | 3 | 4 | 2 | 322:246 | 38 |
| იოჰანესბურგი | 11 | 7 | 0 | 4 | 2 | 4 | 285:244 | 34 |
| ბრისბენი | 11 | 6 | 0 | 5 | 4 | 4 | 300:277 | 32 |
| დანიდინი | 11 | 6 | 0 | 5 | 3 | 2 | 284:285 | 29 |
| ჰამილტონი | 11 | 6 | 0 | 5 | 4 | 0 | 301:330 | 28 |
| კეიპტაუნი | 11 | 5 | 0 | 6 | 3 | 3 | 278:285 | 26 |
| სიდნეი | 11 | 5 | 0 | 6 | 3 | 2 | 306:302 | 25 |
| ველინგტონი | 11 | 5 | 0 | 6 | 4 | 1 | 291:316 | 25 |
| კრაისტჩერჩი | 11 | 4 | 0 | 7 | 2 | 5 | 307:331 | 23 |
| ოკლენდი | 11 | 4 | 0 | 7 | 3 | 2 | 243:298 | 21 |
| პრეტორია | 11 | 2 | 0 | 9 | 2 | 1 | 241:378 | 11 |

*მოგებისთვის გუნდებს ერიცხებათ 4 ქულა, ფრისთვის — 2, წაგებისთვის კი არცერთი. მეხუთე გრაფაში 4 ან მეტი ლელოს გატანისთვის, მეექვსეში კი 7 ან ნაკლები ქულით დამარცხებისთვის მინიჭებული პრემიალური ქულებია.*

# ათმტმა არგონავტებს რაგბი ათამაშა

**ზაზა ქასაშვილი, საფრანგეთში მოსაქმიანე თბილისელი, საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტია. რაც რაგბის დიდ ოჯახს დაუმეგობრდა, მას აქეთ ერთგულად ჩადგა ქართული რაგბის სამსახურში და საკმაოდ კარგი სპორტული ფუნქციონერი გახდა. ზაზა ქასაშვილი საფრანგეთში მოთამაშე ქართველ მორაგბეებს პატრონობს და კლოდ სორელთან ერთად მათი ტრანსფერებით არის დაკავებული. იგი ამ დღეებში თბილისში იმყოფებოდა და დროის სიმცირის მიუხედავად თავაზიანად დაგვთანხმდა ინტერვიუზე.**

ბაჩო კვანელაძის ფოტო

— დავიბადე და გავიზარდე თბილისში. თბილისშივე დავამთავრე სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. მერე გერმანიაში დავიცავი დისერტაცია. ამის შემდეგ საფრანგეთში წარმოების მართვის უნივერსიტეტი დავამთავრე და მონპელიეში დავრჩი საცხოვრებლად. გერმანიაში გავიცანი ჩემი მეუღლე. იგი ფრანგია. გვყავს ორი შვილი, ბიჭი გიორგოდერძი და გოგონა ელენე-კლოდი. ამჟამად ვმუშაობ შოკოლადის მწარმოებელ ერთ-ერთ ფრანგულ ფირმაში. ვარ ამ ფირმის აღმოსავლეთ ევროპის განყოფილების უფროსი.

**— რაგბის თუ თამაშობდით?**

— არა, სამწუხაროდ, რაგბი არასდროს მითამაშია, თუმც სპორტის ეს სახეობა ძალიან მომწონდა. დედაჩემი სასწრაფო დახმარების მთავარ ექიმად მუშაობდა და მეც ხშირად დავყავდი სტადიონზე. ამ ვაჟკაცურმა თამაშმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ მოხდა ისე, რომ რაგბი ვერ ვითამაშე. სამაგიეროდ, ბევრი მორაგბე მეგობარი მყავდა და ახლაც მყავს. ჩემთვის რაგბი ქართული სულის გამოძახილია. გარდა ამისა, ეროვნული ფესვები გააჩნია. საფრანგეთში ზშირად ვყვები, რომ ლეგენდის თანახმად, კოლხთა მეფე აიეტმა არგონავტებს რაგბი ათამაშა და როდესაც აიეტის რჩეულებმა ვერაფერი გააწყვეს არგონავტებთან, მხოლოდ მაშინ გაატანა კოლხთა მეფემ იასონს ოქროს საწმისი. მე ხომ მჯერა და მჯერა არგონავტების ჩემებური ლეგენდის, თქვენ უნდა ნახოთ, რა გულისყურით მისმენენ ფრანგები. ეს ისე, ვატყუებ ხოლმე ფრანგებს, თორემ რაგბის მაგვარ თამაშს, ლელოს, ქართველები ოდითგან თამაშობდნენ. დღეს ლელობურთი ორად ორ ქვეყანაშია შემორჩენილი, ჩვენთან და ესპანეთში. ესპანეთში ლელობურთს ბასკები თამაშობენ. ძველ რომშიც და ძველ საბერძნეთშიც იყო რაღაც მაგდაგვარი თამაში, მაგრამ დღეს მხოლოდ ისტორიული ცნობებიღაა შემორჩენილი.

**— საქართველოს რაგბის კავშირთან როგორ დაამყარეთ ურთიერთობა?**

— 1994 წელს, როდესაც ჩემი ბიჭი დაიბადა, საქართველოში ვიმყოფებოდი. ჩემმა ახლო მეგობარმა მამუკა მიქაშავიძემ მითხრა, რომ ჩვენს ქვეყანაში არანაირი პირობები არ არსებობდა რაგბის განვითარებისთვის და საკმაოდ ნიჭიერი თაობა უკვალოდ იკარგებოდა. ბევრი არ მიფიქრია, შევიკრიბეთ მეგობრები, იქ იყო ბიძინა გეიძეც, რაგბის განვითარების სამომავლო გეგმა დავისახეთ და მის განხორციელებას შევუდექით.

თავიდან ჩამოვაყალიბეთ სარაგბო გუნდი „გუმარი“, შეიძლება ითქვას, „ბარბაროსების“ ქართული ვარიანტი შევქმენით. სხვადასხვა ქართული კლუბებიდან მორაგბეები გადმოვიბირეთ, ვისაც თავი ჰქონდა რაგბისთვის დანებებული, ჩვენი თხოვნით, ისინიც დაუბრუნდნენ რაგბის და საკმაოდ კარგი გუნდიც ჩამოყალიბდა. სულ მალე საფრანგეთში ტურნე გავუხერხეთ. იმ პერიოდში საფრანგეთში საქართველოს ფაქტობრივად არავინ იცნობდა. „გუმარმა“ ნაწილობრივ წარმოაჩინა ჩვენი ქვეყანა და ქართველ ერზე ერთგვარი წარმოდგენა შეუქმნა ფრანგებს. ახლა უკვე საჭირო იყო, ჩვენი მორაგბეები ფრანგულ კლუბებში მოგვეწყო, ვინაიდან საქართველოში ელემენტარული პირობებიც კი არ იყო შექმნილი სპორტსმენის მოსამზადებლად. ამ დროს, ყველაზე რთულ პერიოდში, ჩვენ ყველანაირად ვეცადეთ, არ დაგვეშვა ისეთი შეცდომები, როგორიც თავის დროზე რუმინელებმა დაუშვეს. რუმინეთის რაგბის ფედერაცია ცდილობდა, თავიანთი მორაგბეები არ გაეშვა საფრანგეთში, ან თუ გაუშვებდნენ, შესაბამისი თანხის მიღების შემდეგ მორაგბის ბედი აღარ აინტერესებდათ. თავიდან აქცენტი ნაკრების წევრებზე გავაკეთეთ და რამდენიმე მათგანი საფრანგეთის კლუბებში მოვაწყვეთ. მერწმუნეთ, ამის გაკეთება დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მაშინ ქართულ რაგბი თავის ავტორიტეტით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდა, თანაც ფრანგულ კლუბებს თავზესაყრელად ჰყავდათ კარგი მორაგბეები, მაგრამ დიდი ლობირების და თხოვნის შემდეგ მაინც დავიყოლიეთ ფრანგული გუნდები, ქართველი მორაგბეები მიეღოთ. თანაც ეს პროცესი გაგრძელდა, უფრო სრულყოფილი სახე მიიღო და როგორც იცით, დღეს საფრანგეთის სხვადასხვა დივიზიონში ოცდაათამდე ქართველი მორაგბე თამაშობს.

**— ჩვენს მორაგბეებს ერთობ წაადგათ ფრანგული კარიერა, რაზეც ნაკრების შედეგებიც მეტყველებს.**

— გარდა იმისა, რომ მორაგბეებმა უდიდესი გამოცდილება შეიძინეს და თამაშის ხარისხიც მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს, გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორიც. დღეს, როდესაც ცივილიზებულ და დალხენილ ქვეყნებში სპორტი, მეცნიერება, კულტურა ასტრონომიული სიჩქარით ვითარდება, საჭიროა, გაცვლის პრინციპით ვიმოქმედოთ. წავა კაცი საქართველოდან, ევროპაში ისწავლის, ცოდნას გაიღრმავებს, დაბრუნდება საქართველოში და რასაც შეიძენს, ისევ ჩვენს ქვეყანას მოახმარს. საფრანგეთში მოთამაშე ქართველ ლეგიონერთაგან რამდენიმე მორაგბე პარალელურად სწავლობს, მუშაობს. მარტო ის რად ღირს, რომ თითქმის ყველამ სრულყოფილად იცის ფრანგული ენა. დღეს ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

**— თქვენი, როგორც რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტის გეგმები როგორია?**

— ჩვენი მიზანია, ეროვნული ნაკრების ის ოცდაორი წევრი, ვინც გუნდის ხერხემალს შეადგენს, „ელიტ 1“-ის და „ელიტ 2“-ის გუნდებში მოვაწყოთ. თანაც ისეთ კლუბებში, რომლებიც ამინდს ქმნიან საფრანგეთის ჩემპიონატში. თუ ამას მივაღწევთ, საქართველოს ნაკრები გაცილებით ძლიერი და ანგარიშგასაწევი გუნდი იქნება, ვიდრე დღეს არის. თუ საფრანგეთის ნაკრები, რომელიც სწორედ „ელიტ 1“-ის ლიგაში მოასპარეზე მორაგბეებით არის დაკომპლექტებული, ბობოლა ნაკრებებს ამარცხებს, მაშინ რატომ ვერ უნდა შევძლოთ ეს ჩვენ? მგონი, ლოგიკა მარტივია.

გარდა ამისა, საკლუბო რაგბის დონე უნდა ავწიოთ. ამისთვის ეროვნული ჩემპიონატის კარგი ორგანიზებაა საჭირო, სხვადასხვა ტურნირის მოწყობა, სადაც ქართულ კლუბებს უცხოურ გუნდებთან მოუწევთ ძალების მოსინჯვა. ამას ყველაფერს სოლიდური დაფინანსება სჭირდება, რომელიც ჩვენ დღეს არ გაგვაჩნია.

**— თქვენ არ გაგიჩნიათ, მაგრამ ხომ შეიძლება, უცხოელი ანაც ქართველი ინვესტორი მოძებნოთ, რომელიც საქართველოს რაგბის კავშირთან ითანამშრომლებს.**

— არის მოლაპარაკებები რამდენიმე ფრანგულ ფირმასთან, მაგრამ ეს ყველაფერი მთელ რიგ პრობლემებთან არის დაკავშირებული. საქართველო პატარა ქვეყანაა, თანაც საბაზრო ეკონომიკა მოიკოჭლებს. უცხოური ფირმა ტყუილად არაფერს მოგვცემს. თუ დაგეხმარება, გარკვეულ რეკლამას იკეთებს, მაგრამ როდესაც ხედავს, რომ ქართული ბაზარი ნაკლებად ეფექტურია და თავის საქონელს ვერ გაასაღებს, რაც უნდა დიდი რეკლამა გაიკეთოს, უარს იტყვის თანამშრომლობაზე.

მეორე მხრივ, საფრანგეთში, ანაც გნებავთ სხვა განვითარებულ ქვეყნებში, ყველა ფირმას თავისი საფეხბურთო თუ სარაგბო გუნდი ჰყავს. შენთვის არავის სცხელა. მას ურჩევნია, უხეშად რომ ვთქვათ, თავისი გამოკვებოს, ვიდრე შენ დაგეხმაროს, თანაც, როცა იცის, რომ აქედან ვერანაირ სარგებელს ნახავს. არის კიდევ ერთი ხელის შემშლელი ფაქტორი: ბობოლა ფირმებს, რომლებმაც შეიძლება გარისკონ და ქართულ რაგბიში ჩადონ ფული, თავიანთი მთავარი ოფისები ისეთ ქვეყნებში აქვთ განთავსებული, როგორიც ავსტრია, გერმანია, რუსეთი და შვეიცარიაა. ყველა ესენი არასარაგბო ქვეყნებია. შესაბამისად, ამ ფირმების რაგბით დაინტერესება ძალიან ძნელია. ერთი იმედი გვაქვს, რომ ეროვნული ნაკრების წარმატება შეუმჩნევლად არ ჩაივლის და ბოლოს ვიღაც მაინც დაგვთანხმდება თანამშრომლობაზე.

მორაგბეთა ტრანსფერებიდან შემოსული თანხა მთლიანად ნაკრებს ხმარდება — იქ მგზავრობის ხარჯები, იქ შეკრებების მოწყობა. ჩვენ ვთხოვთ ფრანგულ კლუბებს, რომ მორაგბე მიიღონ, მერე ნელ-ნელა საკომპენსაციო თანხასაც შევაპარებთ. სატრანსფერო სისტემა რომ ისე იყოს დახვეწილი, როგორც ფეხბურთშია, მაშინ აშენებულვართ და ეგ არის, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, რაგბიში ასე არ არის და წვალებ-წვალებით გვიხდება ნაკრების მოსამზადებლად საჭირო ფინანსების გამონახვა. არადა, ნაკრები რომ არ მოამზადო, ვერც შედეგს მიიღებ.

როდესაც საფრანგეთში ეწყობა ნაკრებისთვის შეკრება, ზოგჯერ ის კლუბები გვეხმარებიან, რომლებშიც ქართველი მორაგბეები თამაშობენ, ზოგი ხარჯებს კისრულობს, ზოგი თავის ბაზას გვითმობს და ასე შემდეგ. ეს არის კომპენსაცია ჩვენი მორაგბეების სანაცვლოდ.

**— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ისეც ხომ ხდება, რომ იგივე კლუბები ჩვენს მორაგბეებს ნაკრებში გამოძახებისას პრობლემებს უქმნიან?**

— დიახ, ასეც ხდება, მაგრამ ახლა უკვე იშვიათად. კლუბების უფროსები სხვადასხვა მეთოდით ცდილობენ, მორაგბეებზე გავლენა მოახდინონ და ნაკრების თამაშზე არ გამოუშვან. ზოგჯერ ხელფასს უქვითავენ, ზოგჯერ დისკვალიფიკაციით ემუქრებიან. საბედნიეროდ, ჩვენ ზურგს IRB-ის (რაგბის საერთაშორისო საბჭო) დებულება გვიმაგრებს, რომლის თანახმადაც კლუბს არა აქვს უფლება, ნაკრების ოფიციალური მატჩის დროს მორაგბე დააკავოს და ეროვნულ გუნდში არ გაუშვას. ჩვენც არაფერს ვთმობთ და რომ ხედავენ ვერაფერს დაგვაკლებენ, მორაგბებსაც აღარ უქმნიან პრობლემებს.

**— როგორც ვიცით, კლოდ სორელის საქართველოში ჩამოყვანა თქვენი იდეა იყო.**

— მართალია. თავიდან ფიზმომზადების მწვრთნელი ტიერი რუდილი მოვიწვიეთ. მერე უკვე კლოდ სორელს დავუკავშირდი და საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაკობა შევთავაზე. სიმართლე გითხრათ, რამდენიმე სერიოზული მწვრთნელის კანდიდატურა განიხილებოდა, მაგრამ მე არჩევანი კლოდზე შევაჩერე. მქონდა კიდეც ამის მიზეზი. სორელი უშუალო, გულღია, თავმდაბალი პიროვნებაა. მან არ იცის ზურგსუკან ლაპარაკი, თუ რამის თქმა უნდა, პირდაპირ გეტყვის. როდესაც ეროვნული გუნდის თავკაცს ეძებ, პროფესიული ფაქტორის გარდა პიროვნულიც უნდა გაითვალისწინო. კლოდ სორელი ორივე პირობას აკმაყოფილებდა და სწორედ ამიტომ ავირჩიე იგი. როგორც ხედავთ, არჩევანმა გაამართლა. მშვენიერი ნაკრები გვყავს, პროფესიონალი მორაგბეები და პროფესიონალი მწვრთნელი. ახლა მხოლოდ ჩვენ, ხელმძღვანელობა დავრჩით მოყვარულის დონეზე. დროა, ჩვენც პროფესიონალებად ჩამოვყალიბდეთ. ამაზეც ვმუშაობთ და საკმაოდ წარმატებულადაც. ავერ, გია ჭუმბურიძე აღმოსავლეთ ევროპაში რაგბის განვითარების IRB-ის ოფიცრად დანიშნეს. მე და ბიძინა გეგიძე FIRAAER-ის წევრები ვართ. ასე რომ, ნელ-ნელა წინ მივიწევთ. ჩემი აზრით, საჭირო ადგილზე დავხვდით საჭირო მატარებელს და არც ასლა დაგვიგვიანებია.

**ბაჩო სვანიძე**



# ელენეს ისტორია გაგვახსენა

**საქართველოს** ისტორიაში წერია, ქართველი ქალები ვაჟკაცთა სწორად იბრძოდნენ მტერთანო. დედოფლისწყაროელმა ელენე ბოლაშვილმა ტრადიცია განაახლა — ის პირველი ქართველი ქალია, კიკბოქსინგში მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდა. აქ მოზრდილთა შეჯიბრი იგულისხმება, თორემ 17 წლის ელენეს უფრო ახალგაზრდებში გამოსვლა შეეფერის.

მსოფლიოს ჩემპიონატი საბერძნეთში გაიმართა და მთლიანად ქართული დელეგაციისთვის წარმატებული იყო. ჩვენები 17 მედლით დაბრუნდნენ და იქიდან 4 ოქროსი გახლდათ. ბოლაშვილმა ფინალამდე ყველა მეტოქეს დიდი უპირატესობით მოუგო და იქ გამოცდა ელოდა — მოქმედ ჩემპიონ ელიზაბეტ სალტურიდუსთან უწევდა ჩხუბი.

ჩემპიონობის გარდა სალტურიდუს სხვა უპირატესობაც ჰქონია. იგი ბერძენია და ორგანიზატორებს მისი ბრძოლა შოუს დამაგვირგვინებელ აკორდად ნდომებიათ, რისთვისაც უეჭველად მათი თვისტომის გამარჯვება იყო საჭირო. თანაბარი ბრძოლის შემთხვევაში, გვეუბნება ბოლაშვილის მწვრთნელი თამაზ ყარაგეზაშვილი, მსაჯები უეჭველად ბერძენს მისცემდნენ გამარჯვებას და ამიტომ ელენეს დიდი უპირატესობით უნდა მოეგო. ბოლაშვილი ბრძოლამდე მშვიდი და გაწონასწორებული ყოფილა, როგორც არასდროს, მერე კი იმდენი ურტყა მეტოქეს, მსაჯებმა პატარა ხელჩასაჭიდიც ვერ იპოვეს სალტურიდუს სასარგებლოდ. ელენემ საქართველოს დროშა შემოიხვია და პოდიუმის თავზე შედგა. ეს მისი ყველაზე დიდი წარმატებაა, თუმცა ტიტულები ადრეც არ ჰ კლებია: ევროპიისა და საქართველოს ორ-ორგზის ჩემპიონი იყო და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი. მასვე პირველს მიენიჭა საქართველოს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება კიკბოქსინგში ქალთა შორის.

ელენე და მისი ახლობლები თავიანთ მიღწევას დედოფლისწყაროელ მეცენატ იოსებ ნატროშვილს უმადლიან, რომელმაც საქართველოს ნაკრების 5 წევრის საბერძნეთში გამგზავრებისა და ცხოვრების მთლიანი ხარჯები გაისტუმრა. ნატროშვილი სისტემატურად ეხმარება კიკბოქსინგის კლუბ „ჩემპიონს“ და საუკეთესოებს სტიპენდიებს უნიშნავს. კლუბის წევრები უამრავ შეჯიბრზე დიდი წარმატებებით გამოდიან. საბერძნეთში კი ჩვენს ნაკრებს, როგორც წესი, გოჩა ჯავახია ხელმძღვანელობდა.

ელენე ბოლაშვილმა ბერძნებს მთავარი სიმაღლე წაართვა

# პირველად პეკინში

REUTERS ნიუ იორკიდან

კვლავ დონ კინგი და კვლავ მძიმე წონის საჩემპიონო ბრძოლა. ნიუ იორკში გამართულ პრესკონფერენციაზე კინგი აცხადებს, რომ ასოციაციის (ვბა) რემატჩი ევანდერ ჰოლიფილდსა და ჩემპიონ ჯონი რუისს შორის ჩინეთის დედაქალაქ პეკინში გაიმართება 4 აგვისტოს. ეს პირველადაა მძიმე წონის ისტორიაში, რომ საჩემპიონო ბრძოლის ქალაქად პეკინი გამოცხადდა. დონ კინგმა კომუნისტურ ქვეყანასაც დაადო ტორი. მის ლოცვაზე კი ბევრს ნუ იფიქრებთ.

# გოგოები პრეზიდენტთან

*ქალთა ენბიეი დიდად პოპულარული საკალათბურთო ლიგაა ამერიკაში. ისეთია, რომ კალათბურთის ქალ ჩემპიონებს ამერიკის პრეზიდენტიც დააფასებს ხოლმე. ამ სეზონის გამარჯვებული, „ჰიუსტონ კომეტსიც“ ამიტომ აღმოჩნდა თეთრ სახლში, სადაც პრეზიდენტისგან მილოცვა მიიღო, საჩუქრად კი ტრადიციული რამ — საკლუბო სამოსი გაიღო. „კომეტსის“ პატრონის, ლესლი ელიგზანგერსის მეუღლე ნენსიმ პირველნომრიანი მაისურა მოირგა ჯორჯ ვოშინგტონ ბუშს.*

REUTERS ვაშინგტონიდან

REUTERS პრაღიდან

REUTERS თელ ავივიდან

# დაბრუნებული ჩემპიონები

REUTERS რიო გრანდედან

სამი გამარჯვება, სამი ქალაქი ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხეში. პუერტო რიკოს დედაქალაქ სან ხუანის ლუისრუნიოს მარინის აეროპორტში საშუალო წონის ჩემპიონ მოკრივეს ფელიქს „ტიტო“ ტრინიდადს მისი თანამემამულე სტუდენტური მსოფლიო დენის კინიონდსი საკუთარი გვირგვინით ამკობს. თელ ავივის ბენ-გურიონის აეროპორტში კი მრავალათასიანი ბრბო ელის იქაურ „მაკაბის“ კალათბურთელს, რომლებმაც სუპროლიგა მოიგეს. ეს თელავიველთა პირველი საერთაშორისო ტიტულია 20 წელიწადში და სიხარულს უსაზღვროა. პრაღის ძველ მოედანზე კი ჩეხეთის ჰოკეისტთა ნაკრები ხარობს გერმანიაში მოპოვებული ზედიზედ მესამე მსოფლიო ჩემპიონობა, რა თქმა უნდა, ამის საფუძველს იძლევა.

# ბერი კანში

REUTERS კანიდან

*კანის კინოფესტივალზე ყოველ კინოს აქვს თავისი ადგილი. უან კლოდ ვანდამი ის კაცი არ არის, ნამდვილ კინოხელოვნებაში გაერიოს, მაგრამ საკუთარი ფილმის წარდგენა ფრანგულ რივიერაზე დიახაც შეუძლია. უან კლოდი თავისი განთქმული წიხლით წარადგენს ახალ ფილმს, რომელსაც „ბერი“ ჰქვია.*


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი პახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის
რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა ლეკაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge